კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ინდირა პაპუნიძე

რუსეთის მიერ ოკუპირებულ სეპარატისტულ რეგიონებში არსებული მინინაციონალიზმის გავლენა საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილია

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

თამარ კიკნაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 0141, საქართველო

2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი ჩემი ორიგინალური ნამუშევარია და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ინდირა პაპუნიძე

ნაშრომის წარდგენის თარიღი: 10.09.2022

მადლიერების გვერდი

სადოქტორო ნაშრომზე მუშაობა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, რაც დიდ შრომასა და ნებისყოფასთან არის დაკავშირებული. წინამდებარე დისერტაცია ვერ შედგებოდა, რომ არა ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელის - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის, პროფესორ თამარ კიკნაძის მხარდაჭერა და დახმარება.

ღრმა პატივისცემით, მადლობას ვუხდი დოქტორანტურის სამსახურის უფროსს, ქალბატონ ნინო მინდიაშვილს, თანადგომისა და ყურადღებისთვის.

უღრმესი მადლობა ისტორიის დოქტორს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ქეთევან შოშიაშვილს, ყურადღების, მხარდაჭერისა და სითბოსთვის.

მადლობას ვუხდი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ სოსო ვახტანგაშვილს, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ ვაჟა შუბითიძეს, ისტორიის დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ ედიშერ გვენეტაძეს.

მადლობა დარგის სპეციალისტებს, საინტერესო იდეების გაზიარებისა და კვლევის ფარგლებში გაწეული თანამშრომლობისთვის.

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი - ,,რუსეთის მიერ ოკუპირებულ სეპარატისტულ რეგიონებში არსებული მინინაციონალიზმის გავლენა საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე“ - ეხება თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას - მინინაციონალიზმს და მის არსს, აგრეთვე, მის როლს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, რუსეთის ფაქტორს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში - სეპარატისტული ნაციონალიზმის ჩამოყალიბებაში. კვლევა ასევე ითვალისწინებს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტების თეორიული მიდგომების ანალიზს, საკითხის სამეცნიერო დამუშავებას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოში რუსეთის მიერ ოკუპირებულ სეპარატისტულ რეგიონებში (აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში) არსებული მინინაციონალიზმი და მისი გავლენა საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

შესავალი სტანდარტული სახისაა, მასში გადმოცემულია ნაშრომის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანა, აგრეთვე, მისი პრაქტიკული მნიშვნელობა, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და მეცნიერული სიახლე.

ნაშრომის პირველი თავი - ,,მინინაციონალიზმის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და საქართველოში მისი გავლენის ისტორიული ფონი’’- მოიცავს სამ საკითხს:

1. მინინაციონალიზმი და მისი არსი;
2. მინინაციონალიზმის გამოვლენა საქართველოში და მისი ტიპოლოგია;
3. რუსეთის ფაქტორი აფხაზეთსა და ,,სამხრეთ ოსეთში“ მინინაციონალიზმის გამოვლენაში (ისტორიული რეტროსპექტივა).

პირველი თავში განხილულია, ზოგადად, ნაციონალიზმი და მისი ერთ-ერთი სახეობა - მინინაციონალიზმი, თუ რას ნიშნავს და როგორ აღმოცენდა იგი

საქართველოში. ასევე, ვინ შეუწყო ხელი მის ჩამოყალიბებას და რა როლს თამაშობს დღემდე ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

თანამედროვე მსოფლიოში ნაციონალიზმი კვლავაც რჩება აქტუალურ მოვლენად. იგი საინტერესოა თავისი დუალისტური ბუნების გამო - ბოლომდე არც დადებითი და არც უარყოფითი მოვლენაა. ნაშრომში ყურადღება იქნება გამახვილებული მინინაციონალიზმზე, როგორც ეთნიკური უმცირესობის ნაციონალიზმზე, რომელიც ვლინდება აგრესიული ფორმით და შესაბამისად, მას განვიხილავთ, როგორც სეპარატისტულ ნაციონალიზმს, როგორც ქვეყნის ერთიანობის იდეის წინააღმდეგ მიმართულ ძალას.

უცხო არ არის, რომ XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში არსებულ ქაოტურ მდგომარეობას მოჰყვა ქვეყნის ტერიტორიაზე ორი სეპარატისტული რეჟიმის ფორმირება - აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახით. აღნიშნულ პროცესებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე - რუსეთის ფედერაცია, რომელსაც არ სურდა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკაში გავლენის სფეროების ბოლომდე დაკარგვა. მან ერთგვარად წაახალისა სეპარატისტული მოძრაობები, რათა საქართველოში ჰქონოდა დასაყრდენი.

მეორე თავში - ,,რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის პოლიტიკური შედეგები და მინინაციონალიზმის დინამიკა“ - გადმოცემულია აგვისტოს ომის ქრონოლოგია, წინმსწრები მოვლენები, კონფლიქტის ესკალაცია და შედეგები. გაანალიზებულია აღნიშნული კონფლიქტის ბუნება და მისი ატრიბუტები; თუ ვინ იყვნენ მხარეები; რა იყო კონფლიქტის ობიექტი და სად მიმდინარეობდა იგი. გაანალიზებულია კონფლიქტის მიმდინარეობის არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტებიც.

ვინაიდან, საუბარია დიდ (რუსეთი) და პატარა (საქართველო) სახელმწიფოებს შორის დაპირისპირებაზე, მნიშვნელოვანია მისი განხილვა ძალის უპირატესობის კონტექსტში. აღნიშნულ თავში რუსეთ-საქართველოს

ომი განხილულია რობერტ არტის თეორიის მიხედვით, რომელიც გვიხსნის, თუ როდის და რა მიზნით მიმართავენ სახელმწიფოები ძალის გამოყენებას.

გაანალიზებულია აგვისტოს ომის ბუნება და მასში მონაწილე მხარეთა თვალთახედვა; რა არგუმენტები აქვთ მხარეებს კონფლიქტში ჩართვის მხრივ და რამდენად განსხვავდება ერთმანეთისგან, თუ ემთხვევა ისინი ერთმანეთს. ასევე, განხილულია თუ როგორ ტრანსფორმირდა და რა ფორმით ვლინდება მინინაციონალიზმი ომის შემდგომ.

მესამე თავში - ,,მინინაციონალიზმის გავლენა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე"- გაანალიზებულია საქართველო-ევროკავშირისა და საქართველო-ნატო-ს (ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია) ურთიერთობების დინამიკა, თუ რა გზა გავიარეთ აღნიშნულ ორგანიზაციებთან დასაახლოებლად და რა მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის ევროკავშირისა და ნატო-ს წევრობას. განხილულია ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივები. ასევე, განხილულია ის წინააღმდეგობები, რასაც ქვეყანა აწყდება ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ მიმავალ გზაზე.

ვინაიდან, კვლევის მთავარი თემა მინინაციონალიზმია, აღნიშნულ თავშიც იგი განხილულია, როგორც ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი, საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით. სეპარატისტული ნაციონალიზმი წარმოდგენილია როგორც პრობლემა, რომელიც განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკის ძირითად და მთავარ მიმართულებებს. ასევე, საუბარია სხვა ხელშემშლელ ფაქტორებზე, რომლებიც მთავარ წინაღობას წარმოადგენს ევროპულ და ევროატლანტიკურ გზაზე, მათ შორისაა: რუსეთი, მოუმწიფებელი დემოკრატია, მოსახლეობის ჩამოუყალიბებელი პოზიცია (ნატო-სთან და ევროკავშირთან მიმართებაში), საერთაშორისო ორგანიზაციების წევრ ქვეყნებს შორის შეუთანხმებლობა გაწევრიანების მსურველ ქვეყნებთან მიმართებაში და ა.შ. ამავე თავში განხილულია, თუ რა გავლენა აქვს მინინაციონალიზმს საქართველოს საშინაო პოლიტიკაზე.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, 11 ქვეთავის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და დანართებისგან. შესავალში გადმოცემულია დისერტაციის საკვლევი თემის აქტუალურობა, თემის დამუშავების მდგომარეობა, მეთოდოლოგია და თეორიული ჩარჩო, ჰიპოთეზა, საკვლევი კითხვები, თემის მიზნები და ამოცანები, კვლევის საგანი, თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდები, ასევე, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. დასკვნაში მოცემულია კვლევის ზოგადი შედეგები და რეკომენდაციები.

Annotation

The dissertation - "The Impact of Mininationalism in the Separatist Regions Occupied by Russia on the Domestic and Foreign Policy of Georgia" - addresses one of the most important problems of modernity - mininationalism and its essence, as well as its role in the domestic and foreign policy of Georgia, the role of Russia in the formation of separatist nationalism in Abkhazia and so-called "South Ossetia". The research also includes the analysis of theoretical approaches to the Russian-Georgian conflict, the scientific elaboration of the issue, and the development of relevant recommendations.

The subject of research is mininationalism existing in the Russia-occupied separatist regions of Georgia (Abkhazia and so-called "South Ossetia") and its impact on the domestic and foreign policy of Georgia.

The introduction is standard in nature, it sets out the urgency of the paper, the purpose and task of the research, as well as its practical significance, theoretical-methodological foundations, and scientific novelty.

The first chapter of the paper - "Theoretical-methodological foundations of mininationalism and the historical background of its influence in Georgia" - covers three issues:

1. Mininationalism and its essence;
2. Detection of mininationalism in Georgia and its typology;
3. The Russian factor in the manifestation of mininationalism in Abkhazia and the Tskhinvali region / South Ossetia (historical retrospective).

The first chapter discusses nationalism in general and one of its types - mininationalism, what it means, and how it originated in Georgia. Also, who contributed to its formation and what role it still plays in the political life of the country.

In the modern world, nationalism remains a topical phenomenon, it is interesting because of its dualistic nature, it is neither a positive nor a negative event to the end.

The paper will focus on mininationalism as nationalism of an ethnic minority that manifests itself in an aggressive form and, consequently, we discuss it as separatist nationalism as a force driven against the idea of the unity of the country.

It is not strange that the chaotic situation in Georgia in the 90s of the XX century was followed by the formation of two separatist regimes on the territory of the country - in the form of Abkhazia and the so-called "South Ossetia". The legal successor of the Soviet Union, the Russian Federation, which did not want to lose its spheres of influence in the former allied republics, took an active part in these processes. It somehow encouraged the separatist movements to leave a foothold in Georgia.

The second chapter - "Political Consequences of the Russia-Georgia War of August 2008 and the Dynamics of Mininationalism" - presents the chronology of the August war, the events that preceded it, and the escalation of the conflict and its consequences. The nature of the conflict and its attributes are analyzed, who were the parties, what was the object of the conflict, and where it took place. Not only geographical but also social and psychological aspects of the progress of the conflict are analyzed.

Since we are talking about a confrontation between the big (Russia) and small (Georgia) states, it is important to discuss it in the context of the superiority of force. This chapter discusses the Russia-Georgia war according to Robert Art's theory, which explains when and for what purpose states resort to the use of force.

The nature of the August war and the views of the parties involved in it are analyzed. What the arguments of the parties are in terms of involvement in the conflict and how different or similar are they to each other. It also discusses how post-war mininationalism was transformed and manifested.

The third chapter - "The Impact of Mininationalism on the Current Political Processes in Georgia" - analyzes the dynamics of Georgia-EU and Georgia-NATO

(North Atlantic Treaty Organization) relations, what path we have gone through to get closer to these organizations, and what the importance of EU and NATO membership is for Georgia. European Neighborhood Policy and Eastern Partnership initiatives are discussed. Also, the contradictions that the country faces on the way to European and Euro-Atlantic structures are analyzed.

Since the main topic of the research is mininationalism, it is also discussed in this chapter as one of the main obstacles to the development of the country - from the point of view of foreign policy. Separatist nationalism is presented as a problem that defines the basic and main directions of foreign policy. It touches also on other impediments that represent the major challenges on the European and Euro-Atlantic path, including Russia, an immature democracy, an underdeveloped position of the population (concerning NATO and the European Union), and disagreements between member states of international organizations concerning the countries wishing to join it, and so on. The same chapter discusses the impact of mininationalism on the domestic policy of Georgia.

The dissertation consists of an introduction, three chapters, 11 sub-chapters, a conclusion, a list of references, and appendices. The introduction outlines the relevance of the research topic of the dissertation, the condition of processing of the topic, methodology and theoretical framework, hypothesis, research questions, goals and objectives of the topic, subject of the research, methods used in the topic development, as well as theoretical and practical significance of the paper. The conclusion provides general results and recommendations of the research.

სარჩევი

შესავალი..... 12

ლიტერატურის მიმოხილვა..... 23

თავი I. მინინაციონალიზმის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და საქართველოში მისი გავლენის ისტორიული ფონი..... 30

1.1. მინინაციონალიზმი და მისი არსი..... 30

1.2. მინინაციონალიზმის გამოვლენა საქართველოში და მისი ტიპოლოგია..... 35

1. 3. რუსეთის ფაქტორი აფხაზეთსა და ,,სამხრეთ ოსეთში" მინინაციონალიზმის გამოვლენაში (ისტორიული რეტროსპექტივა)..... 47

თავი II. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის პოლიტიკური შედეგები და მინინაციონალიზმის დინამიკა..... 63

2.1. აგვისტოს ომის წინმსწრები მოვლენები და კონფლიქტის ესკალაცია..... 63

2.2. ძალის უპირატესობა და კონფლიქტის შედეგები..... 79

2. 3. მინინაციონალიზმის გამოვლინება ომის შემდგომ პერიოდში..... 90

თავი III. მინინაციონალიზმის გავლენა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე..... 95

3.1. საქართველო-ევროატლანტიკური სტრუქტურების ურთიერთობების დინამიკა.... 95

3.1.1. ევროკავშირი - სამეზობლო პოლიტიკა, აღმოსავლეთ პარტნიორობა და სხვ. ... 96

3.1.2. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია..... 105

3.2. მინინაციონალიზმის გავლენა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ არჩევანზე (სხვა ხელშემშლელი ფაქტორები)..... 110

3.3. მინინაციონალიზმის გავლენა საქართველოს საშინაო პოლიტიკაზე..... 116

ჩაღრმავებული ინტერვიუ ექსპერტებთან..... 121

დასკვნა..... 128

გამოყენებული ლიტერატურა..... 138

დანართები..... 152

შესავალი

საკითხის წინაპირობა და თემის აქტუალურობა

თანამედროვე გლობალური და ურთიერთდამოკიდებული საერთაშორისო სისტემა ეფუძნება წესრიგის გარკვეულ სახეს, რასაც ქმნიან თავად ამ სისტემის მთავარი აქტორები - სახელმწიფოები, რომლებიც მეტწილად დგანან უამრავი გამოწვევის წინაშე, განსაკუთრებით - პატარა სახელმწიფოები. გამოწვევებთან გამკლავება კი უმთავრესად სხვა სახელმწიფოებისა თუ სახელმწიფოთა გაერთიანებების დახმარების გარეშე შეუძლებელია.

პატარა სახელმწიფოებში ხშირად თავს იჩენს სეპარატისტული ნაციონალიზმი და ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს საქართველო. სწორედ რომ სეპარატიზმი იქცა ქვეყნის მთავარ თავსატეხად, შესაბამისად, საქართველოს პოლიტიკური დღის წესრიგიც მთლიანად მასზეა მორგებული, ვინაიდან სწორედ ის არის დესტაბილიზაციის მთავარი წყარო.

ზოგადად, ეთნიკური კონფლიქტების გადაჭრა არცთუ ისე მარტივი საკითხია. ხშირ შემთხვევაში ეთნიკური ჯგუფები (რეალურად თუ მოჩვენებით) არ ან ვერ სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და შესაბამისად, დაბალია საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ხარისხი. სახელმწიფოს მთავარი მიზანი კი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების თავიდან არიდება და ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, რაც უნდა ეფუძნებოდეს თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

ნაციონალიზმი კვლავაც აქტუალურ თემად რჩება თანამედროვე სამყაროში. იგი საინტერესოა თავისი ბიპოლარული ხასიათის გამო. მას განიხილავენ როგორც პოზიტიურ (როგორც ერების გამაერთიანებელი ძალა), ისე ნეგატიურ კონტექსტში (როგორც ერების გამხლეჩი ძალა).

ხშირად ისმის კრიტიკა მეცნიერთა თუ მკვლევართა გარკვეული ნაწილის მხრიდან, თითქოს ნაციონალიზმი მოძველებული ფენომენია და აღარ უნდა დავუთმოთ დრო მის განხილვას. რა თქმა უნდა, ნებისმიერ მოსაზრებას აქვს

ლეგიტიმურად არსებობის უფლება, თუმცა ფაქტია, რომ დღემდე საერთაშორისო პოლიტიკაში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა სწორედ ნაციონალიზმია, ვინაიდან არ არსებობს ერი ნაციონალური გრძნობების გარეშე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სეპარატისტული ნაციონალიზმი, რომელიც, ძირითადად, ვლინდება კონკრეტულ სახელმწიფოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებში, რომლებიც უკმაყოფილონი არიან არსებული მდგომარეობით და ხშირ შემთხვევაში მათი მოთხოვნა ან სრული დამოუკიდებლობაა ან სხვა სახელმწიფოსთან გაერთიანება. სეპარატიზმი კი პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასთან და არაერთი კონფლიქტის წყარო ხდება.

საქართველოს ტერიტორიაზე XX საუკუნის 90-იანი წლებიდან არსებობს ორი სეპარატისტული რეჟიმი, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახით. ისინი კეთილგანწყობილნი არიან რუსეთის ფედერაციის მიმართ, რომელიც თავის დროზე აქტიურად აქეზებდა აფხაზეთისა და ,,სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე სეპარატიზმს. მოსკოვი მოქმედებდა ,,დაყავი და იბატონე”-ს პრინციპით, ვინაიდან, სურდა, შეენარჩუნებინა კონტროლის მექანიზმი საქართველოზე.

აფხაზეთი და ,,სამხრეთ ოსეთი“ დღესდღეობით რუსეთის ფედერაციის გავლენის ქვეშ იმყოფება. მოსკოვი კი თავის მხრივ ამ რეგიონებს იყენებს, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტს საქართველოს წინააღმდეგ, ვინაიდან კარგად ესმის, რომ გაყინული კონფლიქტების არსებობა, გარკვეულწილად, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

მიუხედავად რთული შიდაპოლიტიკური სირთულეებისა და სერიოზული ზეწოლისა - მეზობელი სახელმწიფოს მხრიდან, საქართველო მაინც ისწრაფვის ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ. მისი მიზანი ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანებაა და ცდილობს, მაქსიმალურად დაუახლოვდეს აღნიშნული ორგანიზაციების სტანდარტებს, თუმცა, ამ გზაზე უამრავ წინააღმდეგობას აწყდება.

დღეს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას ერთგვარად განსაზღვრავს სეპარატისტული რეჟიმები, რომლებიც აფერხებენ ქვეყნის

განვითარებას. ისინი, საქართველოსადმი მტრულად განწყობილი რუსეთის ფედერაციის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენენ (რაც, თავის მხრივ, ამ უკანასკნელს საშუალებას აძლევს, მუდმივად აკონტროლოს ქვეყნის საშინაო პოლიტიკა). საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით კი, საქართველოს წარმოაჩენენ როგორც არამიმზიდველ და პრობლემურ სახელმწიფოს, რომლის მიღებაც ნატო-სა და ევროკავშირში მხოლოდ წინააღმდეგობებთანაა დაკავშირებული.

სწორედ ზემოაღნიშნული - აქტუალური საკითხებია დღესდღეობით საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარი ქვაკუთხედი. ჩვენ ყოველდღიურად ვადევნებთ თვალს, თუ როგორ ვითარდება მოვლენები ოკუპირებულ ტერიტორიებზე და როგორ აისახება იგი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა აღნიშნულ თემაზე მუშაობა.

რაც შეეხება კვლევის **ობიექტს** და **საგანს,** ეს არის აფხაზური და ოსური მინინაციონალიზმი და მისი გავლენა საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

თემის დამუშავების მდგომარეობა

მინინაციონალიზმის ანალიზის დროს მნიშვნელოვანია დისციპლინათაშორისი კვლევის მეთოდის გამოყენება. გამოყენებული ლიტერატურის დაყოფა შესაძლებელია შემდეგნაირად:

წყაროთა **პირველ ჯგუფში** შედის ქართველ და უცხოელ ავტორთა სამეცნიერო ნაშრომები პოლიტიკურ მეცნიერებაში, კონფლიქტოლოგიაში, გეოპოლიტიკაში და ა.შ. საყურადღებოა შ. მალაშხიას, ზ. პაპასქირის, ზ. დავითაშვილის, პ. მამრაძის, ს. ვახტანგაშვილის, კ. კაკაჩიას, ჯ. კვიციანის, ბ. კვარაცხელიას, ა. რონდელის, ნ. ჩიტაძის, გ. ხუციშვილის, ბ. ბუზანის, ბ. ანდერსონის, რ. ასმუსის, ე. გელნერის, რ. არტის, ე. სმითის, ს. ჯონსისა და სხვათა შრომები, რომლებშიც განხილულია, ზოგადად, მინინაციონალიზმის არსი,

აფხაზური და ოსური სეპარატისტული ნაციონალიზმი, რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების ასპექტები.

წყაროთა **მეორე ჯგუფში** შედის ადგილობრივი და საერთაშორისო სააგენტოების ინტერნეტრესურსები და ინფორმაციები - წამყვანი საინფორმაციო-ანალიტიკური და სამეცნიერო-კვლევითი პორტალები, ასევე, პერიოდული გამოცემების ინტერნეტვერსიები. ნაშრომში გამოყენებულია ვაშინგტონის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის, ასევე სტოკჰოლმის მსოფლიო პრობლემების კვლევის საერთაშორისო უნივერსიტეტის (SIPRI)[1] მონაცემები. პირველი მათგანი საინტერესოა საქართველოში ჩატარებული კვლევების თვალსაზრისით, რაც მოიაზრებს, თუ რა განწყობებია მოსახლეობაში საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, მოსახლეობის რა ნაწილი მიიჩნევს ტერიტორიულ პრობლემებს მთავარ გამოწვევად და ა. შ. ხოლო მეორე მათგანში გაანალიზებულია პოსტსაბჭოთა სივრცეში ეთნიკური კონფლიქტები, მათ შორის საქართველოშიც.

ნაშრომის თეორიული ჩარჩო

გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს ერი ნაციონალური გრძნობების გარეშე, ნაციონალიზმი მნიშვნელოვან და მთავარ მამოძრავებელ ძალად რჩება მსოფლიოს ხალხებში. იგი არის როგორც პროცესი, ისე იდეოლოგია, რომლის ირგვლივაც ერთიანდება კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრები საზოგადოება ,,ეროვნული ინტერესებისადმი, ეროვნული ერთობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისადმი ერთგულებითა და მისი დაცვით“.[2] *ე. ჰაასის* თეორიის თანახმად, ნაციონალიზმი ნებისმიერი ,,პოლიტიკური ადამიანისთვის“ აუცილებელი ეტაპია.

[1] STOCKHOLM INTERNATIONAL PEACE RESEARCH INSTITUTE, http://www.sipri.org, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.06.2020.

[2] დავითაშვილი ზ., ,,ნაციონალიზმი და გლობალიზაცია”, ,,მეცნიერება“, თბილისი, 2003, გვ. 46.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ნაციონალიზმი გამოირჩევა თავისი დუალისტური ბუნებით. იგი ასოცირდება როგორც ბოროტებასთან, ისე სიკეთესთან. ამ მხრივ საინტერესოა *კ. ჰეიესის* თეორია, რომლის თანახმად, ნაციონალიზმი ბოროტებაა მაშინ, როდესაც ქადაგებს ერის გამორჩეულობასა და უპირატესობას, როცა აზროვნებას, კულტურასა და ქცევას ეროვნულობით განსაზღვრავს, ზრდის მასების მორჩილებას, ქადაგებს სხვა ეროვნებების სიძულვილს, საზოგადოებას ამზადებს ომისთვის, არის არატოლერანტული და შეუწყნარებელი, ავლენს ტერიტორიულ პრეტენზიებს. ამასთან *კ. ჰეიესი* ამბობს, რომ ნაციონალიზმი არის ისტორიული პროცესი, რომელიც ეროვნებების პოლიტიკურ ერთობად გარდაქმნაში მდგომარეობს, რომ ეს არის სული და გრძნობა, რომელიც აერთიანებს კონკრეტული ეროვნების წევრებს და საკუთარი შინაგანი უპირატესობის განცდით - ერი-სახელმწიფოს შექმნისკენ უბიძგებს. იგივე აზრს ავითარებს *ე. დ. სმითი,* რომლის თანახმადაც, ნაციონალიზმი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მშენებლობის ერთადერთი ლეგიტიმური ძალაა. *ე. გელნერის* თეორიის თანახმად კი, ნაციონალიზმი არის პოლიტიკური პრინციპი, რომელშიც პოლიტიკური და ეროვნული ერთობა ურთიერთთანხვედრილი უნდა იყოს.

შეუძლებელია მსოფლიოში იმდენი სახელმწიფოს არსებობა, რამდენი ეთნიკური ჯგუფიცაა. ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა ისტორიული მეხსიერების, კულტურისა თუ რელიგიის მქონე ეთნიკურ ჯგუფებს უწევთ ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრება. საუკეთესო შემთხვევაში - ადგილი აქვს ჯგუფებს შორის კეთილგანწყობას და ჰარმონიულ თანაცხოვრებას, არც კი იგრძნობა განსხვავებულობა და შესაბამისად, კონფლიქტებიც არ არსებობს. ცუდ შემთხვევაში - განსხვავებული ეთნიკური ჯგუფები ვერ თანხმდებიან - კულტურული საკითხებიდან დაწყებული ძალაუფლების ადმინისტრაციული გადანაწილებით დამთავრებული, ასეთ დროს სახეზე გვაქვს ეთნიკური კონფლიქტები.

როდესაც კონკრეტული ეთნიკური ჯგუფი უკმაყოფილოა ცენტრალური მმართველობით და თავს დაჩაგრულად გრძნობს ეთნიკურ ნიადაგზე, მაშინ

მასში ვლინდება აგრესიული ნაციონალიზმი, იგივე სეპარატისტული ნაციონალიზმი, იგივე მინინაციონალიზმი. სახელმწიფოები საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი აქტორები არიან, რომელთა განხილვაც, როგორც *ა.რონდელი* ამბობს, შეუძლებელია, როგორც უნიტარული აქტორები. ვინაიდან, ისინი შედგებიან სხვადასხვა, ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკური ძალებისგან, რომლებიც შიგნიდან ხლეჩენ ქვეყანას. მინი-ნაციონალიზმი სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის რღვევის მთავარი ფაქტორია, ერთგვარი გამხლეჩი ძალაა, რომელიც ეფუძნება ერთა თვითგამორკვევის პრინციპს. *უ. პფაფის* მოსაზრებით, ნაციონალიზმი ადამიანთა იდენტურობის გამომხატველი ღრმა და ნეგატიური ძალაა, რომელიც უამრავი ძალადობის მიზეზი ხდება.

სეპარატისტული ნაციონალიზმი ვლინდება მაშინ, როდესაც კონკრეტული ეთნიკური ჯგუფი უკმაყოფილოა არსებული მდგომარეობით. მიზეზი კი უამრავი შეიძლება იყოს:

- განვითარების იმგვარ ნიშნულამდე მიღწევა, როცა ეთნიკურ ჯგუფს მიაჩნია, რომ საკუთარი სახელმწიფო უნდა ჰქონდეს და არ იყოს სხვის მიერ მართული და არ უნდა იმყოფებოდეს სხვის შემადგენლობაში;
- ეთნიკური თვითმყოფადობის განადგურების შიში;
- შეგრძნება, რომ ტიტულარული ერის მიერ იჩაგრება და ხელისუფლების მხრიდან არათანასწორუფლებიან პრინციპზე დამყარებული პოლიტიკის მსხვერპლია;
- ,,რომანტიკული“ გრძნობები გარეძალის მიმართ, რომელიც თავის მხრივ, მუდმივად მანიპულირებს მისით და ცდილობს განხეთქილების წარმოქმნას ეთნიკურ ნიადაგზე და ა.შ.

ისტორია მოწმობს, რომ დიდი იმპერიები მიდრეკილნი არიან, შთანთქონ ან დაიმორჩილონ და მართონ მეზობელი სახელმწიფოები. ამგვარი ქმედება აიხსნება იმით, რომ მათ გააჩნიათ გეოპოლიტიკური ინტერესი კონკრეტულ რეგიონში. ხშირ შემთხვევაში მათი მსხვერპლი პატარა სახელმწიფოები არიან. საქართველოსა

და რუსეთის მაგალითი ამ მხრივ სწორედაც რომ კონტექსტუალურია. მოსკოვისთვის სეპარატისტული რეგიონები (აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი), წარმოადგენს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე მანიპულაციის მთავარ იარაღს. რუსეთი ცდილობს საქართველოში არსებულ სეპარატისტულ რეგიონებში რუსული პასპორტების დარიგებას, რათა ჰქონდეს საბაბი საქართველოში მორიგი სამხედრო ინტერვენციის განსახორციელებლად.

XXI საუკუნეში, გამომდინარე იქიდან, რომ ძალა კვლავ რჩება სახელმწიფოთა ურთიერთობების მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად, პოლიტიკური რეალიზმი ინარჩუნებს დომინანტურ პოზიციას საერთაშორისო ურთიერთობებში. ამასთან, კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ტრანსფორმირდა ძალის მთავარი კომპონენტები და თუკი ადრე მხოლოდ სამხედრო, პოლიტიკური თუ გეოგრაფიული ფაქტორები ითვლებოდა მნიშვნლოვნად, დღეს წინ წამოიწია სხვა ელემენტები - ინფორმაციის ფლობა, ეკონომიკური განვითარება, თანამედროვე ტექნოლოგიები და ა.შ. ძალის კომპონენტებთან და ფუნქციებთან დაკავშირებით საინტერესო თეორიას ავითარებს *რობერტ არტი,* რომლის თანახმადაც, ძალას აქვს ოთხი ფუნქცია: თავდაცვა, დაშინება, იძულება და ტრაბახი. სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენება კონკრეტული ფუნქციით დამოკიდებულია მის მიზანზე.

საკვლევი თემის ძირითადი მიზნები და ამოცანები:

- მინინაციონალიზმის არსის და კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე აფხაზური და ოსური მინინაციონალიზმის გავლენის გაანალიზება;
- რუსეთის ფედერაციის როლის გამოკვეთა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეჟიმებში მინინაციონალიზმის ფორმირებაში;
- რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის წინმსწრები მოვლენების შეფასება და გაანალიზება;

- 2008 წლის აგვისტოს ომის შეფასება რობერტ არტის თეორიის მიხედვით, ძალის უპირატესობის კონტექსტში;
- 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოში მინინაციონალიზმის გამოვლენის გაანალიზება;
- საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ მიმავალ გზაზე მინინაციონალიზმისა და სხვა ხელშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება და გაანალიზება. ასევე, ზეგავლენის ხარისხის განსაზღვრა.

ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვები:

- რაში მდგომარეობს მინინაციონალიზმის არსი და რა იწვევს მას?
- რა როლს თამაშობს მინინაციონალიზმი საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში?
- რა როლს ასრულებს რუსეთის ფედერაცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მინინაციონალიზმის ფორმირებასა და გამოვლენაში?
- რა მოვლენები უსწრებდა წინ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს?
- რა მიზეზების გამო ვერ წევრიანდება საქართველო ნატო-სა და ევროკავშირში?

ჰიპოთეზა

რუსეთის მიერ ოკუპირებულ სეპარატისტულ რეგიონებში არსებული მინი-ნაციონალიზმი ნეგატიურად აისახება საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, აფერხებს მის სწრაფვას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში და უქმნის არასტაბილური ქვეყნის იმიჯს.

კვლევის მეთოდები

კვლევის დროს გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ, შემთხვევის შესწავლა (Case Study), რაც გულისხმობს რეალური ფაქტების ანალიზს სხვადასხვა მეცნიერისა თუ მკვლევრის ნაშრომებზე დაყრდნობით. იგი, ძირითადად, პასუხობს შემდეგ კითხვებზე: ,,როგორ'' ან ,,რატომ''. ამ მეთოდის გამოყენება საშუალებას გვაძლევს, ვიხელმძღვანელოთ ლიტერატურის მიმოხილვით.[3] კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი, სიღრმისეული ინტერვიუ, აღნიშნული დარგის ექსპერტებთან (პოლიტიკოსებთან, მეცნიერებთან, მოვლენების უშუალო მონაწილესთან). ნაშრომი ეყრდნობა სხვადასხვა მოვლენის ანალიზისადმი სისტემურ, კრიტიკულ და კომპლექსურ მიდგომას. გამოყენებულ იქნა შედარების, სინთეზის, ინდუქციის და დედუქციის მეთოდები, ასევე დისციპლინათაშორისი მეთოდიც. საკითხები გაანალიზებულია ისტორიულ ჭრილში, განხილულია პირველადი და მეორადი წყაროები. ნაშრომი ეყრდნობა ემპირიული და თეორიული კვლევის საფუძვლებს, რომლის მიზანიც შესაბამისი, სათანადო დასკვნების გაკეთებაა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია პოლიტიკის მეცნიერებაში ფართოდ გავრცელებული ნაციონალიზმის სკოლის ერთ-ერთი თეორია - მინინაციონალიზმი, რომელიც ემყარება ისეთი ცნობილი თეორეტიკოსების მოსაზრებებს, როგორებიც არიან: ე. ჰაასი, კ.ჰეიესი, ე. დ. სმითი, ე. გელნერი, უ. პფაფი, ბ. ანდერსონი და სხვები. აღნიშნული ავტორები სკრუპულოზურად აღწერენ ნაციონალიზმის არსს და მნიშვნელობას კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნაციონალიზმი გამოირჩევა თავისი დუალისტური ბუნებით. მკვლევარები მას განიხილავენ როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ კონტექსტში. აღნიშნულ კვლევას ლაიტმოტივად გასდევს

[3] Planning Research Design, ,,The case study method'', http://www.psyking.net/HTMLobj-3838/Case_Study_Method.pdf; უკანასკნელად იქნა გადამოწმებული, 05.06.2020.

მინინაციონალიზმი, როგორც სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერთიანობის იდეის წინააღმდეგ მიმართული ძალა. ამასთან, ნაშრომში გაანალიზებულია ნაციონალიზმის პოზიტიური ბუნებაც, რაც გამოიხატება ხალხთა გაერთიანებაში და ერი-სახელმწიფოს შექმნაში.

კვლევაში გამოყენებულია რობერტ არტის თეორია - ძალის ოთხი ფუნქციის შესახებ. იგი გვეხმარება იმის გაანალიზებაში, თუ რა მიზნით (თავდაცვის, იძულების, დაშინების თუ ტრაბახის) იყენებენ სახელმწიფოები ძალას. აღსანიშნავია, რომ რ. არტი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების წამყვანი სკოლის - ნეორეალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლია.

ნაშრომში, ასევე, გამოყენებულია ,,დაბალანსებისა და მიტმასნების“ თეორია, რომელიც გვეხმარება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან მიმართებაში, საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის სწორად განსაზღვრაში.

კონფლიქტის თეორიით კი, გაანალიზებულია რუსეთ-საქართველოს 2008 წლის კონფლიქტის ტიპოლოგია, ატრიბუტები და ბუნება.

სადისერტაციო კვლევის მეცნიერული სიახლე

დასმული პრობლემის კვლევისა და ანალიზის შედეგად მიღებულ სიახლედ, ზოგადად, უნდა განვიხილოთ მინინაციონალიზმისა და საქართველოს საშინაო/საგარეო პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულება (სადაც მინი-ნაციონალიზმი წარმოადგენს დამოუკიდებელ ცვლადს, ხოლო საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა დამოკიდებულ ცვლადებს). შეიქმნა ერთგვარი სამკუთხედი, რომლის ერთ კუთხეში თავსდება მინინაციონალიზმი, მეორე კუთხეში - საშინაო, მესამე კუთხეში - საგარეო პოლიტიკა. ამასთან, ცენტრში განთავსებულია რუსეთის ფედერაცია, როგორც გეოპოლიტიკური ინტერესების მქონე სახელმწიფო კავკასიის რეგიონში. სწორედ, რუსეთი მოიაზრება აფხაზეთსა

და ,,სამხრეთ ოსეთში“ მინინაციონალიზმის მთავარ წამქეზებლად და საქართველოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის მაკონტროლებლად.

აღნიშნული ნაშრომი, ასევე არის ერთგვარი მხილება იმ საერთაშორისო ორგანიზაციებისა, რომლებიც რეალურად არ არიან მზად საკუთარ რიგებში, წევრად მიიღონ დიდი საშინაო პრობლემების მქონე პატარა ქვეყანა და ამით დაუპირისპირდნენ დიდ სახელმწიფოს, რომელთანაც თავიანთი, გარკვეული ,,ანგარიშები“ აქვთ.

თითქმის არ მოიპოვება ნაშრომი, სადაც აფხაზური და ოსური მინინაციონალიზმი ისეთ კონტექსტშია განხილული, როგორც წინამდებარე ნაშრომში. იგი წარმოდგენილია მთავარ, საბაზისო პრობლემად, რომელზეც დაფუძნებულია სხვა, დანარჩენი პრობლემები, რომლებიც ერთიანობაში ხელს უშლიან ქვეყნის განვითარებასა და წინსვლას.

ნაშრომის თეორიული ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის თეორიული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ დისერტაციას თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს მინინაციონალიზმის ზეგავლენის კვლევაში საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. რაც შეეხება პრაქტიკულ მნიშვნელობას, დისერტაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც დამხმარე მასალა შესაბამისი პროფილის დისციპლინის ათვისებისას. ასევე, შემუშავებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გამოყენება შესაძლებელი იქნება, როგორც ქვეყნის საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს.

ლიტერატურის მიმოხილვა

XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული მინინაციონალიზმი საქართველოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები არაერთი სახელმწიფოს მთავარი თავსატეხია.

ნაციონალიზმი დღემდე აქტუალურ თემად რჩება მსოფლიო პოლიტიკაში. იგი ხშირად განსაზღვრავს ცალკეული ქვეყნის პოლიტიკის დღის წესრიგს. ეს არის თემა, რომლის გარშემოც არაერთი უცხოელი თუ ქართველი მეცნიერის (მკვლევრის) ნაშრომი არსებობს, სადაც საკმაოდ ღრმადაა შესწავლილი ნაციონალიზმი და განხილულია საკითხები, თუ რა გავლენა და ძალა აქვს ნაციონალიზმს სხვადასხვა საზოგადოებასა და სახელმწიფოზე.

XX საუკუნეში საქართველომ ორი უმძიმესი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი გადაიტანა და შედეგად სეპარატისტული რეჟიმები მიიღო, მოგვიანებით კი, 2008 წლის აგვისტოს თვეში, ქვეყანა მეზობელი სახლმწიფოს მხრიდან სამხედრო აგრესიის მსხვერპლი გახდა. საკმარისად დიდი დრო გავიდა საიმისოდ, რომ გავაანალიზოთ იმ პერიოდის მოვლენები, მივყვეთ ქრონოლოგიას, დავადგინოთ ომის გამომწვევი მიზეზები, შედეგები, გამოვიტანოთ კონკრეტული დასკვნები და შევიმუშავოთ რეკომენდაციები.

ის, რომ რუსეთის ფედერაციას კავკასიის რეგიონში აქვს თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები, ყველასთვის ნათელია, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მის მიერ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში აქტიურ ჩარევას. მოსკოვისთვის სეპარატისტული რეჟიმები (აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი) ერთგვარი იარაღია საქართველოს გასაკონტროლებლად, რათა არ დაუშვას მისი ნატო-სა (ჩდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია) და ევროკავშირში ინტეგრაცია.

მნიშვნელოვანია **ზურაბ დავითაშვილის** 2003 წლის ნაშრომი **„ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“**, რომელიც ერთგვარი სამაგიდო წიგნია

ბევრი მკვლევრისთვის. მასში სიღრმისეულად არის გაანალიზებული და გამოკვლეული ნაციონალიზმი, მისი ტიპები, განმსაზღვრელი ფაქტორები, გამოვლინების ფორმები და ა.შ. წიგნში დეტალურად არის განხილული, თუ რას ნიშნავს მინინაციონალიზმი (სეპარატისტული ნაციონალიზმი), როდის და სად ვლინდება იგი და რა როლს თამაშობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ასევე, საუბარია საქართველოში არსებულ მინინაციონალიზმზე და მისი გამოვლენის ისტორიაზე. საინტერესოა, რომ ავტორი განიხილავს აფხაზურ და ოსურ ნაციონალურ პროექტებს, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ქართულ, ტიტულარულ ნაციონალიზმთან. იგი მოკლედ მიმოიხილავს XX საუკუნის 80-იან წლებში მომხდარ პოლიტიკურ მოვლენებს ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური ნაციონალიზმის დაპირისპირებების კონტექსტში.

ერნესტ გელნერი თავის ნაშრომში - **,,ერები და ნაციონალიზმი“** - ნაციონალიზმის გაჩენისა და გავრცელების ხანად ინდუსტრიულ პერიოდს მიიჩნევს. ავტორის მოსაზრებით, ნაციონალიზმი არის პრინციპი, რომლის თანახმადაც, ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს ეროვნული და პოლიტიკური საზღვრები.[4]

საინტერესოა **ბენედიქტ ანდერსონის** ნაშრომი - **,,წარმოსახვითი საზოგადოებანი: მოსაზრებანი ნაციონალიზმის წარმოშობისა და გავრცელების შესახებ“** - ნაციონალიზმის შესახებ. ავტორი ერებსა და ნაციონალიზმს ახალ მოვლენად მიიჩნევს, რომელიც ევროპაში ჩამოყალიბდა და გავრცელდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ. მისი შეხედულებით, ნაციონალიზმი კულტურული სისტემაა, რომელიც ქმნის საფუძველს შემდგომი პოლიტიკური მიზნებისა და მოძრაობებისთვის.[5] იგი ნაციონალიზმის ფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ნაციონალისტურად განწყობილი ელიტის არსებობას განიხილავს.

---

[4] გელნერი ე., ,,ერები და ნაციონალიზმი“, ,,ნეკერი“, თბილისი, 2003, გვ. 5;
[5] ანდერსონი ბ., ,,წარმოსახვითი საზოგადოებანი: მოსაზრებანი ნაციონალიზმის წარმოშობისა და გავრცელების შესახებ“, ,,ენა და კულტურა“ თბილისი,2003, გვ. 4.

ნაციონალიზმის თეორიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მკვლევარი, **ენტონი სმითი,** თავის ნაშრომში - **,,ნაციონალური იდენტობა“** - ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დღევანდელ მსოფლიოში, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცეში და აღმოსავლეთ ევროპაში ნაციონალიზმის მოზღვავებამ წამოჭრა ნაციონალური ფენომენის სფეროს მიმოხილვისა და კვლევის აუცილებლობა. ავტორი იდენტობის ყველაზე მაღალ კატეგორიად ეროვნულ იდენტობას მიიჩნევს, რომელიც ბოლომდე არ არის დაცლილი ეთნიკური საფუძვლისგან. მისი აზრით, ეთნიკური მასალა, ეროვნული იდენტობის გადამწყვეტი ფაქტორია.[6]

საკმაოდ საინტერესოა **ბორის კვარაცხელიას** ნაშრომი **,,რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, ,,სამხრეთ ოსეთი“) და საერთაშორისო თანამეგობრობა“,** სადაც ავტორი განიხილავს საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებს. აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმების პრობლემას XXI საუკუნეში წარმოაჩენს, როგორც საქართველოს ფუნდამენტურ, სასიცოცხლო საკითხს და მთავარ წარმმართველ ვექტორს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში; ასევე, ზოგადი თვალსაზრისით, სეპარატიზმს თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში ქვეყნის ადგილისა და ფუნქციის განმსაზღვრელ, დამამკვიდრებელ ფენომენად განიხილავს.[7] ავტორი მოგვითხრობს საქართველოში მომხდარი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების წარმოშობის ქრონოლოგიაზე, მიზეზებსა და შედეგებზე; აანალიზებს მათში რუსეთის ფედერაციის როლსა და ინტერესებს.

შოთა მალაშხია ნაშრომში - **,,კონფლიქტების ანატომია“** - საკმაოდ დეტალურად განიხილავს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მომხდარ კონფლიქტებს, ასევე, აანალიზებს 2008 წლის აგვისტოს ომის ქრონოლოგიას. ავტორი განსაკუთრებით გამოყოფს კრემლის როლს, როგორც ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დაპირისპირებების მთავარ მაპროვოცირებელ ძალას. მისი

---

[6] სმითი ე. დ., ,,ნაციონალური იდენტობა'', ,,ლოგოს პრესი“, თბილისი, 2008, გვ. 3-8.
[7] კვარაცხელია ბ., ,,რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ(აფხაზეთი, ,,სამხრეთ ოსეთი“) და საერთაშორისო თანამეგობრობა“, ,,უნივერსალი“, თბილისი, 2015, გვ. 432.

აზრით, საქართველოს სეპარატისტულ რეჟიმებს მოსკოვი იყენებს ,,პაიკებად“ დამოუკიდებელი, ,,ურჩი“ საქართველოს დაშლისა და დამორჩილებისთვის.[8]

საინტერესოა **გიორგი ხუციშვილის** ნაშრომი - **,,როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები (1991-2005)“**, სადაც ავტორი კონფლიქტოლოგიას განიხილავს, როგორც მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში მეცნიერების სწრაფად განვითარებად დარგს.[9] ზოგადად აღწერს, თუ რა არის კონფლიქტი, როდის წარმოიშვა და განვითარდა იგი. ავტორი მსჯელობს მოსკოვის როლზე საქართველოში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების წარმოშობაში, რუსეთისა და ნატო-ს გეოპოლიტიკურ ინტერესებზე კავკასიაში, ასევე იმაზე, თუ რას ნიშნავს საქართველოსთვის ევროპა და პირიქით, ევროპისთვის - საქართველო, განსაკუთრებით ენერგორესურსების მიწოდების თვალსაზრისით.

თემატურია **რევაზ ჯორბენაძის** ნაშრომი - **,,პოლიტიკური კონფლიქტების მართვა“.** ავტორი განიხილავს კონფლიქტის ხუთ ძირითად ტიპს: ინფორმაციული, ინსტიტუციონალური, ღირებულებათა, ურთიერთდამოკიდებული და ინტერესთა კონფლიქტები. განმარტავს, თუ რას ნიშნავს თითოეული მათგანი და გამოყოფს მათ მთავარ მახასიათებლებს.[10] პოლიტიკურ კონფლიქტს კი განიხილავს, როგორც დაპირისპირებას პოლიტიკური სუბიექტებისა, რომელთაც სხვადასხვა ინტერესი, ღირებულებები და შეხედულებები გააჩნიათ’ ისინი ახდენენ ერთმანეთზე ზემოქმედებას საკუთარი ინტერესების მონოპოლიზაციისთვის.[11]

საინტერესო და ვრცელი ნაშრომია **ნიკა ჩიტაძის** წიგნი - **,,პოლიტოლოგია“ ,** სადაც IX ნაწილი დათმობილი აქვს საქართველოში, კერძოდ, ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ კონფლიქტებს. ავტორი აანალიზებს 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებს, თუ როგორ იქცა აფხაზეთი და ,,სამხრეთ ოსეთი“ ოკუპირებულ

---

[8]მალაშხია შ., ,,კონფლიქტების ანატომია“, საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 2011, გვ. 626.

[9]ხუციშვილი გ., ,,როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები (1991-2005)“, წიგნი 1, ICCN, თბილისი, 2016, გვ. 31.

[10]ჯორბენაძე რ., ,,პოლიტიკური კონფლიქტების მართვა“, ,,მეცნიერება“, თბილისი, 2001, გვ. 31-36.

[11]ჯორბენაძე რ., ,,პოლიტიკური კონფლიქტების მართვა“, ,,მეცნიერება“ თბილისი, 2001, გვ. 9.

ტერიტორიებად. იგი დეოკუპაციისა და არსებული კონფლიქტების გადაწყვეტის ერთადერთ გზად საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას ასახელებს.[12]

2008 წლის აგვისტოს ომზე მნიშვნელოვანი ნაშრომია **რონალდ ასმუსის „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“** (Asmus, A Little War that Shook the World. Georgia, Russia and the Future of the West, 2010). ავტორი მიმოიხილავს იმ მოვლენებს, რომელთაც საქართველო 2008 წლის ომამდე მიიყვანა. ასმუსი მსჯელობს კავკასიის რეგიონში არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაზე და მასში რუსეთის ფედერაციის ინტერესებზე. აღნიშნავს, რომ მოსკოვმა საქართველო დასაჯა თავისი დასავლური ორიენტაციის გამო. საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის მოგვარებისთვის კი, ავტორის აზრით, პირველ რიგში დასავლეთსა და რუსეთს შორის უნდა მოხდეს ურთიერთობის ნორმალიზება. მისივე მოსასზრებით, რეალურად 2008 წელს ომის გამომწვევი არც ერთი საკითხი არ გადაჭრილა და სამომავლოდ კონფლიქტის ალბათობაც მაღალია. საქართველოს კვლავ სურს დასავლეთისკენ სვლა, რუსეთს კი - მისი შეჩერება.[13]

მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც შეიქმნა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, არის საქართველოში მომხდარ კონფლიქტებთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის მიერ შემუშავებული **„ანგარიში“**, რომელიც შედგება სამი ტომისგან. ეს არის საკმაოდ ობიექტური დოკუმენტი, სადაც განხილულია კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები, კონფლიქტის ესკალაცია და შედეგები. მასში გადმოცემულია მხარეთა თვალთახედვა და პოზიციები, თუ რაში ადანაშაულებენ ისინი ერთმანეთს და რა მიზნით გამოიყენეს ძალა.

---

[12]ჩიტაძე ნ., „პოლიტოლოგია“, შ.პ.ს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, გვ. 390.

[13]ასმუსი რ. დ., „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, საქართველო, რუსეთი და დასავლეთის მომავალი“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი,2010, გვ. 252.

საინტერესოა **სვანტე ე. კორნელისა და ს. ფრედერიკ სტარის** სტატიათა კრებული - **„2008 წლის აგვისტოს ქვემეხები. რუსეთის ომი საქართველოში“** (Cornell S. E. & Starr S.F. , „The Guns of August 2008, Russia's War in Georgia"), - სადაც სტატიის ავტორები სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენენ აგვისტოს მოვლენებს. ხაზგასმით აღნიშნულია საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების სწრაფვა ნატო-სკენ, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა მოსკოვის ინტერესებთან. აღნიშნულ კრებულში მითითებულია, თუ ვინ იყო რეალურად დაინტერესებული ომის გაჩაღებით.

2008 წლის აგვისტოს ომზე საკმაოდ საინტერესო წიგნია **პეტრე მამრაძის** - **„ავანტიურა 08.08.08“,** რომელშიც ავტორი აანალიზებს გზას ომამდე, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების ქმედებებს და კონკრეტული პოლიტიკოსების მოსაზრებებს. იგი აკრიტიკებს მიხეილ სააკაშვილის (საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტის) ხელისუფლებას არასათანადო გამონათქვამებისა და სეპარატისტული რეჟიმებისადმი არასერიოზული დამოკიდებულების გამო. ავტორის აზრით, საქართველოს 2008 წელს საჯაროდ უნდა განეცხადებინა, რომ არასოდეს გამოიყენებდა ძალას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დასაბრუნებლად, ეზრუნა აფხაზებისა და ოსების ნდობის მოპოვებაზე, რუსეთის, აშშ-ისა და ევროკავშირის ჩართვით სეპარატისტულ რეჟიმებში უნდა დაეწყო და განეხორციელებინა ეკონომიკური, კულტურული და სოციალური პროექტები. ავტორის აზრით, ნატო-ში გაწევრიანება უნდა განხორციელდეს აღნიშნული ორგანიზაციისა და რუსეთის ინტერესების სრული თანხვედრით, ასევე, აფხაზებისა და ოსების თანხმობით.[14]

საინტერესოა **სტივენ ჯონსის „საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“,** სადაც საუბარია, თუ რა გზა გაიარა საქართველომ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან; როგორი იყო ქვეყნის პრეზიდენტების - ზ. გამსახურდიას, ე. შევარდნაძისა და მ. სააკაშვილის ნაციონალური შეხედულებები; გაანალიზებული და შედარებულია მათი ქმედებები და პოლიტიკა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართ.

[14] მამრაძე პ., „ავანტიურა 08.08.08.“ „პალიტრა“,თბილისი, 2012, გვ. 269-271.

მნიშვნელოვანია **სოსო (მალხაზ) ვახტანგაშვილის** წიგნი - **„საქართველოში ოსების განსახლების ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები“,** სადაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესო IV თავია („კავკასიის გეოპოლიტიკა“). ავტორი საუბრობს რუსეთის მზაკვრულ დამოკიდებულებაზე საქართველოს მიმართ. მისი აზრით, საქართველოს შუაგულში ხელოვნურად შეიქმნა ოსური ანკლავი, რომლის ფუნქციაც რუსეთის მიერ საქართველოზე სამხედრო-პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენა იყო. მოსკოვისთვის აღნიშნულ ტერიტორიას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება, რის გამოც იგი ხშირად აქეზებს ოსებს ქართველების წინააღმდეგ.[15]

[15]ვახტანგაშვილი ს. (მ), „საქართველოში ოსების განსახლების ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2020, გვ. 142-143.

თავი I. მინინაციონალიზმის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და საქართველოში მისი გავლენის ისტორიული ფონი

1.1. მინინაციონალიზმი და მისი არსი

მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ აქტორებად ერი-სახელმწიფოები იქცნენ გამოკვეთილი ეროვნული ინტერესებით, ნაციონალიზმი გახდა ხალხთა მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომლის გამოვლენასაც ხელი შეუწყო რელიგიურმა, პოლიტიკურმა, ლინგვისტურმა თუ ეკონომიკურმა ფაქტორებმა. საერთაშორისო ურთიერთობებში ნაციონალიზმი კვლავ რჩება აქტუალურ საკითხად. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ცნებას სხვადასხვა დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს. იგი ხან გრძნობებთან ასოცირდება, ხანაც, უბრალოდ, იდეოლოგიად მოიაზრება. როგორც ნაციონალიზმის კვლევების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელი, ენტონი სმითი, განმარტავს - „თანამედროვეობამ დიდი გავლენა მოახდინა ტრადიციულ საზოგადოებაზე და ხელი შეუწყო მასში ნაციონალისტური გრძნობების ჩამოყალიბებას და შემდგომ მის გამოვლენას სხვადასხვა ფორმით“.[16] ყველაზე მეტად კი, ნაციონალიზმს განიხილავენ, როგორც ,,ეროვნული ინტერესებისადმი, ეროვნული ერთობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისადმი ერთგულებასა და მის დაცვას“.[17] თანამედროვე ინგლისურენოვან ლექსიკონებში ნაციონალიზმი განმარტებულია, როგორც სულისკვეთება და მისწრაფება ერთიანი ერისკენ, როგორც საკუთარი ქვეყნის ერთგულება, პატრიოტიზმი, შოვინიზმი, პოლიტიკური დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა და ა.შ.[18] ენტონი სმითი თავის წიგნში - ,,ერების ეთნიკური წარმოშობა“ - განმარტავს, რომ სწორედ ნაციონალიზმია ერთადერთი ლეგიტიმური პრინციპი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მშენებლობისა.[19]

---

[16],,Theories of Nationalism'', Smith A. D., Emerson R., The journal of politics, May 1973, Vol. 35, No. 2, p. 500.

[17]დავითაშვილი ზ., ,,ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“, ,,მეცნიერება“, თბილისი, 2003, გვ. 46.

[18]Dictionary, https://www.dictionary.com/browse/nationalism, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.05.2020.

[19]Smith A. D, ,,The Ethnic Origins of Nations'', ,,Blackwell Publishing'', USA,2005, გვ. 129.

ნაციონალიზმი ერთდროულად არის როგორც პროცესი, ისე იდეოლოგია. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ისტორია ბოლო ორასი წლის მანძილზე ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენებულ არაერთ დამანგრეველ ომს ითვლის (განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაცისტური გერმანიის ქმედებები), როგორც კაპლანი აღნიშნავს, მაინც არ შეიძლება ამ ფენომენის ბოლომდე ნეგატიურ მოვლენად განხილვა, ვინაიდან მისი საშუალებით შესაძლებელია ხალხებს შორის განსხვავებებისა და მსგავსებების დადგენა.[20]

ნაციონალიზმს განიხილავენ უარყოფით კონტექტსშიც, როგორც უამრავი ბოროტების წყაროს. უილიამ პფაფის აზრით, ნაციონალიზმი ადამიანთა იდენტურობის გამომხატველი ღრმა და ნეგატიური ძალაა. მას განიხილავს, როგორც უამრავი ძალადობის მიზეზს თანამედროვე სამყაროში. [21]

საინტერესოა საბჭოთა პერიოდის ენციკლოპედიები, სადაც ნაციონალიზმი განმარტებულია, როგორც ბურჟუაზიული იდეოლოგია და პოლიტიკა, რომლის მიზანია ეროვნული შუღლის გაღვივება და ერთი ეროვნების წაკიდება სხვა ეროვნებასთან; იგი წარმოიქმნება კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად“ .[22]

ერნესტ გელნერის მოსაზრებით - ,,ნაციონალიზმი, უპირველეს ყოვლისა, არის პოლიტიკური პრინციპი, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკური და ეროვნული ერთობა ურთიერთთანხვედრილი უნდა იყოს. ნაციონალიზმი, როგორც განწყობა ან როგორც მოძრაობა, ყველაზე უკეთ ამ პრინციპით შეიძლება, განისაზღვროს. ნაციონალისტური განწყობა არის ამ პრინციპის დარღვევით გამოწვეული ბრაზის ან ამ პრინციპის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი კმაყოფილების გრძნობა. ნაციონალისტური მოძრაობა არის ის, რასაც განწყობის ეს ტიპი ბადებს.“[23]

---

[20]Harvard International Review, ,,Nationalism'', Kaplan L. P., Vol.3, No.7, April-May 1981, p.16.
[21]Pfaff W., ,,The Wrath of Nations: Civilizations and the Furies of Nationalism", a touchstone book, Published by Simon & Schuster, New York, 1994, Copyright © 1993 by William Pfaff.
[22]მოკლე პოლიტიკური ლექსიკონი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ,,მეცნიერება“, თბილისი 1986, გვ. 116.
[23]გელნერი ე., ,,ერები და ნაციონალიზმი“, ,,ნეკერი“, თბილისი, 2003, გვ. 5.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ნაციონალიზმი სოციალური მოძრაობაა, რომლის მიზანია მსოფლიოში ადგილის მოპოვება, გაძლიერება და შენარჩუნება. ამასთან, თუკი დავუშვებთ, რომ მსოფლიოში რამდენი ეთნიკური ჯგუფიცაა, იმდენი სახელმწიფო უნდა იყოს, მსოფლიოს ქაოსი მოიცავს. საკუთარი სახელმწიფოს შექმნის ამბიციები აქვთ ეთნიკურ ჯგუფებს, რომელთაც ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური თვალსაზრისით გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს და შესაბამისად, უჩნდებათ დამოუკიდებლობის ამბიცია (დღესდღეობით ამის საუკეთესო მაგალითია კატალონია, რომელსაც სჯერა, რომ უფრო უკეთეს მდგომარეობაში იქნება დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ვიდრე ესპანეთის შემადგენლობაში). აღნიშნული ჯგუფების ნაციონალიზმი ხშირად აგრესიულ ხასიათს იღებს და სეპარატიზმის სახით ვლინდება.

სეპარატისტული ნაციონალიზმი თანამედროვე მსოფლიოში არაერთი სახელმწიფოს მთავარ პრობლემას წარმოადგენს. ,,ცივი ომის“ დასრულების შემდეგ შეიქმნა ილუზია, რომ კომუნიზმის კრახისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიოში დაპირისპირებები აღარ იქნებოდა და მხოლოდ ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების ხანა დადგებოდა. მაგრამ XX საუკუნის 90-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ეს მოსაზრება მხოლოდ ილუზია იყო. ნაციონალიზმი უფრო მძლავრად და აგრესიულად იჩენდა თავს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში (მოლდოვა, საქართველო, აზერბაიჯანი და სხვ.).

მკვლევართა ნაწილი განასხვავებს გამაერთიანებელ ნაციონალიზმს ანტიკოლონიური ნაციონალიზმისგან. ეთნიკური უმცირესობების სეპარატისტული ნაციონალიზმი (მინინაციონალიზმი) პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას თავისი აგრესიული ხასიათის გამო. ამასთან, სეპარატისტები თავს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად თვლიან და ეფუძნებიან საერთაშორისო სამართლის - ხალხთა თვითგამორკვევისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც, გაერო-ს მიერ, 1960 წლის 14 დეკემბერს, ეს პრინციპი ჩამოყალიბდა - ,,დეკლარაცია კოლონიური ხალხებისა და ქვეყნებისთვის

დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ“ [24] - მსოფლიოს ხალხების მნიშვნელოვანი ნაწილი კოლონიურ დამოკიდებულებაში იყო, რომელთა დამოუკიდებლობაც არ არღვევდა სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების გზა, უმთავრესად, დემოკრატიული იყო, გაჟღენთილი ნაციონალური იდეოლოგიით. ამ კონტექსტში ნაციონალიზმს კონსტრუქციული დატვირთვა აქვს, მაგრამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში აღმოცენებულ სეპარატისტულ ნაციონალიზმს (მინინაციონალიზმს) დესტრუქციული დატვირთვა ჰქონდა, რადგან ისინი არ აღიარებდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას და სურდათ დამოუკიდებლობის მოპოვება. შეიძლება ითქვას, რომ მათი გაგებით, ესეც ერთგვარად ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენებული დემოკრატიული მოთხოვნა იყო, თუმცა იგი წინააღმდეგობაში მოდიოდა ტიტულარული ერის ნაციონალიზმთან. პოლიტოლოგი გია ნოდია აღნიშნავს, რომ ნაციონალიზმის იდეა შეუძლებელია არსებობდეს დემოკრატიის იდეის გარეშე და პირიქით, არც დემოკრატია არსებობს ნაციონალიზმის გარეშე. ვინაიდან დემოკრატიის საზრისი ხალხის სუვერენულობაშია, ხოლო ნაციონალიზმი ხალხის სახელით გამოდის. [25]

სეპარატისტული ნაციონალიზმის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ მიმართულია სახელმწიფოს ცენტრალიზებული მმართველობის წინააღმდეგ და თვითგამორკვევისთვის იბრძვის. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, საერთაშორისო სამართალში განსაზღვრულია, როგორც ერთ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის უფლება, თვითონ განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკური სტატუსი, აკონტროლოს თავისი თავი და არ იყოს მართული. ამგვარი მოთხოვნით იგი პირდაპირ შედის კონფლიქტში ტიტულარული ერის ნაციონალიზმთან, რაც იმთავითვე სახელმწიფო ნაციონალიზმია. მინინაციონალიზმი ყოველთვის არ არის მიმართული საკუთარი სახელმწიფოს შექმნისკენ, იგი შეიძლება ავტონომიისთვის,

---

[24],,Declaration on the Granting of Independence to Colonial Countries and Peoples“, General Assembly resolution 1514 (XV) of 14 December, 1960, https://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/Independence.aspx, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.05.2020.

[25]Nodia G., ,,Nationalism and Democracy”, Journal of Democracy, Volume 3, Number 4, October 1992, Published by Johns Hopkins University Press, p. 4.

ფედერაციისთვის ან სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნისთვის იბრძოდეს. ასეთ შემთხვევაში კონსენსუსის მიღწევა შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მინინაციონალიზმი, ძირითადად, რადიკალური მოთხოვნებით გამოირჩევა, რაც ხშირად სეცესიაში გამოიხატება. სწორედ თავისი რადიკალური ხასიათის გამოა მინინაციონალიზმი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ,,გამხლეჩი'' ძალა.[26]

მინინაციონალიზმის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ეთნიკური უმცირესობები უკმაყოფილონი არიან იმ მდგომარეობით, რაშიც იმყოფებიან და სურთ არსებული მდგომარეობის შეცვლა. ამასთან, ის მოთხოვნები, რომელსაც აყენებენ მინინაციონალისტური მოძრაობები, განსხვავდება სიმძაფრით - იგი იცვლება ავტონომიიდან სრულ დამოუკიდებლობამდე. ყველა მათგანში მოიძებნება როგორც ზომიერი, ავტონომიური მოწყობის მომხრეები, ისე უკიდურესი სეპარატისტები.[27]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაციონალიზმის უგულებელყოფა დაუშვებელია, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იგი აუცილებელი ეტაპია, რომელსაც გადის ნებისმიერი ,,პოლიტიკური ადამიანი''[28] . მინინაციონალიზმის გამოვლენის სიმძაფრე და ფორმა დამოკიდებულია სახელმწიფოს ტერიტორიულ მოწყობაზე, განვითარებაზე, მასში არსებულ პოლიტიკურ კულტურასა და სამოქალაქო თვითშეგნებაზე.

---

[26]დავითაშვილი ზ., ,,ნაციონალიზმი და გლობალიზაცია", ,,მეცნიერება", თბილისი, 2003, გვ. 150.

[27]დავითაშვილი ზ., ,,ნაციონალიზმი და გლობალიზაცია", ,,მეცნიერება", თბილისი, 2003, გვ. 154.

[28]Haas E. B., International organization, ,,What is nationalism and why should we study it?'', Vol. 40, No.3, Summer 1986, p.744.

1.2. მინინაციონალიზმის გამოვლენა საქართველოში და მისი ტიპოლოგია

სახელმწიფოებს სისტემატურად უამრავი პრობლემის გადალახვა უწევთ. ერთ-ერთი პრობლემა სეპარატისტული რეჟიმები და მათში არსებული მინი-ნაციონალიზმია, რაც ერთგვარი დარტყმაა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მგრძნობიარეა პატარა ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, რომლის ტერიტორიის 20%-ზე მეტი ოკუპირებულია მეზობელი ქვეყნის მიერ.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოშიც არსებობს მინინაციონალიზმის გარკვეული ფორმები აფხაზეთსა და ,,სამხრეთ ოსეთში". ეს არის გარეძალების მიერ წახალისებული და ინსპირირებული სეპარატიზმი, რომელიც ეწინააღმდეგება ქვეყნის ერთიანობის იდეას.

,,კომუნიზმის კრახმა აღმოსავლეთ ევროპაში გამოიწვია ეთნიკური დაპირისპირებები და რეგიონალური კონფლიქტები ყოფილ სსრ კავშირში, ჩეხოსლოვაკიასა და იუგოსლავიაში, გამოიწვია ძველის ნგრევა და ახალი ნაციონალური სახელმწიფოების შექმნა, რისთვისაც არსებობდა მრავალი მიზეზი. მათ შორის იყო ისიც, რომ კომუნისტურმა რეჟიმმა მიჩქმალა და იატაკქვეშეთში გადაიტანა ეთნიკური და ნაციონალური თვითშეგნება. ეთნიკური და რეგიონალური ნაციონალიზმი ანტიკომუნიზმის და ანტისაბჭოურობის გამოვლინების ფორმად იქცა. პოლიტიკური არასტაბილურობა და ეკონომიკური გაჭირვება წარმოშობილი კომუნიზმის კრახის შედეგად, აღმოჩნდა ნოყიერი ნიადაგი ეთნოპოლიტიკისთვის".[29]

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ნაციონალიზმი გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა, მას განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიასთან მიერთების დროს ქართველებს თავიანთი სახელმწიფოებრიობა გააჩნდათ, აღნიშნულ პერიოდში კი ჩამოყალიბდა განმათავისუფლებელი ნაციონალიზმი. ამასთან, იგი გამაერთიანებელიც იყო

[29] ,,პოლიტოლოგია" (პოლიტიკური თეორია და პრაქტიკა), ი. კვესელავა, ვ. შუბითიძე, ,,ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი 2009, გვ. 119.

თავისი ხასიათით, ვინაიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველო ცალკეული სამეფო-სამთავროების სახით შევიდა და იმდროისთვის ქართული თვითშეგნება შესუსტებული იყო. XIX საუკუნეში ქართველი განმანათლებლები ცდილობდნენ ქართული პრესის, თეატრის განვითარებას, წერა-კითხვის გავრცელებას და ქართველი ხალხის მატერიალური პირობების გაუმჯობესებას, რის გამოც ქართული ნაციონალიზმი კულტურულ და ეკონომიკურ ნაციონალიზმს წარმოადგენდა. ვინაიდან ქართველი ერის გაერთიანება, რაც სტიმული იქნებოდა დანარჩენი ერებისთვის, სახიფათო იყო რუსეთის იმპერიისთვის, ქართული ნაციონალიზმი ერთგვარი სეპარატისტული ნაციონალიზმიც იყო მის შემადგენლობაში; ასევე, იმის გამოც, რომ არასოდეს დაუყენებია ეჭვქვეშ ეთნიკური უმცირესობების უფლებები, ქართული ნაციონალიზმი, უპირველეს ყოვლისა, ლიბერალური ხასიათისა იყო. [30]

სიტუაცია XX საუკუნის მიწურულს შეიცვალა, როდესაც საბჭოთა კავშირის მიერ გარდაქმნისა და საჯაროობის კურსი ოფიციალურად გამოცხადდა. სწორედ აღნიშნულ პერიოდში საქართველოში მომძლავრდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც იბრძოდა საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოყოფისთვის. შეიქმნა არაერთი ორგანიზაცია, მათ შორის - ,,ილია ჭავჭავაძის საზოგადოება'', „რუსთაველის საზოგადოება“ და სხვა არაფორმალური გაერთიანებები. ისინი თავიდან რადიკალური მოთხოვნებით არ გამოირჩეოდნენ, მათთვის ამოსავალი წერტილი საქართველოს ეროვნული ინტერესები იყო.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ტალღა ტრანსკავკასიური მაგისტრალის შეჩერების მოთხოვნით და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დაცვით დაიწყო. პირველი მათგანი (ტრანსკავკასიური რკინიგზა თბილისი-ვლადიკავკაზი) საქართველოს რუსეთთან კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშირებდა, ამასთან, ქართული საზოგადოება შეაშფოთა იმ ეკოლოგიურმა კატასტროფამ, რაც ამ რკინიგზის მშენებლობას შეიძლებოდა

[30]დავითაშვილი ზ., ,,ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“, ,,მეცნიერება“, თბილისი, 2003, გვ. 388-390.

მოჰყოლოდა, ხოლო, რაც შეეხება ქართული არქიტექტურის უნიკალურ ძეგლს - დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს, მას საბჭოთა სამხედრო პოლიგონზე მიმდინარე სამხედრო წვრთნები აზიანებდა.

საპროტესტო აქციებმა თავიდანვე მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო, რამაც შემდეგ კიდევ უფრო ,,დიდი" მოთხოვნების დაყენების სტიმული მისცა აქციათა მესვეურთ. სწორედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების 70 წლისთავზე პირველად გაისმა ლოზუნგი ,,გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!''.

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად ამოსავალ პრინციპს წარმოადგენდა: 1. რუსეთის ხელისუფლების გავლენის შესუსტება ხალხის ცნობიერებაში; 2. საბჭოთა მოქალაქეობაზე უარის თქმა; 3. საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება. [31]

დემონსტრაციებმა და მიტინგებმა მასობრივი ხასიათი მიიღო. მოთხოვნები თანდათან იღებდა პოლიტიკურ ხასიათს. ერთ-ერთი საკითხი, რასაც ისინი აპროტესტებდნენ, ქართული მიწების არაქართულ მოსახლეობაზე მიყიდვა იყო, რაც დღესაც არანაკლებ აქტუალური თემაა. გაისმა პრეტენზიები იმის თაობაზე, თუ რატომ უნდა ჰქონოდა საქართველოში პოლიტიკურ-ტერიტორიული ავტონომია ხალხს, რომელსაც სამშობლო საქართველოსგან მოშორებით აქვს. ეს ყველაფერი მოწმობს იმას, რომ ეროვნულმა მოძრაობამ ეთნიკური ნაციონალიზმის ფორმა მიიღო, რაც მიუღებელი იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის, რომლებიც თავს დაჩაგრულად თვლიდნენ და მათთვის უკვე საქართველოს დამოუკიდებლობა საფრთხის შემცველი იყო.

ფაქტი ჯიუტია, ამ პერიოდის ქართულმა ნაციონალიზმმა ეთნიკური ნაციონალიზმის სახე მიიღო, ეთნიკური ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი თვლიდა, რომ ეთნიკურმა უმცირესობებმა უმადურობა გამოავლინეს და მათ ან ბოლომდე უნდა დაეჭირათ მხარი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ან

[31] სონღულაშვილი ნ., ,,საბჭოთა რეჟიმი და ქართული ეროვნული იდეა (1921-1991)", ,,უნივერსალი", თბილისი, 2018. გვ: 237.

დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში. მეორე მხარე კი თვლიდა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ნაციონალისტური რეჟიმი საფრთხეს უქმნიდა მათი ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

აფხაზი და ოსი სეპარატისტები სარგებლობდნენ ქვეყანაში შექმნილი არეულობით და სხადასხვა ფორმით ცდილობდნენ, გაეკვალათ გზა დამოუკიდებლობისკენ. თუმცა, მათი დამოუკიდებლობა, უბრალოდ, ფორმალობა იყო, რადგან აფხაზეთსა და ,,სამხრეთ ოსეთში" სეპარატიზმი მოსკოვის მიერ იყო ინსპირირებული და ხელშეწყობილი. შესაბამისად, ისინი კეთილგანწყობილნი იყვნენ რუსეთის ფედერაციის მიმართ და უარსაც არ ამბობდნენ მისი მფარველობის ქვეშ ყოფნაზე.

ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, პირველი სეპარატისტები ჩვენ ვიყავით აფხაზებსა და ოსებთან მიმართებაში, ჩვენ დავშორდით მათ და რუსეთი ამას სათავისოდ იყენებდა. ჩვენი ნაციონალიზმი იყო ბუნებრივი, ხოლო, როცა რუსეთი ერეოდა, ხდებოდა ხელოვნური.

აფხაზეთი

აფხაზური მინინაციონალიზმი მსუბუქი ფორმებით თავს იჩენს XIX საუკუნიდან (მუჰაჯირობის დროს), შემდეგ XX საუკუნეში - საბჭოთა კავშირის არსებობის დროს და განსაკუთრებით - 1992-1993 წლებში.

XIX საუკუნეში, ხანგრძლივი კავკასიური ომების შემდეგ, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა კავკასია, რასაც მოჰყვა აფხაზთა (და არა მარტო) მასობრივი გადასახლება თურქეთის ტერიტორიაზე. ამ პერიოდში, საკუთარი ტერიტორიების მიტოვებაში აფხაზთა ნაწილი ადანაშაულებდა ქართველებს, რომლებიც, თითქოს რუსებთან ერთად მოქმედებდნენ მათ დასამცირებლად, სინამდვილეში კი აღნიშნული პროცესი ცარისტული რუსეთის პოლიტიკის ნაწილი იყო კავკასიაში პოზიციების გასამაგრებლად.

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში მუდმივად შეინიშნებოდა აფხაზური მინინაციონალიზმის სეპარატისტული გამოვლინებები. 1921 წლის 21 თებერვლის საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს

რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებად იქნა გამოცხადებული - აფხაზეთი (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველო (ბათომის ოლქი) და ზაქათალას ოლქი, რომელთაც მიენიჭათ ადგილობრივი ავტონომიური მმართველობა.[32] ამავე წლის მარტის თვეში საბჭოთა ჯარებმა მოახდინეს საქართველოს ოკუპაცია მთლიანად. მარტის თვეშივე, ,,აფხაზეთის რევოლუციურმა კომიტეტმა" განაცხადი გააკეთა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის თაობაზე. 1922 წლის 28 თებერვლის საქართველოს სსრ კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე მის შემადგენლობაში არის აფხაზეთის სსრ. 1925 წელს ,,აფხაზეთის საბჭოთა III ყრილობამ" მიიღო სრულიად უკანონო აფხაზეთის სსრ-ის ,,კონსტიტუცია", რომლის თანახმადაც, აფხაზეთის სსრ იყო სუვერენული სახელმწიფო, რომელიც სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე ახორციელებს თვითონ, რომელიმე სხვა ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად. აფხაზეთის სსრ თავისუფალი გასვლის უფლებას იტოვებდა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკიდან და სსრ კავშირიდან, მათში ნებაყოფლობით შესვლის გამო, რაც სრულიად შეუსაბამო იყო მანამდე დადებულ შეთანხმებებთან, ვინაიდან ამიერკავკასიის სფსრ-ში და სსრკ-ის შემედგენლობაში, აფხაზეთი შევიდა არა დამოუკიდებლად, არამედ საქართველოს სსრ-ის მეშვეობით. 1931 წელს აფხაზეთის სსრ გადაკეთდა აფხაზეთის ავტონომიურ სსრ-დ საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში. [33]

სეპარატისტულად განწყობილი აფხაზები ქართველებს ადანაშაულებდნენ აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალობისა და ისტორიული თვითმყოფადობის მოშლის მცდელობაში. XX საუკუნის 30-იან და 40-იან წლებში კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში გატარდა რეფორმა, რომლის შედეგადაც აფხაზური დამწერლობა ქართული ანბანით შეიცვალა, რაც კრემლის პოლიტიკის ნაწილი იყო (რომლის თანახმადაც, სსრკ-ში მცხოვრები ,,მცირე ერების'' დამწერლობები უნდა გადასულიყო რუსულ ან მოკავშირე

[32]საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს დამფუძნებელი კრება, 21.02.1921, თავი 11, მუხლი 107.
[33]მალაშხია შ., ,,კონფლიქტების ანატომია", საქართველოს პარლამენტი, თბილისი,2011, გვ. 82-87.

რესპუბლიკების ალფაბეტზე). ამავე პერიოდში, აფხაზი სეპარატისტების მიერ შექმნილ ნაშრომებში აფხაზეთი საქართველოსგან დამოუკიდებელ ელემენტად სახელდება. ისინი ქმნიდნენ ერთგვარ ისტორიოგრაფიულ საფუძველს, რითაც ამართლებდნენ საქართველოსგან დამოუკიდებელი აფხაზური ნაციონალური სახელმწიფოს არსებობას.[34]

აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების გვერდის ავლით, მუდამ ცდილობდა, პირდაპირი კომუნიკაცია ჰქონოდა მოსკოვთან. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ეთნიკური შუღლის გაძლიერების სახით ,,შენელებული მოქმედების ნაღმს" დებდა საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც საჭირო დროს და საჭირო ადგილას უნდა ამოქმედებულიყო.

1989 წელს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში აფხაზური საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს მიმართვა საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლებისადმი (,,ლიხნის წერილი''), სადაც ამტკიცებდნენ, რომ აფხაზი ხალხი ქართველებისგან განიცდის შევიწროებას და ჩაგვრას. მათ გადარჩენის ერთადერთ გზად საქართველოს შემადგენლობიდან გასვლა და რუსეთთან მიერთება ესახებოდათ, რასაც მკვეთრი რეაქცია მოჰყვა საქართველოში, განსაკუთრებით ქართველ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებში. ქ. სოხუმში ქართველი მოსახლეობის მიერ იმართებოდა საპროტესტო გამოსვლები, სადაც ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები მოუწოდებდნენ აფხაზეთის მოქალაქეებს, არ ეღალატათ მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აფხაზური ურთიერთობისთვის და არ გაეტარებინათ კრემლის პოლიტიკა. მიტინგმა მშვიდობიანად ჩაიარა. ამ პერიოდის ქართული ნაციონალიზმიც თანდათან ეთნონაციონალიზმის სახეს იღებდა და

[34] პაპასქირი ზ., ,,მითი ქართველთა მხრიდან აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალობის მოშლის ე.წ. "მცდელობის" შესახებ XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულსა და 40-იან წლებში'', მატიანე, https://matiane.wordpress.com/2010/02/08/abkhazassimilationmyt/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული,15.05.2020.

უპირისპირდებოდა ეთნიკურ უმცირესობებს, რომელთაც მოღალატეებად თვლიდნენ თავიანთი ბოროტი ზრახვების გამო. [35]

აღნიშნულ პერიოდში, აფხაზეთში არაერთი ანტიქართული მოძრაობა თუ პოლიტიკური პარტია ჩამოყალიბდა, მათ შორისაა ,,აიდგილარა'', ერთ-ერთი ანტიქართული ფრონტი აფხაზეთში,[36] თავისი სეცესიური და აგრესიული გამოვლინებებით. ფაქტი ჯიუტია, ქართული ეროვნული მოძრაობისა და პოლიტიკური სპექტრის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, ვერ შეძლო ეთნიკურ უმცირესობებთან საერთო ენის გამონახვა, გაერთიანება და ერთიანი ანტისეპარატისტული ფრონტის შექმნა.

დაპირისპირებამ კულმინაციას 1992-1993 წლებში მიაღწია. ქართულ-აფხაზური დაპირისპირება საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ეპიზოდია. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ეს ომი ხანგრძლივი ისტორიული პროცესის ლოგიკური შედეგი იყო. ეს იყო ომი გამარჯვებულის გარეშე, რომლის შედეგადაც საქართველოს ტერიტორიაზე წარმოიქმნა და დღემდე არსებობს კვაზისახელმწიფო.

აფხაზური მინინაციონალიზმის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სეპარატისტების მიერ შემუშავებული ანტიქართული პროექტები, რომელთა ლაიტმოტივი საქართველოსგან გამოყოფის იდეა იყო. აღსანიშნავია 1992 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტში შემუშავებული პროექტი ,,საქართველოს რესპუბლიკისა და აფხაზეთის რესპუბლიკის ურთიერთობის საფუძვლების შესახებ'', რომლის თანახმადაც, აფხაზეთი და საქართველო ორ დამოუკიდებელ სუვერენულ ერთეულად განიხილებოდა, თავიანთი სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებებით.[37] ქართული მხარის განცხადებით კი, აფხაზეთი მხოლოდ

---

[35]დავითაშვილი ზ., ,,ნაციონალიზმი და გლობალიზაცია", ,,მეცნიერება", თბილისი, 2003, გვ. 397.

[36]ჯოჯუა დ., ,,სოხუმის დაცემა'', სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2014, გვ. 36.

[37],,О государственно-правовом устройстве Абхазии в составе Республики Грузия'', Свободная Грузия, Декабря 1992 г.

ავტონომიური რესპუბლიკის სახით უნდა შესულიყო საქართველოს შემადგენლობაში. [38] ამავე პერიოდში, სრულიად უკანონო აქტებს იღებდნენ აფხაზი სეპარატისტები, მაგ: ,,საქართველოს მხრიდან აფხაზეთის წინააღმდეგ აგრესიის ცნობა“ და ,,აფხაზი ერის გენოციდის ცნობა“.[39]

საერთო ჯამში, როგორც ვხედავთ, აფხაზური მინინაციონალიზმი განვითარების თითოეულ ეტაპზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მოდის. იგი იკვებება ნეგატიური დამოკიდებულებით - ყოველგვარი ქართულის მიმართ და ამოსავალ წერტილად სრულ დამოუკიდებლობას მიიჩნევს, რაც სინამდვილეში ფორმალობაა, რადგან აფხაზეთი დღემდე რუსეთის ფედერაციის გავლენის ქვეშ იმყოფება.

,,სამხრეთ ოსეთი“

ყველასთვის ცხადია, რომ ოსური მინინაციონალიზმი არ არის თავისთავად წარმოქმნილი ფენომენი - მის ჩამოყალიბებაში აქტიურობდა ცარისტული რუსეთი.

არავინ დაობს იმაზე, რომ ,,სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორია ოდითგანვე საქართველოს ისტორიული ნაწილია, სადაც შეიცვალა ეთნიკური სტრუქტურა. ქართლის ტერიტორიაზე ოსების ჩამოსახლება XVIII საუკუნის დასასრულიდან დაიწყო და მთელი XX საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. მათი გადმოსახლება შიდა ქართლისა და საქართველოს სხვა რეგიონებში ჩრდილოეთ ოსეთიდან (თავიანთი ისტორიული სამშობლოდან) მასობრივად 1860 წლიდან დაიწყო (თუმცა მანამდეც შეინიშნებოდა ოსთა გადმოსახლებები), ამ მოვლენის

[38],,საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის სახელმწიფო-სამართლებრივი წყობის შესახებ'', საქართველოს რესპუბლიკა, სამშაბათი, 1 დეკემბერი, 1992 წ., N245 (524).

[39]ჯოჯუა დ., ,,აფხაზეთი 1938-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები'', სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2009, გვ. 176.

ძირითად მიზეზად სახელმწიფოში ახალი ეკონომიკური ფორმაციის ანუ კაპიტალისტურ–ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრება უნდა მივიჩნიოთ.[40]

1918-1921 წლებში შიდა ქართლის ჩრდილოეთით ,,სახალხო ამბოხებას'' ჰქონდა ადგილი. 1920 წელს შეიქმნა ,,სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი", რომელშიც შემავალმა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ, დაიკავა რა ჯავა და მისი მიმდებარე ტერიტორია, გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება. მოგვიანებით კი რსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს აცნობა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა სურვილი რუსეთთან შეერთების თაობაზე. საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ სახალხო გვარდიის ქვედანაყოფები გაგზავნა შიდა ქართლში და მოკლე დროში აღადგინა ადგილზე წესრიგი.

აღნიშნული პროვოკაციული ქმედება - მიმართული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ - იყო ერთგვარი საწყისი ოსური მინი-ნაციონალიზმის გამოვლენისა, რომელიც საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობამ წარმატებით ჩაახშო, რაც, სამწუხაროდ, დროებითი აღმოჩნდა - საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1922 წლის აპრილის თვეში, ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიაზე შეიქმნა ,,სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი", რომლის ცენტრად ქალაქი ცხინვალი გამოცხადდა. პარადოქსია, რომ იმდროისთვის ყველაზე მცირე რაოდენობით სწორედ ეთნიკური ოსები იყვნენ წარმოდგენილნი ცხინვალში,[41] საქართველოში კი ოსებს განიხილავდნენ, როგორც ეროვნულ უმცირესობას გარანტირებული კონსტიტუციური უფლებებით, ტერიტორიული თუ სხვა სახის ავტონომიის გარეშე. თითქმის 70 წლის განმავლობაში ოსი სეპარატისტები, რომლებიც არ აღიარებდნენ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, პირდაპირ კავშირში იყვნენ მოსკოვთან, რომელიც ეთნიკური შუღლის დათესვით ერთგვარ ნიადაგს ამზადებდა კონფლიქტისთვის.

---

[40]ვახტანგაშვილი ს. (მ.), ,,საქართველოში ოსების განსახლების ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები", კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2020, გვ. 141.

[41]მალაშხია შ., ,,კონფლიქტების ანატომია", საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 2011, გვ. 137-139.

სიტუაცია შეიცვალა 1980-იანი წლებიდან, როდესაც საქართველოში მომძლავრდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ოსებს არ სურდათ, ეთნიკური უმცირესობის სტატუსით დარჩენილიყვნენ დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში.

1989 წლის საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით განისაზღვრა ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი, რაც გახდა საბაბი ოსური არაფორმალური და სეპარატისტული ორგანიზაციის ,,ადამონ ნიხასის" მიერ ცხინვალში პირველი მიტინგის გამართვისა. ამავე წლის ნოემბრის თვეში სეპარატისებმა გამოაცხადეს ,,სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქის გაუქმების, ,,სამხრეთ ოსეთის" სტატუსის ამაღლებისა და ,,სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ. აღნიშნულის გასაპროტესტებლად საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერთა წინამძღოლობით ცხინვალის შესასვლელთან ხანმოკლე საპროტესტო აქცია გაიმართა. აპრილის თვეში სსრკ-ის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი კანონი სსრკ-იდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლის წესთან დაკავშირებით, აღნიშნულის თანახმად, მოკავშირე რესპუბლიკაში, რომლის შემადგენლობაში არიან ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები და ავტონომიური ,,ოკრუგები", რეფერენდუმები უნდა ჩატარებულიყო ცალ-ცალკე თითოეულ მათგანში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ფორმირებებში მცხოვრებ ხალხებს უნარჩუნდებოდათ სსრ კავშირში ან კავშირიდან გამავალ მოკავშირე რესპუბლიკაში დარჩენის საკითხის დამოუკიდებლად გადაჭრის უფლება, რაც იყო პირდაპირ მწვანე შუქის ანთება ოსი სეპარატისტებისთვის. მათ მალევე მიიღეს დეკლარაცია ,,სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ," რითაც საქართველოს შემადგენლობიდან ფაქტობრივი გასვლის ცნობა გამოაცხადეს. დეკემბრის თვეში კი უკანონო არჩევნები ჩაატარეს ,,სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს'' არჩევის მიზნით, [42] რაც საქართველოს უზენაესმა საბჭომ დაუყოვნებლივ უკანონოდ სცნო, მოგვიანებით კი გააუქმა

[42] მალაშხია შ., ,,კონფლიქტების ანატომია", საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 2011, გვ. 139-142.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური საბჭო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო და სხვა სახელმწიფო ორგანოები, ხოლო ,,არჩევნები'' და მისი შედეგები სცნო ბათილად იმ არგუმენტით, რომ 1922 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომია შეიქმნა მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ნებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ; ოს ხალხს ჰქონდა საკუთარი სახელმწიფოებრიობა რსფსრ-ის ტერიტორიაზე; სამხრეთ ოსეთში ცხოვრობდა მთლიანად საქართველოში მცხოვრებ ოსთა მხოლოდ მცირე ნაწილი.[43] ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესები გამოცხადდა. ვითარება უკიდურესად დაიძაბა მას შემდეგ, რაც 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ერთხმად მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

გაძლიერდნენ შეიარაღებული არაფორმალური დაჯგუფებები, რომელთაც ჩრდილოეთ ოსეთიდან და რუსეთის სხვა რეგიონებიდან შეიარაღებული „ბოევიკები“ შეუერთდნენ. ადგილი ჰქონდა ძალის გადამეტებას ორივე მხრიდან. . სეპარატისტების საბოლოო მიზანი საქართველოდან გამოყოფა იყო, ხოლო ქართველები თვლიდნენ, რომ თუკი მათ არ აკმაყოფილებდათ კულტურული ავტონომიის სტატუსი, საქართველოდან უნდა გადასახლებულიყვნენ (თავიანთ ისტორიულ სამშობლოში).

ზვიად გამსახურდიას ეროვნული მთავრობის დამხობისა და ხელისუფლებაში ედუარდ შევარდნაძის მოსვლის შემდეგ, 1992 წლის 24 ივნისს, ხელი მოეწერა: ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას - ,,საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოგვარების პრინციპების შესახებ“, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ჯარების (ქართულ-ოსურ-რუსული) განთავსებას. [44] 1993 წლის 2 ნოემბერს მიღებულ იქნა ,,სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც,. ,,სამხრეთ

[43] მალაშხია შ., ,,კონფლიქტების ანატომია“, საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 2011, გვ. 143.

[44] соглашение о принципах урегулирования грузинско-осетинского конфликта, 24.06.1992, https://docs.cntd.ru/document/1902246, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.05.2020.

ოსეთის“ რესპუბლიკა გამოცხადდა სუვერენულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ, სახელმწიფო ენად კი - ოსური. [45]

მნიშვნელოვანი იყო 2000 წელს ბადენში (ავსტრია) მიღებული შუალედური დოკუმენტი, რაც იყო წლების განმავლობაში მიმდინარე მოლაპარაკებების მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი შედეგი, თუმცა, მასში ფუნდამენტური საკითხები - ტერიტორიულ მთლიანობასთან თვითგამორკვევის შეთავსება და საქართველოს შემადგენლობაში ყოფილი ოლქის სამართლებრივი სტატუსი - განხილული არ ყოფილა. ამასთან, შეუთანხმებელი პოზიციების შეთანხმებაც მიღწევადი იქნებოდა, თუკი მხარეები გამოიჩენდნენ კონფლიქტის სამართლებრივ-პოლიტიკური მოგვარების საკითხს.[46]

დღემდე ,,სამხრეთ ოსეთის'' ხელმძღვანელ პოზიციებზე მოსკოვის რჩეული კანდიდატები ინიშნებიან. სეპარატისტული რეჟიმი გაყალბებული ისტორიებით ზრდის ახალგაზრდა თაობებს, რომლის თანახმადაც, ,,ქართველები ოსების ისტორიული მტრები არიან“. ოსური მინინაციონალიზმი აგრესიული ხასიათისაა და იგი ეწინააღმდეგება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ისიც კვაზისახელმწიფოა, რომელიც აფხაზეთთან შედარებით უფრო მეტად არის მიჯაჭვული რუსეთის ფედერაციასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, აფხაზეთსა და ,,სამხრეთ ოსეთში“ არსებული მინინაციონალიზმი აგრესიული ტიპისაა, რომლის მიზანი საერთაშორისო აღიარების მოპოვებაა.

---

[45] მალაშხია შ., ,,კონფლიქტების ანატომია“, საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 2011, გვ. 150.

[46] ჩიტაძე ნ., ,,საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების სამართლებრივი სტატუსი: წარსული, აწმყო, მომავალი“, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 10 ივნისი,2011,https://iccn.ge/files/sakartvelos_avtonomiuri_respublikebis_samartlebrivi_statusi_nika_chitadze.pdf , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.05.2020.

1. 3. რუსეთის ფაქტორი აფხაზეთსა და ,,სამხრეთ ოსეთში“ მინინაციონალიზმის გამოვლენაში (ისტორიული რეტროსპექტივა)

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ორ უმთავრეს მოვლენას ჰქონდა ადგილი, პირველი: საბჭოთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და იდეოლოგიური სისტემის მსხვრევას; მეორე - საბჭოთა კავშირის დაშლას დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოებად.[47] ამ ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენის თანხვედრის გამო დიდი ომები და დაპირისპირებები არ მომხდარა, მაგრამ ზოგიერთ ყოფილ რესპუბლიკებში ლოკალურად გაჩაღდა შიდაომები, სადაც ,,მომრიგებლად“ ისევ მოსკოვი მოგვევლინა. აღნიშნული ომები, ძირითადად, ეთნიკურ ნიადაგზე დაიწყო, ვინაიდან საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ეთნიკური შუღლის გაღვივებას. ამ მხრივ არც საქართველო იყო გამონაკლისი.

საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ჩადებული ,,შენელებული მოქმედების ნაღმი'' ეთნიკური შუღლის სახით მეოცე სუკუნის 80-იანი წლებიდან ამოქმედდა, რასაც ორი სეპარატისტული რეჟიმის ფორმირება მოჰყვა. ამ პერიოდში, საბჭოთა კავშირს - ,,პერესტროიკის“ სახელით გატარებული პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსის შემდეგ დაშლა დაემუქრა, რა დროსაც თითქმის მთელი მისი ტერიტორია ქაოსმა და სამოქალაქო დაპირისპირებებმა მოიცვა. მსგავს მოვლენებს ვერ ასცდა საქართველოც. იმის სადემონსტრაციოდ, თუ როგორ უწყობდა მოსკოვი ხელს მთელი XX საუკუნის განმავლობაში საქართველოში აფხაზური და ოსური მინინაციონალიზმის გაღვივებას, უნდა მიმოვიხილოთ წარსულის მნიშვნელოვანი ეპიზოდები, რამაც საბოლოოდ მიიყვანა ქვეყანა ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებამდე.

ექსპერტთა დიდი ნაწილი თვლის, რომ აფხაზური და ოსური ნაციონალიზმი თავიდან ბოლომდე რუსული პროექტებია. ზოგიერთის აზრით, ტერმინი ,,სეპარატისტული რეგიონები“ არასწორია, რადგან ამითი იკვეთება ის,

[47] გურული ვ., ,,საბჭოთა კავშირის დაშლა“, თბილისი, 2007, გვ. 2, https://sangu.ge/images/vguruli/14sov.pdf , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.06.2020.

რომ რეგიონის სრული მოსახლეობაა სეპარატისტულად განწყობილი, რაც რეალობას არ შეესაბამება. რა თქმა უნდა, კონფლიქტის დაწყებამდე იქ იყვნენ ქართველთმოძულე ნაციონალისტები, მაგრამ მოსახლეობა არ იყო ასეთი. აფხაზები და ოსები კომფორტულად ცხოვრობდნენ ქართველებთან და არ აპირებდნენ დაშორებას, ეს ჩვენ დავშორდით მათ.

საქართველოში მცხოვრებმა აფხაზებმა და ოსებმა არჩევანი მოსკოვზე გააკეთეს, რაც, როგორც ჯემალ გახოკიძე აღნიშნავს, წმინდა პრაგმატულმა ფაქტორებმა განაპირობა. გარშემო სახელმწიფოთაგან ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთისთვის მისაღები და მოგებიანი დიდ სახელმწიფოზე - რუსეთზე ორიენტაცია აღმოჩნდა. მოსახლეობისთვის რუსეთის ბაზარი უმძიმესი სოციალური კრიზისის დაძლევის ერთადერთ საშუალებს წარმოადგენდა. [48]

აფხაზეთის ეპიზოდი

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიამ აფხაზები აყარა მშობლიური ადგილიდან და თურქეთში გადაასახლა (მუჰაჯირობა), მოგვიანებით, ქართველმა ინტელექტუალებმა დაგმეს აღნიშნული ქმედება და სოლიდარობა გამოუცხადეს აფხაზებს, თუმცა, თანამედროვე აფხაზური ისტორიოგრაფია ქართველ ინტელიგენციას წარმოაჩენს, როგორც აფხაზეთის კოლონიზაციის მესვეურთ. სტანისლავ ლაკობას თქმით, აფხაზეთის მუჰაჯირობის შემდეგ მხოლოდ მეგრელებს და ქართველებს მიეცათ უფლება, დასახლებულიყვნენ შუა აფხაზეთში,[49] რაც კიდევ ერთი დასტურია გაყალბებული ისტორიისა, ვინაიდან სწორედ ცარისტული რუსეთის პოლიტიკის ნაწილი იყო აფხაზთა მასობრივი გადასახლება და მოგვიანებით, XIX საუკუნის 90-იან წლებში, აფხაზეთის ეკლესიის საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიიდან განცალკევება და რუსეთის სინოდისადმი მისი დაქვემდებარება, რასაც მკვეთრი რეაქცია მოჰყვა იმ

[48] ,,პარალელი“, ,,კულტურულ-ცივილიზაციური და ეროვნული ერთიანობის პრობლემები განდგომილ რეგიონებთან“, გახოკიძე ჯ., სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2011, ISNN 0235-8417, გვ.76.
[49] Лакоба С. Очерки политической истории Абхазии, Сухуми, 1990, стр. 39-41.

აფხაზი ინტელიგენციის მხრიდან, რომლებიც უფრთხილდებოდნენ ქართულ-აფხაზურ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებს. [50]

თუმცა, ცარისტული რუსეთის მიერ გატარებულმა მკვეთრად გამოხატულმა ანტიქართულმა პროპაგანდამ მაინც ჰპოვა ნიადაგი აფხაზურ ინტელიგენციაში. ძირითადად, დაბალი სოციალური ფენებიდან გამოსულ მოღვაწეებში, რომელთაც რუსული განათლება ჰქონდათ მიღებული. მათ ველიკორუსული შოვინიზმის იდეოლოგები უნერგავდნენ აზრს, რომ აფხაზეთი არ იყო საქართველო. დაიწყეს აფხაზური ,,ნაციონალური ისტორიის" შეთხზვა და აფხაზების გაბრუება. ამ მხრივ, როგორც ზურაბ პაპასქირი აღნიშნავს, საინტერესოა 1907 წელს ლ. ვორონინის მიერ გამოქვეყნებული წიგნი სახელწოდებით - ,,აფხაზეთი საქართველო არ არის", რომლის მიზანიც მდგომარეობდა აფხაზების დარწმუნებაში, რომ არასოდეს არსებულა ქართულ-აფხაზური ისტორიულ-კულტურული ერთობა, რომ ქართველები ყოველთვის ხელს უშლიდნენ აფხაზების განვითარებას.[51]

1917 წლიდან იცვლება სიტუაცია. რუსეთში თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ აფხაზეთი ,,კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა კავშირში" გაწევრიანდა, რაც იყო ერთგვარი პოლიტიკური კავშირი. 1917 წლის 8 ნოემბერს აფხაზეთის ქართული მოსახლეობისგან ფარულად ჩატარდა აფხაზი ხალხის ,,ყრილობა", სადაც შექმნილმა აფხაზთა სახალხო საბჭომ მიიღო დეკლარაცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ აფხაზთა სახალხო საბჭო წარმოადგენდა აფხაზი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანოს და ის გამოხატავდა მხოლოდ აფხაზი ხალხის და არა მთელი აფხაზეთის მოსახლეობის ინტერესებს.[52] აღნიშნულმა დოკუმენტმა დიდი აღშფოთება გამოიწვია საზოგადოების გარკვეულ ნაწილში.

---

[50]კვარაცხელია ბ., ,,რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ(აფხაზეთი, ,,სამხრეთ ოსეთი") და საერთაშორისო თანამეგობრობა", ,,უნივერსალი", თბილისი, 2015, გვ. 16.

[51]პაპასქირი ზ., ,,ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან" ნაკვეთი I უძველესი დროიდან 1917 წლამდე, თ.ს.უ. გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ. 239-240.

[52]კვარაცხელია ბ., ,,რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, ,,სამხრეთ ოსეთი") და საერთაშორისო თანამეგობრობა", ,,უნივერსალი", თბილისი, 2015 გვ. 17.

1918 წლის თებერვლის თვეში თბილისში აფხაზთა სახალხო საბჭოსა და საქართველოს ეროვნულ საბჭოს შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც: 1.უნდა აღდგენილიყო ერთიანი აფხაზეთი მდ.ენგურიდან მდ.მზიმთამდე; 2.ერთიანი აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური მმართველობის ფორმა თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე უნდა შეემუშავებინა დემოკრატიულად არჩეულ აფხაზეთის დამფუძნებელ კრებას; 3.თუკი აფხაზეთი და საქართველო გადაწყვეტდნენ სხვა ერთან ან სახელმწიფოსთან პოლიტიკურ სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარებას, ისინი ურთიერთვალდებულებას იღებდნენ ამ საკითხზე ერთმანეთთან წინასწარი მოლაპარაკება გაემართათ. [53]

1921 წლის დასაწყისში, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, აფხაზი ბოლშევიკები საბჭოთა რუსეთის წაქეზებით საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გამოყოფის ინიციატივით გამოვიდნენ. მათ პირდაპირ მოსკოვში გაგზავნეს თხოვნა, გაერკვიათ აფხაზეთის მომავალი სახელმწიფოებრიობის მოწყობის საკითხი. მოგვიანებით, აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო აფხაზეთის, როგორც ავტონომიური ერთეულის, კონსტიტუციის პროექტი, რომლის თანახმადაც, იგი რჩებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც ავტონომიური ერთეული.

საქართველოს მიმართ იმპერიული პოლიტიკის ნაწილი იყო ქვეყნის დანაწევრება, რაზეც მეტყველებს რუსი სამხედრო პირის (პ.სიტინა), მოსაზრება, რომლის თანახმადაც, პირველი ზომა ადგილობრივი შოვინისტების (ქართველების) წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო რუსეთის წითელი არმიის დატოვება საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო მეორე ღონისძიება - აფხაზეთის გამოყოფა.[54]

ზოგადად, საქართველოს დანაწევრების პოლიტიკას რუსეთი ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან ატარებდა. როგორც აფხაზი მკვლევარი, აბესალომ ლეფსაია,

---

[53]Гамахария Д., Гогия Б., ,,Абхазия - Историческая Область Грузии“, ООО ,, Агдгома“ Тбилиси, 1997, стр. 402.

[54]კვარაცხელია ბ., ,,რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ(აფხაზეთი, ,,სამხრეთ ოსეთი“) და საერთაშორისო თანამეგობრობა“, ,,უნივერსალი“, თბილისი, 2015, გვ. 19.

აღნიშნავს, ქართული ნაციონალიზმის ზრდა მეფის რუსეთმა საფრთხედ შეაფასა და ფსონი აფხაზებზე დადო. მიუხედავად იმისა, რომ 1864 წლის აჯანყების შემდეგ ცარიზმმა აფხაზები ,,დამნაშავე ხალხად“ გამოაცხადა, მოგვიანებით ეს ბრალდება მოხსნა და ,,დაყავი და იბატონეს“ პრინციპით დაიწყო მოქმედება. [55]

1921 წლის ნოემბრის თვეში კავბიუროს პრეზიდიუმის მიერ შექმნილ კომისიას უნდა მოემზადებინა პროექტი აფხაზეთისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მომავალი ურთიერთობის შესახებ. სეპარატისტების სურვილი აფხაზეთის დამოუკიდებელი სოციალისტური რესპუბლიკის აღიარება ან მისი ავტონომიური რესპუბლიკის სახით უშუალოდ რსფსრ-სთან ფედერირების საკითხის განხილვა იყო. მათი მოსაზრებით, სოხუმის ოლქის მოსახლეობის 80 პროცენტს აფხაზები შეადგენდნენ, რომელთაც არ სურდათ საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა. [56]

მნიშვნელოვანი იყო 1921 წლის 16 დეკემბრის ,,სამოკავშირეო ხელშეკრულება“ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის, რომლის თანახმადაც, აფხაზეთი შევიდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში ე.წ. ხელშეკრულებითი რესპუბლიკის სახელით, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციაში კი აფხაზეთი შევიდოდა საქართველოდან.

სეპარატისტების მიერ 1925 წელს მიღებული ,,კონსტიტუცია“, რომლის თანახმადაც აფხაზეთის სსრ სუვერენულ სახელმწიფოდ ცხადდებოდა, არ გამოქვეყნებულა. კრემლი თავს იზღვევდა და მის გამოყენებას ქართველების ურჩობის შემთხვევაში გეგმავდა. 1931 წელს კი აფხაზეთის სსრ გადაკეთდა აფხაზეთის ავტონომიურ სსრ-დ - საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში, რამაც სეპარატისტების აშკარა უკმაყოფილება გამოიწვია.

---

[55] კვიციანი ჯ., ,,აფხაზეთის კონფლიქტის მიზეზები პოსტსაბჭოურ ისტორიოგრაფიაში“, კავკასიოლოგიური ძიებანი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012, N3, გვ. 185-186.

[56] Ментешашвили А., ,,Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии“, http://sisauri.tripod.com/politic/index.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.05.2020.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული მუდმივად იგზავნებოდა აფხაზეთიდან მოსკოვში ანტიქართული შინაარსით გაჯერებული საჩივრები, მთავარი მოთხოვნა აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფა იყო. ერთ-ერთი უკმაყოფილების მიზეზი ლავრენტი ბერიას მიერ 1937-1953 წლებში აფხაზეთში ქართველთა მასობრივი ჩასახლება იყო. ისინი ხაზს უსვამდნენ, რომ ქართველები აფხაზების მიმართ რეპრესიულ პოლიტიკას ახორციელებდნენ. საინტერესოა პავლე ინგოროყვას წიგნი - ,,გიორგი მერჩულე", სადაც ავტორის მტკიცებით, აფხაზები ერთ-ერთი ქართველური ტომია და ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებულმა ადიღეური წარმოშობის ტომებმა საქართველოს ძნელბედობის ჟამს აფხაზეთის ტერიტორია აითვისეს, რაც ანტიქართული, სეპარატისტული გამოსვლების საბაბი გახდა. [57]

80-იანი წლებიდან სსრკ-ში დაწყებული ,,პერესტროიკად" წოდებული პროცესების შემდეგ, როცა საქართველოში გაძლიერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, გააქტიურდნენ აფხაზი სეპარატისტებიც. მათ მოსკოვში გააგზავნეს წერილი, სადაც ითხოვდნენ აფხაზეთისთვის სსრ-ს სტატუსის დაბრუნებას (როგორც ეს იყო 1921-1931 წლებში). განსაკუთრებით აქტიურობდნენ პრორუსული ძალები და მათ მიერ შექმნილი სეპარატისტების მთავარი დასაყრდენი ,,აიდგილარა", რომლის ერთ-ერი მთავარი მიზანი აფხაზი ხალხის იდეოლოგიური დამუშავება იყო, რათა შექმნილიყო ერთგვარი ფონი - აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფისა. ამავე პერიოდში სეპარატისტებმა შექმნეს ,,რუსული კულტურის საზოგადოება აფხაზეთში", სომხური ,,კრუნკი", ოსური ,,ალანი", რომელთა მთავარი დანიშნულება აფხაზეთში რუსული იმპერიული პოლიტიკის გატარება იყო. [58]

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, როდესაც თბილისში გენერალ როდიონოვის მეთაურობით დაარბიეს მშვიდობიანი მიტინგი, რასაც, თავის მხრივ,

---

[57]კვარაცხელია ბ., ,,რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ(აფხაზეთი, ,,სამხრეთ ოსეთი") და საერთაშორისო თანამეგობრობა", ,,უნივერსალი", თბილისი, 2015 , გვ. 27-28.

[58]კვარაცხელია ბ., ,,რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ(აფხაზეთი, ,,სამხრეთ ოსეთი") და საერთაშორისო თანამეგობრობა", ,,უნივერსალი", თბილისი, 2015, გვ. 31-32.

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კიდევ უფრო მეტად გაძლიერება მოჰყვა, კრემლი მიხვდა, რომ კონტროლს კარგავდა საზოგადოებრივ პროცესებზე და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების პროვოცირებას შეუწყო ხელი. აფხაზეთის საზოგადოება ქართულ და აფხაზურ ნაწილებად დაიყო. ქართულ ხელისუფლებას შექმნილი დაძაბული და რთული ვითარების გამო არ ეცალა ავტონომიური ერთეულებისთვის, რითაც კარგად ისარგებლეს სეპარატისტებმა, მათ 1990 წლის აგვისტოს თვეში მიიღეს დეკლარაცია ,,აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“[59], რომელიც საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაუქმებულად გამოაცხადა. მოგვიანებით, შეიქმნა ,,კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია“, რომლის დანიშნულებაც აფხაზი სეპარატისტების დახმარება იყო. რა თქმა უნდა, სეპარატისტებს ზურგს მოსკოვი უმაგრებდა, სწორედ ამიტომაც დგამდნენ საკმაოდ თამამ ნაბიჯებს, ისინი საბჭოთა დროშებით ხელში მოითხოვდნენ დამოუკიდებლობას, სინამდვილეში რსფსრ-ში უნდოდათ შესვლა. კრემლისგან ისმოდა მუქარა, რომ თუკი ქართველი ნაციონალისტები გონს არ მოეგებოდნენ და სუვერენიტეტის მოთხოვნას გააგრძელებდნენ, აფხაზეთს უნდა დამშვიდობებოდნენ. მოსკოვის დესტრუქციულ პოლიტიკაში გადამწყვეტ როლს რუსეთში განათლებამიღებული ინტელიგენცია ასრულებდა. უმაღლეს თანამდებობებზე და ადმინისტრაციულ ორგანოებში, ძირითადად, ეთნიკური აფხაზები ინიშნებოდნენ.

საქართველოში კარგად იცოდნენ, რომ პროვოკაციები ინსპირირებული იყო გარეშე, რეაქციული ძალების მიერ. სწორედ იმპერიული პოლიტიკის ნაწილი იყო 1990 წლის 3 აპრილის სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული პროვოკაციული კანონი, რომლის თანახმადაც, მოკავშირე რესპუბლიკებში არსებულ ავტონომიურ წარმონაქმნებს ეძლეოდათ თავისუფალი არჩევანის უფლება, ისურვებდნენ სსრ კავშირში დარჩენას თუ გამოყოფას (რაზეც დეტალურად უკვე ვისაუბრეთ).

[59] პაპასქირი ზ., ,,ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან“ ნაკვეთი II 1917-1993, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა, თბილისი, 2007, გვ. 284.

1991 წლის 9 აპრილს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და გამოიცა შესაბამისი აქტი. მოგვიანებით, საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სსრკ-ის ჯარებს ,,საოკუპაციო ჯარის“ სტატუსი მიენიჭა. თუმცა, ქვეყანაში სიტუაცია სულ უფრო მძიმდებოდა (სამოქალაქო დაპირისპირებების სახით).

1992 წლის 23 ივლისს გააუქმეს აფხაზეთის ასსრ-ის 1978 წლის კონსტიტუცია და აღადგინეს 1925 წლის აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (რომელიც თავის დროზე არ გამოქვეყნებულა). აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს ხელისუფლებამ იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა.

1992 წელს, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ, კრემლისა და ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების შტაბის დახმარებით ძალაუფლება ხელთ იგდო თენგიზ კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის სამხედრო საბჭომ. აფხაზეთის ქართული მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მხარი დაუჭირა დამხობილ პრეზიდენტს და გააპროტესტა სამხედრო საბჭოს ქმედებები. კრემლისთვის კიტოვანისა და იოსელიანის შეიარაღებული დაჯგუფებები აფხაზ სეპარატისტებთან ერთად ერთგვარი დასაყრდენი იყო საქართველოში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გასაჩაღებლად. ქართული შეიარაღებული დაჯგუფებები საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსული სამხედრო ბაზებიდან იღებდნენ საბრძოლო აღჭურვილობას. ქვეყანა სრულმა ქაოსმა მოიცვა. აღნიშნულ პერიოდში გახშირდა აფხაზეთში რკინიგზაზე მატარებლების ძარცვა. სრული დაუმორჩილებლობის ნიადაგზე, ქართული და აფხაზური მხარეების შეთანხმებით, კონტროლის დასამყარებლად აფხაზეთში შევიდნენ ქართული სამხედრო შენაერთები, რომელსაც ხელმძღვანელობდა თ. კიტოვანი, რომლის ქმედებებმაც (სამხედრო ტექნიკის დემონსტრირება), სეპარატისტების პროვოცირება გამოიწვია, რაც პირდაპირ ასხამდა მოსკოვის წისქვილზე წყალს. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარეს ამარაგებდა იარაღით.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1992-1993 წლების ომში საქართველო დამარცხდა, შედეგად კი აფხაზეთის ავტონომიურ რეგიონზე საქართველოს იურისდიქცია შეწყდა. როგორც გივი როგავა აღნიშნავს თავის ნაშრომში - ,,აფხაზები და აფხაზეთი" , - არასწორი იქნება იმის მტკიცება, რომ ეს იყო აფხაზი და ქართველი ხალხის დაპირისპირება, უფრო მართებული იქნება იმის თქმა, რომ აფხაზმა სეპარატისტებმა რუსი პოლიტიკოსების მხარდაჭერით შეძლეს აფხაზი ხალხის ამხედრება ქართველების წინააღმდეგ. ამიტომ, ეს არის არა ქართველთა და აფხაზთა, არამედ რუსულ-ქართული ომი. [60]

დღესდღეობით აფხაზეთი კვაზისახელმწიფოა, რომელიც რუსული გავლენის ქვეშ იმყოფება და უხეშად არღვევს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ხელისუფლების სათავეში დღემდე მოსკოვის რჩეული კანდიდატები მოდიან. ქართულ-აფხაზური დიალოგის რაიმე სერიოზული ფორმატი ამ დრომდე არ შექმნილა, სადაც მხოლოდ ორი მხარე (ქართული და აფხაზური) იქნება წარმოდგენილი. პრინციპში ეს შეუძლებელიცაა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რუსეთს თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები გააჩნია აფხაზეთის მიმართ.

მნიშვნელოვანი ეპიზოდია 2008 წელი თანამედროვე საქართველოს ისტორიაში. რუსეთ-საქართველოს ომს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება მოჰყვა, რასაც მოგვიანებით, უფრო დეტალურად განვიხილავთ. ფაქტია, რომ დღემდე სეპარატისტული რეჟიმები მოსკოვის მთავარი დასაყრდენი და კონტროლის იარაღია საქართველოში.

,,სამხრეთ ოსეთის" ეპიზოდი

ზოგადად, ოსური მინინაციონალიზმი თავიდან ბოლომდე რუსული პროექტია, რომელსაც საფუძველი XX საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ შიდა ქართლში ოსებმა დაიწყეს ბრძოლა ეროვნული თვითგამორკვევისთვის. 1917-1918 წლებში იყო აჯანყებების მთელი ციკლი, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ჩაახშო. შეთქმულებები კი ისევ გრძელდებოდა საქართველოს წინააღმდეგ.

[60]როგავა გ., ,,აფხაზეთი და აფხაზები" საისტორიო ეტიუდები, ,,მერიდიანი", თბილისი 2014, გვ. 75-76.

აჯანყებულ ოსებს მხარდაჭერას უცხადებდა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი, გ. ჩიჩერინი, რომელიც მუქარის შემცველ ნოტებს აგზავნიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართულებით და ამას აგრძელებდა მას შემდეგაც, რაც 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით რუსეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და მის ნაწილად აღიარა ,,სამხრეთ ოსეთი". ამიტომ, მისი ქმედებები საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა იყო და მეტი არაფერი.[61] ქართული ინტელიგენცია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საუბარი ოსეთზე კი არა, ოსებზე უნდა იყოს, ვინაიდან არ არსებობს არანაირი ოსეთი, არსებობენ ოსები საქართველოში. ამ პერიოდში დომინირებდა მოსაზრება ,,სამხრეთ ოსეთის" ჩრდილოეთ ოსეთთან მიერთების შესახებ, რაც ვერ განხორციელდა. ამავე წლის მაისის თვეში სეპარატისტები ადგენენ ერთგვარ მემორანდუმს, რითაც ითხოვდნენ ,,სამხრეთ ოსეთის" საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში უშუალოდ შესვლას; გამოთქვამდნენ პრეტენზიას ქართველების მიმართ და იმედს, რომ ამ ,,გასაჭირში" რუსი მეგობრები არ მიატოვებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვი ყურადღებით ადევნებდა თვალს შიდა ქართლში მიმდინარე მოვლენებს. იგი სეპარატისტებს მორალურადაც და ფინანსურადაც ეხმარებოდა.

1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, კავბიურომ მიიღო დადგენილება ,,სამხრეთ ოსეთისთვის ავტონომიური ოლქის უფლებათა" მინიჭების შესახებ და საქართველოს რევკომისგან ოლქის საზღვრების საკითხის გარკვევა მოითხოვა. მოგვიანებით, ტიპური საბჭოური გადაწყვეტილებით, ,,სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" შეიქმნა, ყოველგვარი ისტორიული და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. ავტონომია იყო ერთგვარი ჯილდო სეპარატისტებისთვის, იმისთვის, რაც მათ გააკეთეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობისთვის.

---

[61]კვარაცხელია ბ., ,,რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ(აფხაზეთი, ,,სამხრეთ ოსეთი") და საერთაშორისო თანამეგობრობა", ,,უნივერსალი", თბილისი, 2015, გვ. 77.

ქართულ-ოსური ურთიერთობების კიდევ უფრო გართულება იწყება 80-იანი წლებიდან. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერების პარალელურად გააქტიურდნენ ოსი სეპარატისტები. ისინი მოსკოვში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის - იური ანდროპოვის სახელზე აგზავნიდნენ საჩივრებს ,,ორი ოსეთის" გაერთიანებასთან დაკავშირებით, ქართველებს ,,სამხრეთელი ოსების" შევიწროებაში ადანაშაულებდნენ. ისინი როკის გვირაბის მშენებლობასაც ითხოვდნენ, რაც ოსი ხალხის გაერთიანების გარანტი იქნებოდა. ამ პერიოდში მოსკოვის მთავარ დასაყრდენს და სეპარატისტთა არაფორმალურ გაერთიანებას წარმოადგენდა ანტიქართული არაფორმალური გაერთიანება ,,ადამონ ნიხასი". სწორედ მათი აქტიურობით, ,,სამხრეთ ოსეთის" მმართველობით აპარატში 1988 წლისთვის 140 წევრიდან 85 ოსი ეროვნებისა იყო და 34 - ქართველი, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლების 227 წევრიდან 176 ოსი იყო, 43 - ქართველი.[62]

1989 წლის 15 აგვისტოს მიღებული დადგენილება, რომლითაც განსაზღვრული იყო ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი, ,,ადამონ ნიხასის" მიერ ცხინვალში მიტინგის გამართვის მიზეზი გახდა. მოგვიანებით კი მიღებულ იქნა ყოვლად გაუმართლებელი და ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ,,სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ენად ოსური ენა გამოცხადდა". [63] შემდგომ სამხრეთ ოსეთის სტატუსის ამაღლება მოისურვეს და ,,სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" სურდათ, გარდაქმნილიყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად. რაც იმთავითვე დაგმო ქართულმა ხელისუფლებამ. იკვეთება, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ავტონომიური ოლქის პოლიტიკური სტატუსი იყო. მოგვიანებით თბილისსა და ცხინვალს შორის გაიმართა ,,კანონთა ომი". 1990 წლის 3 აპრილს სსრ კავშირის მიერ მიღებული კანონი, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკებში არსებულ ავტონომიურ

[62] სონღულაშვილი ა., ,, ,,სამხრეთ ოსეთი" საქართველოში?!", ,,უნივერსალი", თბილისი, 2009, გვ.177.
[63] მალაშხია შ., ,,კონფლიქტების ანატომია", საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 2011, გვ.140.

წარმონაქმნებს უფლებებს უზრდიდა, ერთგვარი წახალისება იყო სეპარატისტებისთვის. კრემლის მიერ აღნიშნული ქმედება იყო ერთგვარი იურიდიული ბაზა ეთნიკური დაპირისპირებების შემდგომი ესკალაციისთვის.

სეპარატისტებმა არ დააყოვნეს და მაშინვე გამოაცხადეს ,,სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" გარდაქმნა ,,სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად", ასევე, მოსთხოვეს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მიეღოთ ,,სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა" , როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი. [64] სეპარატისტთა ურჩობას და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს საზღვარი არ ჰქონდა, რის გამოც 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გააუქმა ,,სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქი.

1991 წლის 7 იანვარს სსრ კავშირის პრეზიდენტის - მიხეილ გორბაჩოვის ბრძანებულების საფუძველზე, საბჭოთა კონსტიტუციისთვის შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული როგორც ცხინვალის, ისე თბილისის იმდროინდელი გადაწყვეტილებები, მათ შორის ,,სამხრეთ ოსეთის" ავტონომიის სტატუსის ამაღლების და ოლქის სრულად გაუქმების შესახებ მიღებული დადგენილებები. ასევე, ,,სამხრეთ ოსეთიდან" სამ დღეში უნდა ყოფილიყო გაყვანილი ყველა ფორმირება, გარდა სსრკ-ის შინაგანი ჯარებისა.[65]

გრძელდებოდა პროვოკაციული ქმედებები: 1991 წლის 17 მარტს სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მონაწილეობა მიიღო მოსკოვის მიერ დანიშნულ საერთო საკავშირო რეფერენდუმში და ხმა მისცა საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას, ხოლო ამავე წლის 31 მარტის საერთო ქართულ რეფერენდუმს დამოუკიდებლობის შესახებ ბოიკოტი გამოუცხადა.

მნიშვნელოვანი დოკუმენტია სსრკ-ის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 1 აპრილის დადგენილება ,,სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქის მდგომარეობის შესახებ, სადაც შემოიღეს საგანგებო მდგომარეობა სსრკ-ის შსს შინაგანი ძალების

---

[64],,ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზების, დინამიკის, გადაწყვეტის გზების ძიებისა და სავარაუდო მიმართულებების შესახებ", ღია საზოგადოება-საქართველო, 2005, N1; გვ.18.
[65] მალაშხია შ., ,,კონფლიქტების ანატომია", საქართველოს პარლამენტი, 2011, გვ.145.

მეშვეობით. აღნიშნულმა ნაბიჯმა უკიდურესად დაძაბა სიტუაცია, სეპარატისტები გათამამდნენ და რუსული სამხედრო ძალების მხარდაჭერით იერიში მიიტანეს ქართულ სოფლებზე. ამავე წლის მიწურულიდან სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა ქვეყანაში. სამოქალაქო ომის შედეგად დაემხო კანონიერი მთავრობა და ხელისუფლების სათავეში მოვიდა სამხედრო საბჭო, რომელმაც გააუქმა მოქმედი კონსტიტუცია, აღადგინა 1921 წლის კონსტიტუცია და ძალაუფლება გადასცა სახელმწიფო საბჭოს ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით.

მთელი ამ ხნის განმავლობაში გრძელდებოდა შეტაკებები ოს ბანდიტურ ფორმირებებსა და ქართულ არმიას შორის. სეპარატისტები უარს აცხადებდნენ ახალ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაზე მანამ, სანამ ქართული ჯარი არ დატოვებდა ცხინვალს. 1992 წლის 19 იანვარს ჩაატარეს რეფერენდუმი - მოსახლეობის უმრავლესობამ ხმა მისცა ,,სამხრეთ ოსეთის" საქართველოსგან გამოყოფას და მის შეერთებას რუსეთის ფედერაციასთან.[66] არალეგიტიმური რეფერენდუმის შემდეგ სეპარატისტებმა მიიღეს ,,სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობის აქტი. 24 ივნისს შევარდნაძემ და ელცინმა ხელი მოაწერეს ,,ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პრინციპთა შესახებ" შეთანხმებას.[67] ომის შემდეგ შერეული სამშვიდობო ძალები (ქართული, რუსული, ოსური) განთავსდნენ კონფლიქტის ზონაში. გასაკვირი არ იყო, რომ 1993 წელს ჩრდილოეთ ოსეთის სსრ-ის უზენაესმა საბჭომ სცნო ,,სამხრეთ ოსეთის" რესპუბლიკა, რასაც ნეგატიური გამოხმაურება მოჰყვა ქართული მხრიდან, თუმცა უშედეგოდ.

1996 წელს გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს, რუსეთს, ჩრდილოეთ ოსეთს, ,,სამხრეთ ოსეთსა" და ეუთო-ს შორის, კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის უშიშროების უზრუნველყოფისა და ურთიერთობის განმტკიცების ღონისძიებების შესახებ, თუმცა, მასში არაფერი იყო ნათქვამი ,,სამხრეთ ოსეთის" სტატუსის შესახებ. 2000 წელს კი, ხანგრძლივი მოლაპარაკებებისა და პოლემიკის

---

[66]კვარაცხელია ბ., ,,რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, ,,სამხრეთ ოსეთი") და საერთაშორისო თანამეგობრობა", ,, უნივერსალი", თბილისი, 2015 გვ. 144-145.

[67] მალაშხია შ., ,,კონფლიქტების ანატომია", საქართველოს პარლამენტი, 2011, გვ. 149.

შემდეგ მხარეებმა ხელი მოაწერეს შუალედურ დოკუმენტს („ბადენის დოკუმენტი“). თუმცა მხარეები მაინც ვერ შეთანხმდნენ ძირითად საკითხებზე, „სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკურ სტატუსზე, რუსული და ოსური მხარე ყურადღებას ამახვილებდნენ იმ სასიცოცხლო ინტერესებზე, რომელიც „სამხრეთ ოსეთს“ აკავშირებდა ჩრდილოეთ ოსეთთან, მათი მტკიცებით, „სამხრეთ ოსეთს“ უნდა ჰქონდეს საკუთარი კონსტიტუცია, სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები, ჰყავდეს პრეზიდენტი. გასაკვირი არაა, რომ აღნიშნულ დოკუმენტში რუსული და ოსური მოსაზრებები, ძირითადად, ემთხვევა ერთმანეთს. უთანხმოების მთავარი საგანი კი იყო ბალანსი ერთა თვითგამორკვევასა და ტერიტორიულ მთლიანობას შორის. [68]

რუსეთი გამოდიოდა როგორც მედიატორი, სინამდვილეში კი იყო მონოპოლისტი სამშვიდობო პროცესებში. მისი წაქეზებისა და მხარდაჭერის გარეშე სეპარატისტები ნაბიჯსაც არ დგამდნენ, რაც აშკარაა კონფლიქტის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე. მისთვის ცხინვალის რეგიონს გეოსტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან აქედან შეეძლო ევროპისკენ მიმავალი ნავთობსადენების კონტროლი. ცეცხლი შეწყდა, მაგრამ „კონფლიქტი გაიყინა“. ევროპარლამენტის 2001 წლის 19 იანვარს მიღებულ რეზოლუციაში პირველად დაფიქსირდა რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ (როგორც ანექსია) და ეჭვქვეშ არის დაყენებული კონფლიქტის ზონებში რუსეთის საშუამავლო მისია. [69]

დღესდღეობით, „სამხრეთ ოსეთი“ რუსული გავლენის ქვეშ იმყოფება და უმაღლესი თანამდებობის პირებიც მოსკოვის რჩეულნი არიან. იგი რჩება სეპარატისტულ წარმონაქმნად საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც ძირს უთხრის ქყეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, წარმოადგენს მეზობელი, მტრულად განწყობილი სახელმწიფოს მთავარ დასაყრდებს და ამჟღავნებს

---

[68]ГРУЗИЯ: КАК ИЗБЕЖАТЬ ВОЙНЫ В ЮЖНОЙ ОСЕТИИ, Доклад МГПК-Европа No 159, Тбилиси/Брюссель, 26 ноября 2004 г, стр.34.

[69]კვარაცხელია ბ., „რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი“) და საერთაშორისო თანამეგობრობა“, „უნივერსალი”, თბილისი, 2015, გვ. 156.

ირედენტიზმის გარკვეულ ტენდენციებს. ოსები დღემდე ამტკიცებენ, რომ ჩრდილოეთ ოსეთი მათი ისტორიული სამშობლოა და უნდა გაერთიანდეს ,,ორი ოსეთი“, თუმცა, მსგავს ქმედებას საქართველოს ისტორიული მიწების უკანონო ჩამორთმევა რომ ჰქვია, ვერ ან არ იაზრებენ.

დაახლოებით 30 წელი გავიდა საქართველოში მომხდარი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებიდან და საერთაშორისო საზოგადოება მხოლოდ ბოლო პერიოდში მიხვდა, თუ ვინ იყო სინამდვილეში აფხაზეთსა და ,,სამხრეთ ოსეთში“ მინინაციონალიზმის მთავარი წამქეზებელი. ამაში კი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ უფრო მეტად დარწმუნდნენ, როდესაც რუსეთის ფედერაციამ გამოამჟღავნა თავისი ღია აგრესია საქართველოს მიმართ.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ უმძიმესი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები გადაიტანა, რომელმაც შინაგანად დაასუსტა და გამოფიტა იგი. რა თქმა უნდა, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მიზეზები შეიძლება იყოს ტერიტორიული სტატუსი, კონსტიტუციასთან თუ თვითმმართველობის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები, მაგრამ ფაქტია, რომ ეთნიკური ელემენტები მასში ჭარბადაა, რითაც დღემდე მანიპულირებს მოსკოვი. სწორედ ამიტომაა, ზემოაღნიშნული შიდაომები განხილული, როგორც ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, რომელიც არანაირად არ გამორიცხავს დაპირისპირებებს სხვა გარემოებების ნიადაგზე.

ხსენებული ომების შემდეგ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების ნორმალიზებისკენ რაიმე სერიოზული და მნიშვნელოვანი ნაბიჯი არ გადადგმულა. აფხაზეთისა და ოსეთის სეპარატისტულ რეჟიმებს არ სურთ საქართველოს იურისდიქციის ქვეშ ყოფნა. ისინი მუდმივად აპელირებენ ქართული მხარის მიერ ეთნიკურ ნიადაგზე აფხაზებისა და ოსების წმენდაზე, რაც რა თქმა უნდა, გაზვიადებულია და სიმართლეს არ შეესაბამება. ხაიმ კაუფმანის აზრით, ძნელია იმის თქმა, შესაძლებელია თუ არა საერთოდ ეთნიკური სიძულვილის აღმოფხვრა მას შემდეგ, რაც მასშტაბური ძალადობა განხორციელდება. თუმცა, ხანგრძლივ პერსპექტივაში განცალკევებამ შეიძლება ეთნიკურ ჯგუფებს შორის ანტაგონიზმის შემცირებას შეუწყოს ხელი. ავტორის

თქმით, ეთნიკური მტრობის შესუსტება ნამდვილად შეუძლებელია განცალკევების გარეშე. თუ ერთ-ერთ მხარეს პერიოდულად მაინც უჩნდება მეორე მხარის თავდასხმის შიში, იოლად მოხდება წარსულში ჩადენილი სისასტიკის გახსენება და ძველი სიძულვილის გაღვივება.[70]

დღეს არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, თითქოს არ ჩანს კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივა. ამასთან, საქართველოში არის ერთგვარი ტაბუ გულახდილი და გულწრფელი საუბრისა, თუ როგორ უნდა მოვაგვაროთ კონფლიქტები. მნიშვნელოვანია წინ წაწევა და არა წარსულში ქექვა და გაუთავებელი ურთიერთბრალდებები.

[70]არტი რ., ჯერვისი რ., ,,საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები", ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011, გვ.462.

თავი II. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის პოლიტიკური შედეგები და მინინაციონალიზმის დინამიკა

2.1. აგვისტოს ომის წინმსწრები მოვლენები და კონფლიქტის ესკალაცია

რუსეთ-საქართველოს დაპირისპირება 2008 წლის აგვისტოს თვეში არ დაწყებულა. ეს ურთიერთობა მრავალ წელს ითვლის და სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში სხვადასხვაგვარი იყო - ზოგჯერ კეთილმეზობლური, ზოგჯერაც - მტრული. XX საუკუნის ბოლოს განვითარებული მოვლენების გამო ქართულ-რუსული ურთიერთობები საკმაოდ დაიძაბა, ხოლო 2008 წლის აგვისტოს ომი აღნიშნული დაძაბულობის ერთგვარი კულმინაცია იყო.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობას აქვს უფრო ღრმა ისტორიული ფესვები. საკითხში უკეთ გასარკვევად განვიხილავთ, თუ როგორ მივიდა სიტუაცია ომამდე და მოკლედ შევეხებით პირველ თავში განხილულ თემას. ვინაიდან, რუსეთი ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებში მონაწილე მხარედ, სეპარატისტების მხარდამჭერად და ომის წამქეზებლად, მისი როლი მნიშვნელოვანია ამ კონტექსტში. ამასთან, ყველასთვის ცნობილია, რომ მას აქვს კონკრეტული გეოპოლიტიკური ინტერესები კავკასიის რეგიონში.

საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ჩადებული ,,შენელებული მოქმედების ნაღმი'' მეოცე სუკუნის 80-იანი წლებიდან ამოქმედდა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების სახით. აღნიშნულ პერიოდში საქართველოში მომძლავრდა ეროვნული მოძრაობა, რომელიც იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის. ისმოდა ლოზუნგი - ,,გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!". დემონსტრაციებმა მასობრივი ხასიათი მიიღო. მოთხოვნები თანდათან იღებდა პოლიტიკურ შინაარსს. გაისმა პრეტენზიები იმის თაობაზე, თუ რატომ უნდა ჰქონოდა საქართველოში პოლიტიკურ-ტერიტორიული ავტონომია ხალხს, რომელსაც სამშობლო საქართველოსგან მოშორებით ჰქონდა. ეროვნულმა მოძრაობამ ეთნიკური ნაციონალიზმის ფორმა მიიღო, რაც მიუღებელი აღმოჩნდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის და საქართველოს

დამოუკიდებლობაში თავიანთი ფიზიკური განადგურების საფრთხე დაინახეს. აფხაზებსა და ოსებს ეთნიკურ ნიადაგზე აქეზებდა და მხარს უჭერდა მოსკოვი, რაც მორალურ და ფიზიკურ დახმარებაშიც გამოიხატა.

მოცემულობა იყო შემდეგნაირი: ქართველების აზრით, ეთნიკურმა უმცირესობებმა უმადურობა გამოიჩინეს. პირობა იყო ასეთი: ან მხარი უნდა დაეჭირათ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ან დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში.

მეორე მხარე კი თვლიდა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ნაციონალისტური რეჟიმი საფრთხეს შეუქმნიდა მათ ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნებაში.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები იყო რუსეთის სტრატეგია, კონფლიქტის პროვოცირებით საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი დაშლა და დასუსტება, რომლის შემდეგაც საკუთარი სამხედრო დანაყოფები განათავსა რეგიონში - უსაფრთხოების სახელით.[71]

ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტები ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეისა და რუსული იმპერიული იდეის ხანგრძლივი დაპირისპირების ლოგიკური შედეგი იყო, ისევე როგორც - 2008 წლის აგვისტოს ომი. მოსკოვი დღემდე ხელმძღვანელობს ,,გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკით.

აფხაზებსა და ოსებს თავიდანვე არ სურდათ, ყოფილიყვნენ ეროვნული უმცირესობები ქართულ სახელმწიფოში. ისინი უპირისპირდებოდნენ ქართული სახელმწიფოს მთავარ პრინციპს - საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას; მუდმივად აპელირებდნენ ქართული მხარის სისასტიკეზე და ეთნიკურ ნიადაგზე განხორციელებულ ჩაგვრაზე, რამაც ნეგატიური განწყობები ჩამოაყალიბა მხარეთა შორის.

---

[71] ჯოჯუა დ., ,,აფხაზეთი 1938-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები'', სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2009, გვ.157.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაიღუპა უამრავი მშვიდობიანი მოქალაქე, ბევრს კი იძულებით მოუწია საკუთარი სახლის დატოვება. ომის შედეგები განსაკუთრებით სავალალო იყო საქართველოსთვის, როგორც პატარა და განვითარებადი სახელმწიფოსთვის, თავისი სუსტი ეკონომიკით, პოლიტიკური ინსტიტუტებითა და ჯარით. რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული ომი არ დაწყებულა უბრალო წაქეზებით, არც ცხელ გულზე მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებით რომელიმე მხარის მიერ, აღნიშნულ ომს ჰქონდა თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და განსაკუთრებით სამხედრო კონტექსტი და წინამძღვრები, რამაც ერთიანობაში შექმნა ნიადაგი ომის გაჩაღებისთვის.

XX საუკუნის ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს და რუსეთს შორის ურთიერთობა საკმაოდ დაძაბული იყო. განსაკუთრებით შეუთავსებელი იყო მათი ინტერესები აფხაზეთსა და ,,სამხრეთ ოსეთთან“ მიმართებაში. ჯერ კიდევ 1980-იანი წლებიდან მოყოლებული ამ ორი რეგიონის მიმართ განსაკუთრებული პოლიტიკა ტარდებოდა მოსკოვის მიერ, რაც იყო ერთგვარი ფარული ნაღმი, რომელიც ამოქმედდა 1990-იანი წლების ბოლოს.

საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, რომლებიც არ აღიარებდნენ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, ყოველთვის პირდაპირ უკავშირდებოდნენ მოსკოვს. ისინი ხშირად გამოთქვამდნენ პრეტენზიებს საქართველოს ხელისუფლების მიმართ, რაც ხშირად მოჩვენებითი და ხელოვნურად შექმნილი იყო დაპირისპირების გაღრმავების მიზნით; გადაწყვეტილებებს იღებდნენ მოსკოვთან შეთანხმებით, საქართველოს ხელისუფლების გვერდის ავლით. აღნიშნული გარემოება ქმნიდა ერთგვარ უნდობლობას, რაც ომის დაწყების საწინდარი იყო. შედეგმაც არ დააყოვნა და საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე ორ ფრონტზე გაჩაღდა ომი ეთნიკურ ნიადაგზე, ანუ ამოქმედდა ფარული ნაღმი და მივიღეთ: ორი სეპარატისტული რეჟიმი საქართველოს ტერიტორიაზე, რომელთაც უალტერნატივო ერთგულება

გამოიჩინეს საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრის - რუსეთის ფედერაციის მიმართ.

ურთიერთობები განსაკუთრებით დაიძაბა რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებაში ვლადიმერ პუტინის მოსვლის შემდეგ (1999 წ.) იგი დღემდე მტკიცედ ინარჩუნებს ძალაუფლებას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე ოთხი რუსული სამხედრო ბაზა იყო განთავსებული - ახალქალაქის, ბათუმის, ვაზიანისა და გუდაუთის, რაც კონტროლის ერთგვარი მექანიზმი იყო მეზობელი სახელმწიფოსთვის, ვინაიდან იგი დაინტერესებული იყო ქვეყნის შიდა პოლიტიკით. თუმცა, ეუთო-ს 1999 წლის სტამბოლის სამიტზე მწვავედ დაისვა საქართველოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხი, რაც ამ უკანასკნელისთვის ერთგვარი გაღიზიანების საგნად იქცა. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება არ შედიოდა მოსკოვის გეგმებში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს საგარეო პოლიტიკური გზა და არჩევანი ცალსახად პროდასავლურია, რაც პრინციპში გახდა რუსეთისთვის 2008 წლის აგვისტოს ომის მასტიმულირებელი ფაქტორი. ვლადიმერ პუტინი თავიდანვე მკაცრი პოლიტიკით გამოირჩეოდა საქართველოსთან მიმართებაში. მან დაარღვია 1996 წლის 19 იანვრის დსთ-ს ქვეყნების მიერ მოსკოვის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება ,,აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“, რომლის თანახმადაც, მხარეები არ დაუშვებდნენ სეპარატისტული რეჟიმის ტერიტორიაზე რაიმე ტიპის იარაღისა და სამხედრო დანიშნულების აღჭურვილობის შეტანას, მათი საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის გამოყენებას, სამხედრო სპეციალისტების მომზადებას, მოქალაქეების გაგზავნას აფხაზეთის შეიარაღებულ ფორმირებაში. აიკრძალა ყოველგვარი ოფიციალური კონტაქტი სეპარატისტულ რეჟიმთან. [72] თუმცა, პუტინმა ცალმხრივად დაარღვია ეს ხელშეკრულება და ჯარის ასაკის მამაკაცებს უფლება მისცა, გადაეკვეთა საქართველო-რუსეთის საზღვარი და

[72] მალაშხია შ., ,,კონფლიქტების ანატომია“, საქართველოს პარლამენტი, თბილისი,2011, გვ. 103.

აფხაზეთში შესულიყვნენ. მოგვიანებით, აფხაზეთისა და ,,სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის შემოიღო სავიზო რეჟიმი ცალმხრივად, თუმცა აფხაზეთის, ცხინვალისა და აჭარის რეგიონებს გამარტივებული სავიზო რეჟიმი დაუწესა, რაშიც კიდევ ერთხელ გამოიკვეთა კრემლის იმპერიალისტური პოლიტიკის მზაკვრული პოლიტიკა - ,,დაყავი და იბატონე“.

ამ პერიოდში მსოფლიოში მომძლავრდა ტერორისტული საფრთხე, განსაკუთრებით, 2001 წლის 11 სექტემბერს, ნიუ-იორკის ტერორისტული აქტის შემდეგ. საქართველოში, კერძოდ, პანკისის ხეობაში სიტუაცია უკონტროლო გახდა. აქ ადგილი ჰქონდა იარაღით უკანონო ვაჭრობას, ადამიანების გატაცება/წამებას და სხვადასხვა ტიპის ნარკოდანაშაულებს.[73] პუტინმა აღნიშნულის გამო საქართველო ტერორისტული საფრთხის მატარებელ ქვეყნად გამოაცხადა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის საფუძველზე დაემუქრა (რომლის თანახმადაც, ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ შეიარაღებული თავდასხმის საპასუხოდ. ეს მუხლი ზუსტად მოითხოვს შეიარაღებულ თავდასხმას, როგორც წინარე პირობას თავდაცვითი ძალების გამოსაყენებლად [74]) და 2002 წლის აგვისტოს თვეში პანკისის ხეობა დაბომბა. ამავე წლის ნოემბრის თვეში კი საქართველომ ოფიციალურად გამოთქვა სურვილი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. აღნიშნულმა ნაბიჯმა მოსკოვის გაღიზიანება გამოიწვია და 1996 წლის დსთ-ს ქვეყნების მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება კიდევ ერთხელ დაარღვია - აფხაზეთთან სარკინიგზო მიმოსვლის გახსნით. 2003 წლიდან ისმოდა მუქარები საქართველოს მიმართულებით რუსეთის თავდაცვის მინისტრის - სერგეი ივანოვის მხრიდან. აფხაზეთსა და ,,სამხრეთ ოსეთში“ დაიწყო მასობრივი

---

[73] 2003 წლის მსოფლიო ანგარიში,საქართველო, მოვლენათა განვითარება ადამიანის უფლებათა სფეროში, Human Rights Watch, გვ.1, https://www.hrw.org/legacy/georgian/pdfs/reports/2003/wr2003.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.06.2020.

[74],,Charter of The United nations and Statute of the International Court of Justice", San Francisco, 1945, pp:10-11.

რუსული პასპორტიზაცია. რუსეთის მიმართ ერთგულებას იჩენდა, ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერი, ასლან აბაშიძე, რომელიც, სულ მცირე, ხუთჯერ იმყოფებოდა ოფიციალური ვიზიტით მოსკოვში.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმის ლიდერი, ედუარდ კოკოითი, განსაკუთრებულად გამოირჩეოდა ანტიქართული განწყობებით. მან არაერთხელ მიმართა მოსკოვს, ეცნო ,,სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობა, თუმცა რუსეთის ხელისუფლება თავს იკავებდა აღნიშნული გადაწყვეტილებისგან და მხოლოდ სამხედრო დახმარებით შემოიფარგლებოდა.

განსაკუთრებით გართულდა სიტუაცია 2003 წლის ,,ვარდების რევოლუციის" შემდგომ, რა დროსაც, საქართველოში ძირეული პოლიტიკური ცვლილებები განხორციელდა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანება იყო. ეს კი მოსკოვის გაღიზიანების მიზეზი გახდა, რაც ქართულ პროდუქციაზე ემბარგოს დაწესებით, ცხინვალის რეგიონის მეზობელ სოფლებში ინტენსიური სროლებით, აფხაზეთში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებით და მასში რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალების დამატებითი კონტინგენტის შეყვანაში გამოიხატა. იგი აცხადებდა, რომ საჭიროების შემთხვევაში აფხაზეთისა და ,,სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე საკუთარი მოქალაქეების დასაცავად სამხედრო ძალასაც გამოიყენებდა.

2004 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი, მიხეილ სააკაშვილი, ცხინვალში ჩავიდა, რამაც კოკოითი გააღიზიანა, თებერვლის თვეში კი, სააკაშვილი უკვე საქართველოს პრეზიდენტის რანგში შეხვდა ვლადიმერ პუტინს, თუმცა შეხვედრას რაიმე სასიკეთო შედეგი არ გამოუღია, პირიქით, რუსეთმა უფრო გააძლიერა საკუთარი გავლენა ცხინვალზე.

იმავე წლის მაისის თვეში კი ,,ვარდების რევოლუცია" მოხდა აჭარაშიც, რის შემდგომაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურმა, ასლან აბაშიძემ, დატოვა თანამდებობა და მოსკოვში გაფრინდა. ამ მოვლენების შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა კატეგორიულად გააფრთხილა საქართველოს ხელისუფლება, რომ

ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში იგივე არ უნდა განმეორებულიყო. ირწმუნებოდა, რომ მსგავსი მოვლენების განვითარებას იგი არ შეეგუებოდა, რის დასტურადაც მან ჯავასთან და ცხინვალში სამხედრო ბაზების აშენება დაიწყო. უამრავი რუსი სამხედრო პირი იქნა გადმოგზავნილი აღნიშნულ ბაზებზე. სიტუაცია თანდათან იძაბებოდა, იგრძნობოდა ომისთვის მზადება. ამ პერიოდში ქართველმა ძალოვნებმა დააკავეს სატვირთო ავტომანქანები, რომელთაც რუსეთიდან სამხედრო აღჭურვილობა გადაჰქონდათ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, რის საპასუხოდაც ოსთა დივერსიულმა რაზმმა ქართული სამშვიდობო ბატალიონის მეომრები განაიარაღეს (სულ 50 პირი) და ცხინვალის ცენტრში დააჩოქეს.

მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ამასთან, იგი საკმაოდ ,,ხმამაღალ“ განცხადებებს აკეთებდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად : ,,სულ ცოტა ერთი წლის მანძილზე სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემოუერთდება'' [75]. მოგვიანებით ქართულმა ხელისუფლებამ გააუქმა ერგნეთის ბაზრობა ე.წ. სამხრეთ ოსეთში იმ არგუმენტით, რომ აღნიშნული ადგილი არალეგალური ვაჭრობის ცენტრი იყო. გადაწყვეტილების განსახორციელებლად ადგილზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ძალები ჩავიდნენ, რამაც სეპარატისტებისა და მოსკოვის გაღიზიანება გამოიწვია. 2005 წელს გორში, პოლიციის შენობაში განხორციელებულ ტერორისტულ აქტში საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ რუსეთი პირდაპირ დაადანაშაულა.[76] მოსკოვი კი ამ დროს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დელეგაციებს ისე მასპინძლობდა, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობებს.

---

[75],,ანგარიში”, საქართველოში მომხდარ კონფლიქტებთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია, ტომი II, სექტემბერი, 2009; გვ. 23.

[76],,ტერორიზმი-გამოწვევები ოკუპირებული ტერიტორიებიდან“, ცხვიტავა გ., პირველი არხი, 23.05.2019, https://1tv.ge/video/terorizmi-gamowvevebi-okupirebuli-teritoriebidan/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.06.2020.

2005 წელს საქართველოს პარლამენტის რეგულაციის თანახმად, თუკი 2005 წლის 15 მაისამდე არ შეთანხმდებოდა ბაზების გაყვანის საკითხი და ეს პროცესი არ დასრულდებოდა 2006 წლის იანვრამდე, რუსული ბაზები ალყაში მოექცეოდნენ და შეუწყდებოდათ ყველანაირი რესურსით მომარაგება.[77] 2005 წლის 30 მაისს კი საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა - სერგეი ლავროვმა და სალომე ზურაბიშვილმა - ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა უნდა დასრულებულიყო 2008 წლის ბოლოსთვის. რუსეთმა დაიწყო პირობის შესრულება, პარალელურად კი, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ახალ სამხედრო ბაზებს აშენებდა.

2005 წლის იანვრის თვეში მიხეილ სააკაშვილმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე წარადგინა კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებდა მორიგების სამეტაპიან პროცესს: დემილიტარიზაციას, ეკონომიკურ რეაბილიტაციას და პოლიტიკურ მორიგებას.[78] თუმცა ,,სამხრეთ ოსეთის“ დე-ფაქტო პრეზიდენტმა უარი განაცხადა შეთავაზებულ გეგმაზე.

ამ პერიოდში მსოფლიოში აქტიურად განიხილებოდა კოსოვოს საკითხი (სერბეთის ყოფილი ავტონომიური ოლქი, სადაც XX საუკუნის 90-იან წლებში მიმდინარეობდა დაპირისპირებები ეთნიკურ ნიადაგზე). კოსოვოელი ალბანელების მთავარი მოთხოვნა საერთაშორისო აღიარება იყო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მსოფლიო საზოგადოების აზრი ორად გაიყო. ერთნი მიიჩნევდნენ და დღემდე მიიჩნევენ, რომ კოსოვოს აღიარება სერბეთის სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისადმი უპატივცემულობაა, ხოლო მეორენი თვლიან, რომ კოსოვოს შემთხვევა განსაკუთრებულია და აღიარება

---

[77],,საქართველოს პარლამენტის დადგენილება, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების შესახებ“, 10.03.2005, https://matsne.gov.ge/ka/document/view/42862?publication=0, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09.06.2020.

[78] საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე, 26.01.2005, http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News?p=2775&i=1 , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.06.2020.

მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. რუსეთი პირველ პოზიციაზე იდგა, თანაც მიაჩნდა, რომ თუკი კოსოვოს აღიარებდნენ, იგივეს გაკეთება შეიძლებოდა აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში.

2006 წლის ცივი ზამთრის პირობებში რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი ორი გაზსადენი და მაღალი ძაბვის ხაზები აფეთქდა, რის გამოც სერიოზული პრობლემები შეექმნა აღმოსავლეთ საქართველოს. ამავე წელს სიტუაცია დაიძაბა კოდორის ხეობაში, ივლისის თვეში საქართველოს ხელისუფლებამ კოდორის ხეობაზე საკუთარი იურისდიქცია აღადგინა შეიარაღებული ძალების გამოყენების გზით, რასთან დაკავშირებითაც გაერო-მ გამოსცა რეზოლუცია N1716 (13.10.2006), რითაც იგი მოუწოდებდა კონფლიქტის ორივე მხარეს, პატივი ეცათ 1994 წლის მოსკოვის შეთანხმებისთვის ,,ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ“. [79]

რეზოლუცია დარჩა მოწოდებად, რუსეთმა კი კოდორის ხეობაში ქართული ადმინისტრაციული შენობები დაბომბა. 2007 წლის 13 ივლისის დეკრეტით რუსეთმა დატოვა ევროპაში ჩვეულებრივი სამხედრო შეიარაღების ხელშეკრულება, იმ არგუმენტით, რომ ცივი ომის დროს ხელმოწერილი ხელშეკრულება აღარ შეესაბამებოდა რეალობას თანამედროვე ევროპაში და აღარც - რუსეთის უსაფრთხოების ინტერესებს. [80] ამ ნაბიჯმა კი საშუალება მისცა მოსკოვს, კავკასიაში განელაგებინა სამხედრო აღჭურვილობა.

მოსკოვი მუდმივად აპელირებდა კოსოვოს საკითხზე და სახელმწიფოებს თითქოს აფრთხილებდა, რომ თუკი აღიარებდნენ სერბეთის ყოფილი ავტონომიური ერთეულის დამოუკიდებლობას, რუსეთიც იგივეს გააკეთებდა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია 2007 წლის მიუნხენის საერთაშორისო უსაფრთხოების კონფერენციაზე ვლადიმერ

---

[79]Resolution 1716 (2006), Security Council Adopted by the Security Council at its 5549th meeting, on 13.10.2006, http://unscr.com/en/resolutions/1716 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.04.2020.

[80]Указ Президента Российской Федерации от 13.07.2007 г. № 872, О приостановлении Российской Федерацией действия Договора об обычных вооруженных силах в Европе и связанных с ним международных договоров, http://www.kremlin.ru/acts/bank/25785, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.06.2020.

პუტინის სიტყვით გამოსვლა, სადაც მან გააკრიტიკა აშშ მისი მცდელობის გამო - ჩამოაყალიბოს უნიპოლარული მსოფლიო; ასევე, გაილაშქრა ნატო-ს გაფართოების წინააღმდეგ და საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდა, რომ კოსოვოს საკითხის გადაწყვეტის შესახებ თავიანთი ნება მსოფლიოს არ უნდა მოახვიონ.[81] აღნიშნული გამოსვლა იყო ერთგვარი გარდამტეხი ნაბიჯი რუსეთის საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით.

თებერვლის თვეში კოსოვომ მართლაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დასავლეთის სახელმწიფოთა დიდმა ნაწილმა აღიარა ეს. 2008 წლის 6 მარტს რუსეთმა ცალმხრივად დატოვა დსთ-ს 1996 წლის შეთანხმება ,,აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის დარეგულირების შესახებ“, [82] რითაც საბოლოოდ გაიხსნა ხელები აფხაზეთის ტერიტორიაზე თავისუფლად მოქმედებისთვის. აპრილის თვის დასაწყისში ბუქარესტის სამიტზე ნატო-მ თავი შეიკავა საქართველოსა და უკრაინისთვის ნატო-ს წევრობის სამოქმედო გეგმის (MAP-ის) მიცემაზე. აღნიშნულ სამიტზევე გადაწყდა, რომ საქართველო გახდებოდა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი ქვეყანა. ნატო-ს გაფართოება კი, მითუმეტეს პოსტსაბჭოთა ქვეყნების ხარჯზე, რუსეთისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო.

16 აპრილს პუტინმა ხელი მოაწერა დეკრეტს საქართველოში ორი სეპარატისტული რეჟიმის (აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის) სამართლებრივი კავშირებისა და ურთიერთობების შესახებ.[83] აღნიშნული გადაწყვეტილება დაგმო საერთაშორისო საზოგადოებამ.

საომარი რიტორიკა ძლიერდებოდა; ისმოდა ურთიერთბრალდებები; მოსკოვი აგრძელებდა პოზიციების გამაგრებას აფხაზეთის ტერიტორიაზე. მან

---

[81] Speech and the Following Discussion at the Munich Conference on Security Policy, 10.02.2007, http://en.kremlin.ru/events/president/transcripts/24034, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.04.2020.

[82]ОВСЕ, Форум по сотрудничеству в области безопасности, FSC.JOUR/563, 24.09.2008, Ст:4, https://www.osce.org/files/f/documents/8/0/33628.pdf, უკნასკნელად იქნა გადამოწმებული 15.05.2020.

[83]Путин распорядился оказать предметную поддержку Абхазии и Южной Осетии; https://www.kavkaz-uzel.eu/articles/135100/,16.04.2008, უკნასკნელად იქნა გადამოწმებული 15.05.2020.

აღნიშნულ რეგიონში 2500-მდე გაზარდა სამშვიდობო ძალების დანაყოფთა რაოდენობა ,,ჰუმანიტარული მისიით“. ამასთან, აფხაზი ლიდერები აცხადებდნენ, რომ ტერიტორიის თავდაცვის ძალებმა გასული თვეების განმავლობაში ხუთი ქართველი უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავი ჩამოაგდო. [84] საერთაშორისო საზოგადოება მოუწოდებდა ორივე მხარეს, დაეწყოთ ღია დიალოგი დაძაბულობის დეესკალაციის მიზნით.

2008 წელს გერმანიამ შეიმუშავა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების სამეტაპიანი გეგმა. პირველი ეტაპი მოიცავდა ნდობის აღდგენას, რომლის შემდეგაც ხელი უნდა მოეწერათ შეთანხმებაზე ძალის გამოუყენებლობის შესახებ და დაეწყოთ იძულებით გადაადგილებული ქართული მოსახლეობის აფხაზეთში დაბრუნების პროცესი. მეორე ეტაპზე უნდა განხორციელებულიყო დონორი სახელმწიფოების მიერ დაფინანსებული აღდგენითი სამუშაოები, ხოლო მესამე ეტაპზე უნდა განესაზღვრათ აფხაზეთის სტატუსი მოლაპარაკებების გზით.[85] აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა აღნიშნული გეგმა უარყო და ქართულ მხარესთან საუბრის დაწყებამდე ორი პირობა წამოაყენა: საქართველოს აფხაზეთის ზემო კოდორის ხეობიდან საკუთარი სამხედრო ძალები უნდა გაეყვანა და ხელი მოეწერა შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ აღარ განაახლებდა სამხედრო ოპერაციებს. [86]

აღნიშნული მოვლენების პარალელურად ვითარება დაიძაბა ე.წ. სამხრეთ ოსეთში, სადაც ქართველებმა და ოსებმა საარტილერიო შეტევები დაიწყეს ერთმანეთის საკონტროლო პუნქტებზე და სოფლებზე. გაიზარდა საქართველოს თავდაცვის ბიუჯეტი, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებდა საომარი მოქმედებებისთვის მზადყოფნისკენ. 2008 წლის მარტში სეპარატისტულმა

---

[84],,ანგარიში“, საქართველოში მომხდარ კონფლიქტებთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია, ტომი II, სექტემბერი, 2009, გვ. 45.

[85],,გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს ეწვია აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით გერმანიის მიერ შემუშავებული წინადადების განსახილველად“, წამალაშვილი ე., 17 ივლისი 2008, რადიო თავისუფლება, https://www.radiotavisupleba.ge/a/1558615.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09.06.2020.

[86] ,,ანგარიში“, საქართველოში მომხდარ კონფლიქტებთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია, ტომი II, სექტემბერი, 2009, გვ. 45.

რეგიონებმა ოფიციალურად მიმართეს რუსეთს, დსთ-სა და გაერო-ს მათი დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნით. მოგვიანებით, ქართულმა მხარემ გააჟღერა ინიციატივა, რომელიც გულისხმობდა აფხაზეთისთვის ულიმიტო ავტონომიას. ურთიერთობა იმდენად დაძაბული იყო, რომ აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლებამ მაშინვე უარყო საქართველოს შემადგენლობაში დარჩენა, ზოგიერთი ექსპერტის აზრით კი, დაგვიანებულიც იყო აღნიშნული წინადადების შეთავაზება.

2008 წლის ივლის-აგვისტოს თვეში რუსეთმა საქართველოს ჩრდილოეთით, საზღვართან ახლოს დაიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები, სახელწოდებით - ,,კავკასია - 2008“, რომელიც, როგორც რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ამტკიცებდა, საქართველოს რეგიონებში - აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიზნად ისახავდა მშვიდობისათვის იძულების სპეციალური ოპერაციებისთვის მზადებას.[87] ამავე წლის ივლისის თვეში კი მიმდინარეობდა ქართულ-ამერიკული სამხედრო წვრთნები, რომელშიც ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და უკრაინელი სამხედრო პირებიც იღებდნენ მონაწილეობას.

აგვისტოს დასაწყისში სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა. 1-2 აგვისტოს ინტენსიურმა და ფართომასშტაბიანმა ცეცხლის გახსნამ ფატალური შედეგები გამოიწვია კონფლიქტს ზონაში, რაც 4 აგვისტომდე გრძელდებოდა. ,,სამხრეთ ოსეთის“ ხელისუფლებამ დაიწყო მოსახლეობის ევაკუაცია რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. 6 აგვისტოს შუადღიდან იბომბებოდა ქართული სოფლები. მსხვერპლი მატულობდა ორივე მხარეს. 7 აგვისტოს მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა შეიარაღებული დაპირისპირებები. სეპარატისტებს მოსკოვი უწევდა სერიოზულ სამხედრო მხარდაჭერას, თუმცა, ამ უკანასკნელის მტკიცებით, მისი შეიარაღებული ძალები მხოლოდ 8 აგვისტოს შევიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე.

ორმხრივმა შეტაკებებმა პიკს მიარწია 7-8 აგვისტოს ღამით. განსაკუთრებით გააქტიურდნენ რუსული შეიარაღებული ძალები, რომელთაც ძლიერი საჰაერო და

[87],,საქართველოში რუსეთის აგრესიის ქრონოლოგია“, საქართველოს მთავრობის დოკუმენტი, თბილისი, 21.09.2008, გვ. 3.

სამხედრო იერიში მიიტანეს ქართულ მხარეზე. მალევე დასავლეთის ფლანგზე გაიხსნა სამხედრო მოქმედებების მორიგი არენა, სადაც აფხაზეთის შეიარაღებულმა ძალებმა რუსეთის შეიარაღებული ძალების დახმარებით ზემო კოდორის ხეობა დაიკავეს. მათ ისარგებლეს აღნიშნულ ტერიტორიაზე ქართველების სუსტი პოზიციებით. დაპირისპირება გრძელდებოდა ხუთი დღის განმავლობაში 12 აგვისტოს კი მიღწეულ იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე (ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი გეგმა), რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის ევროკავშირის სახელით მოქმედ საფრანგეთის პრეზიდენტს, ნიკოლა სარკოზს. ქართული ჯარი განდევნილ იქნა ცხინვალის რეგიონიდან და აფხაზეთიდან. ეს არ იყო ომი, რომელიც მხოლოდ შეიარაღებულ დაპირისპირებებს მოიცავდა, იგი მიმდინარეობდა კიბერ-სივრცეშიც, რაც ქართულ სახელისუფლებო ვებ-გვერდებზე კიბერშეტევით გამოიხატა.

საერთაშორისო საზოგადოებამ დაგმო რუსეთის ფედერაციის აგრესია საქართველოს მიმართ და სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ქართველებს, თუმცა ფაქტი ჯიუტია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომამდე ისინი მსუბუქად უყურებდნენ და აღიქვამდნენ რუსეთის ქმედებებს საქართველოს ტერიტორიაზე, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მათთვის მოულოდნელი იყო ეს სამხედრო დაპირისპირება. რა თქმა უნდა, ომის დროს თბილისისკენ მომავალი მძლავრი სამხედრო აგრესიის შეჩერებაში დიდი წვლილი მიუძღვის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოს პარტნიორ ქვეყნებს, თუმცა მაინც ფაქტად რჩება ის გარემოება, რომ ისინი ომამდე ინდიფერენტულები იყვნენ რუსეთის მიერ საქართველოში მოსალოდნელი აგრესიის მიმართ. საერთაშორისო ორგანიზაციების საკითხს ომთან მიმართებაში მოგვიანებით განვიხილავთ.

აგვისტოს ომი წლების განმავლობაში მზარდი პროვოკაციების, დაძაბულობებისა და ინციდენტების კულმინაციაა, რომელსაც გააჩნია ღრმა ისტორიული ფესვები. ეს ომი იყო სეპარატისტული ნაციონალიზმის ანუ მინი-ნაციონალიზმისა და ტიტულარული ნაციონალიზმის შეჯახებაც, ვინაიდან აფხაზი და ოსი სეპარატისტები არ აღიქვამენ ქართულ კულტურასა და ისტორიას თავისად, რაც იწვევს გაუცხოებას და ბადებს სეპარატისტულ განწყობას. მათ

საქართველოს შემადგენლობაში ფართო ავტონომიით ყოფნას რუსული ,,ქოლგის“ ქვეშ ყოფნა ურჩევნიათ.

ცნობილი ქართველი ექსპერტის, პაატა ზაქარეიშვილის მოსაზრებით, თითქოს 2008 წელს საქართველო გამორიცხავდა ომს, ამიტომაც იოლად უდგებოდა ომის თემას, ცეცხლს ეთამაშებოდა. დარწმუნებული იყო, რომ რუსეთს არ სჭირდებოდა ომი. ამასთან, ქართულმა მხარემ ვერ გაითვალისწინა, რომ როცა რუსეთის მსგავსი დიდი სახელმწიფო ომზე მიდის, მას ბევრი მიზნის მიღწევა უნდა. რუსეთი არ ითვლის ტექნიკისა და სიცოცხლის რაოდენობას მაშინ, როდესაც მისი მიზანი გამარჯვებაა. 2008 წლის ინტერვენციის დროს დასჯა კი არ იყო უპირატესი, არამედ ის, რომ საქართველო ყოფილიყო მიუღებელი ნატო-სთვის. ექსპერტი თვლის, რომ ევროკავშირი ჩვენგან ძალიან შორსაა - გეოგრაფიულადაც, მენტალობითაც და ღირებულებებითაც. ვინაიდან, ჯერ ჩვენ არ ვართ ევროკავშირის სიმწიფის სახელმწიფო, რასაც ვერ ვიტყვით ნატო-სთან მიმართებაში (იხ.დანართი 1.).

ზურაბ დავითაშვილის მოსაზრებით, 2008 წელს რუსეთმა ჩათვალა, რომ შეცდომა მოუვიდა, როცა სააკაშვილს მისცა საშუალება, აჭარა „დაებრუნებინა“ საქართველოსთვის. მოსკოვს ეგონა, რომ სააკაშვილი ამით დაკმაყოფილდებოდა, მაგრამ შეცდა, ცხადად ჩანდა, რომ სააკაშვილმა მთავარ მიზნად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება დაისახა, რისთვისაც გააძლიერა შეიარაღება და შეუდგა მზადებას ნატო-ში გასაწევრიანებლად. 2008 წლის ბუქარესტის სამიტის დროს, როცა საქართველოს მაპ-ის მიღებაზე უარი ეთქვა, რუსეთმა გადაწყვიტა, რომ გადაედგა მთავარი ნაბიჯი, რადგან ასეთი ძლიერი რუსეთი და ასეთი სუსტი დასავლეთი არასოდეს ყოფილა. მან საქართველოს მთავრობის მისწრაფება დასავლეთისკენ, დაბლოკა, ქვეყანას გაუჩინა მუდმივი ტერიტორიული პრობლემები და სამაგიერო გადაუხადა დასავლეთს კოსოვოს აღიარების გამო (იხ.დანართი 2.).

2008 წლის აგვისტოს ომის შემადგენელი ატრიბუტები და ტიპოლოგია

ნებისმიერ კონფლიქტს იწვევს ინტერესებში განსვლა. როდესაც რაიმე მოვლენა მხარეთა მოთხოვნილებას ასახავს, იგი მაშინვე იქცევა კონფლიქტის მიზეზად. რა თქმა უნდა, მოთხოვნილების გაცნობიერება წარმოშობს ინტერესს, მაგრამ ყველა ინტერესი როდია კონფლიქტის მიზეზი. არსებობს ასევე კონფლიქტის წარმოშობის ობიექტური ფაქტორები, რომელთა შორისაა: რესურსები, ძალაუფლება, თანამდებობა, სტატუსი და ა.შ.

ასევე მნიშვნელოვანია განვიხილოთ კონფლიქტის შემადგენელი ატრიბუტები, ესენია: კონფლიქტის ობიექტი, მასში მონაწილე მხარეები და გარემო.

კონფლიქტის ობიექტი შესაძლებელია იყოს ის ფასეულობა, რომელიც იწვევს ინტერესების შეჯახებას. იგი ან მატერიალურია ან სულიერი და ყოველთვის კავშირშია მხარეთა ინტერესებთან, სწორედ ამიტომაა კონფლიქტის ობიექტი ყოველთვის შეზღუდული.

კონფლიქტის მხარეები არიან ის მონაწილეები, რომლებიც თავიანთი ინტერესებისა და მიზნების განსახორციელებლად მოქმედებენ.

მნიშვნელოვანია ის გარემო, რომელშიც მიმდინარეობს კონკრეტული კონფლიქტი. იგი შეიძლება იყოს ლოკალური სივრცე ან ვრცელი ტერიტორია. გარემო შედგება სოციალური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური სივრცეებისგან.[88]

ამგვარად, კონფლიქტი შეგვიძლია, განვმარტოთ, როგორც დაპირისპირებულ მხარეთა შორის ინტერესების განსვლით გამოწვეული უთანხმოება და შეჯახება, რომელიც მიმდინარეობს დროით და სივრცით განზომილებებში, სხვადასხვა ქცევითი სტრატეგიისა და ტაქტიკის გამოყენებით, რომლის დროსაც მხარეები ცდილობენ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. იგი, ძირითადად,

---

[88] ფიშერი ს., ლუდინი ჯ., და სხვ., ,,კონფლიქტზე მუშაობა: უნარ-ჩვევები და სტრატეგიები'', მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 2000, გვ. 11-12.

ხუთი ტიპისაა: ინფორმაციული, ინსტიტუციონალური, ღირებულებითი, ურთიერთობითი და ინტერესთა კონფლიქტი.

საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომი იყო ხუთივე ტიპის კონფლიქტის კომბინაცია: 1. იყო ინფორმაციული, რადგან ომამდე და ომის დროს ადგილი ჰქონდა დამახინჯებული ინფორმაციის გავრცელებას ერთმანეთის შესახებ, რომელიც ემსახურებოდა საბოლოოდ კონფლიქტის ესკალაციას. 2. იყო ინსტიტუციონალური, ვინაიდან, დაკავშირებული იყო სტრუქტურულ მახასიათებლებთან, ადმინისტრაციული ორგანოების შეუთავსებლობასთან, ცენტრალურ ხელისუფლებასთან, რისი ნათელი გამოვლინებაც არის ის, რომ სეპარატისტული რეგიონები არ აღიარებდნენ და დღემდე არ აღიარებენ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას. 3. ღირებულებითი კონფლიქტია - კონკრეტული მოვლენების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებების გამო, თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი, სამართლიანი და უსამართლო, მორალური და ამორალური. ეთნიკურ ქართველებს, აფხაზებს და ოსებს სრულიად განსხვავებული პოლიტიკური ღირებულებები გააჩნიათ, მათ სრულიად განსხვავებული პოლიტიკური მრწამსი აქვთ. აფხაზები და ოსები წერენ ისტორიებს, სადაც ქართველები ბოროტმოქმედებად გამოყავთ, ხოლო მათ ქცევას ახასიათებენ როგორც ამორალურს. 4. კონფლიქტი ურთიერთდამოკიდებულებითია, რადგან იგი ატარებს ემოციურ ხასიათს და დაკავშირებულია საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფებთან. 5. ინტერესთა კონფლიქტია, რადგან დაკავშირებულია მოთხოვნილებებთან და ქცევებთან. საქართველოს ეროვნული ინტერესები რადიკალურად განსხვავდება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ინტერესებისგან, რაც მათი შეუთავსებლობის ძირითადი მიზეზია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი, თავისი არსით მრავალგანზომილებიანი კონფლიქტია. რაც შეეხება აღნიშნული კონფლიქტის ატრიბუტებს: ობიექტს, მონაწილე მხარეებს და გარემოს, დღემდე ინტერპრეტაციის საგნად რჩება მხარეთა მიერ.

აღნიშნული კონფლიქტის ობიექტი იყო ის ტერიტორიები, რომელიც ისტორიულად ეკუთვნის საქართველოს სახელმწიფოს. რაც შეეხება მონაწილე მხარეებს, ესენი იყვნენ: საქართველო, აფხაზეთისა და ,,სამხრეთ ოსეთის" სეპარატისტული რეგიონები და რუსეთის ფედერაცია. ხოლო რაც შეეხება გარემოს, კონფლიქტი მიმდინარეობდა საქართველოს ტერიტორიაზე.

2. 2. ძალის უპირატესობა და კონფლიქტის შედეგები

მსოფლიო ისტორია ცხადყოფს, რომ ძალა დღემდე მნიშვნელოვანი ფენომენია სახელმწიფოებისთვის. ჯერ მხოლოდ იმიტომ, რომ ანარქიულ გარემოში, სადაც არ არსებობს ცენტრალური მთავრობა, ძალა პოლიტიკური ურთიერთობების განუყოფელი ნაწილია და მეორეც, ძალა არა მხოლოდ სამხედრო, არამედ სხვა სახის მიზნების მიღწევაშიც შეიძლება, დაეხმაროს სახელმწიფოს მისი უნივერსალური ხასიათის გამო.

როგორც რობერტ არტი აღნიშნავს, არსებობს ძალის რამდენიმე უნივერსალური რესურსი, რომელთა შორისაა ეკონომიკური სიმდიდრე, რაც სამხედრო ძალის აუცილებელი კომპონენტია, ვინაიდან მდიდარ სახელმწიფოს ღარიბზე მეტი სამხედრო ძალის გენერირება შეუძლია (შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიმდიდრე ძალას წარმოშობს). ასევე მნიშვნელოვანი უნივერსალური რესურსია პოლიტიკური უნარ-ჩვევები, ვინაიდან კარგად გამოწვრთნილ პოლიტიკოსს შეუძლია, მიიღოს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ადეკვატური პოლიტიკური გადაწყვეტილებები, ფლობდეს დარწმუნების ხელოვნებას და სარგებლობდეს მაღალი დონის ავტორიტეტით პოლიტიკურ წრეებში. ასევე, მნიშვნელოვანი უნივერსალური რესურსია სამხედრო ძალა. ფაქტია, რომ დიდი სამხედრო ძალის მქონე სახელმწიფოებს მსოფლიო პოლიტიკაში მეტი გავლენა აქვთ. სამხედრო ძალების დაპირისპირებები არ წარმოშობს მხოლოდ სამხედრო შედეგებს, იგი ხშირ შემთხვევაში იძლევა პოლიტიკურ შედეგებსაც, რომელიც

მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვა სფეროებში მიმდინარე მოვლენებზე.[89] შედეგები დამოკიდებულია სამხედრო დაპირისპირებების მასშტაბურობაზე.

საერთაშორისო საზოგადოება თანხმდება, რომ სადავო საკითხების მოლაპარაკებების გზით გადაწყვეტას ალტერნატივა არა აქვს. აქედან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფოთა მიერ ძალის გამოყენება თითქმის ყოველთვის ნიშნავს პოლიტიკის ნაწილობრივ წარუმატებლობას.

სახელმწიფოები ძალადობას, თავისი დიდი ფასის მიუხედავად, თავიანთი მიზნების მისაღწევად მაინც ხშირად მიმართავენ. საინტერესოა რობერტ არტის მიერ გამოყოფილი ძალის ოთხი ფუნქცია, ესენია: თავდაცვა, დაშინება, იძულება და ტრაბახი.[90] რომელიმე კონკრეტული სამხედრო სტრატეგია ოთხივე ფუნქციის კარგად შესასრულებლად როდი გამოდგება? მხოლოდ დიდ სახელმწიფოებს აქვთ საკმარისი რესურსები ისეთი სამხედრო ძალების შესაქმნელად, რომლებიც ერთდროულად ორზე მეტი ფუნქციის შესრულებას შეძლებს. ამ შემთხვევაშიც კი, აღნიშნული ფუნქციების შესრულება მხოლოდ მცირე სახელმწიფოების მიმართ თუ ხერხდება.

ძალის თავდაცვის მიზნით გამოყენება გულისხმობს სამხედრო საშუალებებით სარგებლობას ორი მიზნის მისაღწევად - თავდასხმის აღსაკვეთად და თავდასხმის შემთხვევაში მიღებული ზიანის მინიმუმამდე შესამცირებლად. სახელმწიფო, რომელიც ზრუნავს თავდაცვაზე, საკუთარ ძალებს რეალური ან პოტენციური აგრესორის წინააღმდეგ მიმართავს, მაგრამ არ იყენებს მათ აგრესორის უიარაღო მოსახლეობის წინააღმდეგ. ამასთან, როდესაც სახელმწიფო ფიქრობს, რომ მოწინააღმდეგის თავდასხმა მოსალოდნელია და თავად გადადის შეტევაზე, ის წინმსწრებ დარტყმას ახორციელებს, ხოლო თუ იგი ფიქრობს, რომ მოწინააღმდეგის თავდასხმა გარდაუვალია, მაგრამ მხოლოდ მომავალში და მაინც იწყებს შეტევას, ის პრევენციულ დარტყმას მიმართავს. შესაბამისად,

---

[89] არტი რ., ჯერვისი რ., ,,საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2011, გვ. 211.
[90] იქვე, გვ. 169.

სახელმწიფოები ხელმძღვანელობენ პრინციპით - „თავდასხმა საუკეთესო თავდაცვაა“.

სახელმწიფოთა მიერ ძალის გამოყენება დაშინების მიზნით გულისხმობს სამხედრო ძალების საშუალებით იმის უზრუნველყოფას, რომ მოწინააღმდეგემ არ მიმართოს რაიმე არასასურველ ქმედებას. დაშინების არსი მოწინააღმდეგის დასასჯელად ძალის გამოყენების მუქარაა, ხოლო თუ მუქარის აღსრულება გახდა საჭირო, ეს ნიშნავს, რომ დაშინება წარუმატებელი გამოდგა.

ძალის გამოყენება იძულების მიზნით გულისხმობს სამხედრო ძალების გამოყენებას, რათა მოწინააღმდეგემ შეწყვიტოს დაწყებული ქმედება ან მოიმოქმედოს ისეთი რამ, რაც არ გაუკეთებია. რაც შეეხება ტრაბახს, იგი ძალის ყველაზე ეგოისტური გამოყენებაა, რადგან მისი მიზანი ხალხის ეროვნული სიამაყის განმტკიცებაა. სახელმწიფოები ტრაბახს მიმართავენ იმისთვის, რომ თავი უფრო ძლიერად და გავლენიანად წარმოაჩინონ. ტრაბახის გზით სახელმწიფოებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს სურთ პატივისცემისა და პრესტიჟის მოპოვება.[91]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ძალა არ გულისხმობს მხოლოდ მაღალი დონის სამხედრო შესაძლებლობებს, იგი უნივერსალური ხასიათისაა და მოიცავს სხვადასხვა ასპექტს, რომელთა ერთიანობითაც განისაზღვრება სახელმწიფოს სიძლიერე. თუკი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძლიერად ითვლებოდნენ სახელმწიფოები, რომლებიც ფლობდნენ ბირთვულ იარაღს, თანამედროვე მსოფლიოში მხოლოდ ამ უკანასკნელით არ განისაზღვრება ქვეყნის სიძლიერე. ვინაიდან, წინ წამოიწია პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საკითხები. რომელთა გათვალისწინებითაც პატარა სახელმწიფოც კი შეიძლება იქცეს ძლიერ სახელმწიფოდ.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო საზოგადოება წინააღმდეგია ძალის გამოყენებისა, სახელმწიფოები სხვადასხვა მოტივით მაინც ესხმიან ერთმანეთს

---

[91] არტი რ., ჯერვისი რ., ,,საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2011, გვ. 174.

თავს. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი და ძლიერი სახელმწიფოების თავდასხმა მცირე სახელმწიფოებზე, რომლის კონკრეტული მაგალითია რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი. აღნიშნულ ომში ორივე მხარის მიერ იქნა ძალა გამოყენებული თავდაცვის მოტივით. ამასთან, ერთ-ერთი და მთავარი მიზეზი, რის გამოც აღნიშნულ ომში საქართველო დამარცხდა, არის ის, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები აღემატება საქართველოსას. ეს იყო დიდი და პატარა სახელმწიფოს დაპირისპირება, სადაც პატარა სახელმწიფოს მარცხი გარდაუვალი იყო. ამიტომაც, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, საქართველოს მაქსიმუმი უნდა გაეკეთებინა, რომ არ ჰქონოდა ადგილი კონფლიქტის ესკალაციას. მეორეს მხრივ, 2008 წლამდე არსებული სიტუაცია (იგულისხმება სამხედრო მზადყოფნა და ომისთვის მზადება) ცხადყოფს, რომ ომი გარდაუვალი იყო.

დღემდე არ წყდება კამათი, თუ ვინ გახსნა ცეცხლი. თუმცა ფაქტია, რომ ადგილი ჰქონდა კონფლიქტის ესკალაციას და ორივე მხარეს აქვს თავისი არგუმენტი. ორივე მხარე ამტკიცებს, რომ ძალა თავდაცვის მიზნით გამოიყენეს, რუსეთის ფედერაცია - საკუთარი მოქალაქეების დაცვის მოტივით, ხოლო ქართული მხარე ამტკიცებს, რომ ძალა გამოიყენა თავდაცვის მიზნით, რათა აღეკვეთა უცხო ქვეყნის ინტერვენცია საკუთარ ტერიტორიაზე.

2008 წლის აგვისტომდე არსებული სიტუაცია ცხადყოფს, რომ რუსეთის ფედერაცია საკუთარ ძალებს საქართველოში იყენებდა დაშინების მიზნით, რაც მის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების მშენებლობით, სამხედრო ქვედანაყოფების შემოყვანითა და განლაგებით, ასევე სეპარატისტულ რეგიონებში სამხედრო წვრთნებით ხორციელდებოდა. აღნიშნული ქმედება იყო ასევე ტრაბახიც, რაც სამხედრო შესაძლებლობების დემონსტრირებაში გამოიხატა.

ვინაიდან ურთიერთბრალდებებს საზღვარი არ ჰქონდა, 2008 წლის აგვისტოს ომის შესასწავლად ევროკავშირის ეგიდით ჩამოყალიბდა საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია, რომელმაც სხვადასხვა ექსპერტის საშუალებით დეტალურად შეისწავლა აღნიშნული კონფლიქტი და შემდგომ გამოსცა ანგარიშის სახით. ეს ანგარიში არ არის კონფლიქტის რომელიმე მხარის

მართლება ან კიცხვა, იგი ბოლომდე ობიექტურ ფაქტებზე დაყრდნობილი კვლევაა.

აღნიშნულ ომზე საუბრისას აუცილებელია მოკლედ შევეხოთ საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის ყველაზე გავლენიან კონცეფციას - რეალიზმს, რომლის თანახმადაც, სისტემა არსებითად კონფლიქტურია, ვინაიდან სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში და მათ ინტერესებში ჰარმონიის მიღწევა შეუძლებელია. ამგვარ პირობებში კი წინა პლანზე გამოდის ძალის, ძლიერების საკითხი, რომელიც რამდენიმე კომპონენტისგან შედგება: გეოგრაფიული მახასიათებლები, ბუნებრივი რესურსები, სამრეწველო პოტენციალი, მოსახლეობა, მთავრობა, ეკონომიკა და სამხედრო პოტენციალი.[92]

ვინაიდან ზემოაღნიშნული კომპონენტების გათვალისწინებით საქართველო შეგვიძლია, გავიყვანოთ სუსტ სახელმწიფოთა კატეგორიაში, მასზე თავდასხმა და უპირატესობის მოპოვება მარტივია ნებისმიერი, უფრო ძლიერი, სახელმწიფოსთვის, რისი ლოგიკური გამოვლინებაც იყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი.

ომის შედეგები იყო დამანგრეველი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრებისთვის. ომის დროს დაიღუპა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 170 მოსამსახურე, შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 თანამშრომელი და 224 სამოქალაქო პირი, ხოლო დაჭრილ-დაშავებულთა რაოდენობა 2200-ზე მეტი იყო,[93] ასევე დიდი იყო დევნილთა რაოდენობაც. მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა ქვეყნის ეკონომიკას, როგორც ტურიზმის, ისე ბიზნესის სფეროში. განახევრდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა, საქართველოს არასტაბილური ქვეყნის იმიჯის შექმნის გამო. ყველაზე მნიშვნელოვანი დანაკარგი კი ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი იყო. დღესდღეობით საქართველოს

[92]რონდელი ა., ,,საერთაშორისო ურთიერთობები", მესამე განახლებული გამოცემა, ,,ნეკერი", თბილისი, 2006, გვ. 79-84.

[93],,ინფორმაცია 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ", ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 07.08.2015, https://idfi.ge/ge/information-about-war-between-russia-georgia-in-august-2008, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.05.2020.

ტერიტორიის 20%-ზე მეტი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, ხოლო ანექსია გრძელდება „მცოცავი ოკუპაციის“ სახით.

საქართველოს, როგორც მცირე სახელმწიფოს მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო ის, რომ საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთი წარმოაჩინა, როგორც აგრესორი სახელმწიფო, რუსეთის ჯარს კი, ოკუპანტის სტატუსი აღუდგინა. საქართველო დღემდე იყენებს მსოფლიო ტრიბუნებს იმის დასაფიქსირებლად, რომ რუსეთმა 2008 წლის აგვისტოს თვეში უხეშად დაარღვია საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები სამხედრო ინტერვენციის გამოყენებით. ამასთან, სისტემაში გაბატონებული ტენდენციით, ძირითად შემთხვევაში დიდი და პატარა სახელმწიფოების დაპირისპირების დროს, თითქმის ყოველთვის დიდი სახელმწიფო გამოდის დამნაშავე. ეს მიდგომა მომდინარეობს მსოფლიოში უმცირესობათა ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის ტენდენციიდან. აღსანიშნავია, რომ შეიარაღებული დაპირისპირება შესაძლებელია, გამოწვეული იყოს როგორც დიდი, ისე მცირე სახელმწიფოს პროვოკაციული ქმედებებით, ამიტომ შესწავლილ უნდა იქნას თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურად; გაკეთდეს სწორი ანალიზი, შეფასება და სათანადო დასკვნები.

რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებული თავდასხმის მიუხედავად, ქვეყანას მაინც არ შეუცვლია თავისი საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია, იგი კვლავ პროდასავლურია. საქართველოს გაცხადებული საგარეო პოლიტიკური მიზანია ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანება. ამასთან, არსებობს უამრავი შემაფერხებელი ფაქტორი, რაც ქვეყანას ხელს უშლის, იყოს აღნიშნული ორგანიზაციების წევრი. მათ შორისაა: რუსეთის ფაქტორი (სხვადასხვა განზომილებით), ქართული სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტე, საზოგადოების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ქვეყნის პროდასავლური ორიენტაციის მიმართ, თვით აღნიშნული ორგანიზაციების წევრი სახელმწიფოების განსხვავებული მოსაზრებები მათ რიგებში საქართველოს მიღებასთან დაკავშირებით (ვინაიდან ზოგიერთ მათგანს საქართველო ესახება როგორც ზედმეტი თავსატეხი), სეპარატისტული რეგიონები და ომის განახლების მუდმივი საფრთხე (არსებული პროვოკაციების საფუძველზე).

აღსანიშნავია, რომ ომის შემდეგ გააქტიურდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა კუთხით უცხადებდნენ საქართველოს მხარდაჭერას. ომის შემდეგ შეიქმნა ნატო-საქართველოს კომისია, ხოლო დეკემბრის თვეში ნატო-ს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მხარი დაუჭირეს წლიური ეროვნული პროგრამის შემუშავებას ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო, რადგან ამ უკანასკნელს, მხოლოდ გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში (MAP-ში) ჩართული ქვეყნები ახორციელებენ. 2014 წელს უელსის სამიტზე საქართველომ მიიღო ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი, რისი მიზანიც ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება და ნატო-სთან თავსებადობის ამაღლებაა.[94]

ასევე, აგვისტოს ომის შემდეგ, 2008 წლის ოქტომბრიდან, საქართველოსა და რუსეთს შორის შეიქმნა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი, რომელშიც აღნიშნული მხარეების გარდა მონაწილეობენ აშშ-ის, ეუთო-ს, ევროკავშირის, გაერო-ს და ოკუპირებული ტერიტორიების წარმომადგენლები. მოლაპარაკებები მიმდინარეობს ორ პარალელურ სამუშაო ჯგუფში. პირველში, განიხილავენ უსაფრთხოების საკითხებს, რაც გულისხმობს რუსეთსა და საქართველოს შორის ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების მიღწევას და საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნას. მეორე, განიხილავს იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, საოკუპაციო ხაზზე თავისუფალი გადაადგილების საკითხებს და ა.შ. ამავე წლის ოქტომბრის თვეში კი, ბრიუსელში მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის ორგანიზებით გაიმართა დონორთა კონფერენცია, რომელზეც 2008-2010 წლებისთვის 4.5

[94] ,,საქართველო და ნატო“, მნიშვნელოვანი თარიღები, საქართველო და ნატო, საინფორმაციო ცენტრი, http://old.infocenter.gov.ge/nato-important-dates/#1, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.05.2020.

მილიარდი დოლარის ოდენობის დახმარება გამოეყო საქართველოს ომის შედეგებთან გასამკლავებლად.[95]

უსაფრთხოების თვალსაზრისით, ომის შემდგომ საქართველო ახალი გამოწვევის წინაშე დადგა. რუსეთის მიზანი საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობა და სამუდამოდ მის გეოპოლიტიკურ არეალში დატოვება იყო. ვინაიდან დასახული მიზნის განხორციელება ბოლომდე ვერ შეძლო, ნებისმიერ დროს არსებობს შანსი მისი მხრიდან აგრესიის გამეორებისა. არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, საქართველოს მოუწია უსაფრთხოების სისტემის რეფორმა და მისი ახალ საფრთხეებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია 2011 წელს მიღებული საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც ასახავს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვას, ეროვნულ ინტერესებს, ქვეყნის წინაშე არსებულ მთავარ გამოწვევებს და აყალიბებს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. [96] სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მეორედ დამტკიცდა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რაც 2008 წლის აგვისტოში მომხდარმა მოვლენებმა განაპირობა.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს ადგილი ჰქონდა ქართველების ეთნიკურ წმენდას ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალებისა და არალეგალური ფორმირებების მიერ, რაც დადასტურებულია არაერთ ანგარიშში, საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე. 27 აგვისტოს ცხინვალის რეგიონში მყოფმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ბ. კუშნერმა, ევრონიუსთან ინტერვიუში განაცხადა: ,,აქ არის სამხრეთ ოსეთის რუკა და ეს არის ქალაქი, რომელსაც ახალგორი ჰქვია. მე მეუბნებიან, რომ ამ ღამით რუსეთის სამხედრო ძალები მის ტერიტორიაზე გადაადგილდებიან და ქართველებს იქიდან საზღვრის მიღმა ერეკებიან. ეს არის ეთნიკური წმენდა ჰომოგენური სამხრეთ ოსეთის

[95]საქართველო და ევროკავშირი, საინფორმაციო ცენტრი, მნიშვნელოვანი თარიღები, http://infocenter.gov.ge/nato-important-dates/#1, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.04.2020.

[96],,საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია'', გვ. 3.

შესაქმნელად. ეს მიუღებელია, ყველაფრის პატიება შეუძლებელია“. [97] ეთნიკურ წმენდასა და რუსეთის სამხედრო აგრესიაზე ყურადღებას ამახვილებს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა N1633 და N1647 რეზოლუციებით.

2008 წლის 26 აგვისტოს კრემლმა სცნო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ,,დამოუკიდებლობა“, რითაც უგულებელყო საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. მოგვიანებით კი, კოკოითთან და ბაღაფშთან გააფორმა ხელშეკრულებები, როგორც ,,დამოუკიდებელ სახელმწიფოთა პრეზიდენტებთან“.[98] რუსული მხარის განცხადებით, აღნიშნული ნაბიჯი ,,აფხაზი და ოსი ხალხის“ ნების გამოვლენა იყო. საერთაშორისო საზოგადოებამ მკაცრად გააკრიტიკა მოსკოვი აღნიშნულის გამო, თუმცა ეს უკანასკნელი მაინც ავლებდა პარალელს კოსოვოსთან და დასავლეთს ორმაგ სტანდარტებში ადანაშაულებდა. რაც შეეხება კოსოვოს შემთხვევას, იგი განსხვავდება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთისგან იმ თვალსაზრისით, რომ იქ განხორციელდა ალბანელების ეთნიკური წმენდა მილოშევიჩის რეჟიმის დროს (სერბების მიერ), ხოლო აფხაზეთსა და ,,სამხრეთ ოსეთში“ ქართველების ეთნიკურ წმენდას ჰქონდა ადგილი (გარეძალების დახმარებით).

2008 წლის ომმა საქართველო დააშორა დასავლეთს. რუსეთმა იზრუნა იმაზე, რომ საქართველოს არასტაბილური ქვეყნის იმიჯი შექმნოდა და ნაკლებად მიმზიდველი ყოფილიყო ნატო-სა და ევროკავშირისთვის. პრინციპში აგრესორმა თავისი სამხედრო ინტერვენციით საქართველოს ნატო-სკენ მიმავალი გზა დაუბლოკა, რადგანაც 2008 წლის აპრილის ბუქარესტის სამიტზე აშკარად დაინახა საფრთხე თავის საზღვრებთან ახლოს ნატო-ს შეიარაღებული ძალების განლაგებისა. როგორც ცნობილი ამერიკელი ანალიტიკოსი და დიპლომატი წერს: ,,მოსკოვმა არაერთხელ გააფრთხილა საქართველო, რომ დასავლეთისკენ მის სწრაფვას სავალალო შედეგები მოყვებოდა და აფხაზეთსა თუ ,,სამხრეთ ოსეთში“

[97] ,,Kouchner claims ethnic cleansing in Georgia“, 27/08/2008, https://www.euronews.com/2008/08/27/kouchner-claims-ethnic-cleansing-in-georgia, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.04.2020.

[98] მალაშხია შ., ,,კონფლიქტების ანატომია“, საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 2011, გვ. 40.

სეპარატიზმის პრობლემების მოგვარებაც სწორედ იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ რამდენად გაითვალისწინებდა საქართველო რუსეთის მოთხოვნებს. საქართველო, თავის მხრივ, ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ამგვარ ზეწოლას, მაგრამ ამდროისთვის მოსკოვი, როგორც ჩანს, სიტყვიდან საქმეზე გადავიდა: დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარებასა და ნატო-ს მხრიდან საქართველოსთვის გაწევრიანების პირობას მან სეპარატისტულ რეგიონებთან კავშირების გაძლიერებით უპასუხა, რაც უკვე ძალიან წააგავდა ე..წ. მცოცავი ანექსიის სტრატეგიას: რუსეთს უკანონოდ შეყავდა იქ ჯარი, შეჰქონდა შეიარაღება და იმ ტიპის ინფრასტრუქტურასაც ქმნიდა, რომ ძალაუნებურად გაფიქრებინებდა, სამხედრო თავდასხმისთვის ემზადებაო! ნუთუ ახლა იმპერია საპასუხო დარტყმას აპირებდა?“[99]

რუსეთს არ სურდა, საქართველო ევროპისთვის ენერგორესურსების ალტერნატიული მიმწოდებელი ყოფილიყო. იგი ვერ შეეგუა იმ გარემოებას, რომ რუსეთის გვერდის ავლით კასპიისპირეთიდან ენერგორესურსების ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტები განვითარდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და შაჰ-დენიზის გაზსადენი. რუსეთის პოლიტიკური ელიტის აზრით, ენერგორესურსების ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტების განვითარება პოსტსაბჭოთა ქვეყნებსა და ევროკავშირზე გავლენის შემცირების მთავარი წინაპირობა იქნებოდა. [100] ომის შემდეგ მნიშვნელოვნად შეფერხდა საქართველოში საერთაშორისო პროექტების განხორციელება, ვინაიდან ენერგორესურსების მიწოდებისთვის, პირველ რიგში, სტაბილური გარემოს შექმნაა საჭირო, რათა ადრესატამდე უსაფრთხოდ მიაღწიოს. რუსეთი არ დაუშვებს, რომ საქართველო ევროპისთვის ენერგორესურსების მიწოდების ალტერნატიული გზა გახდეს და მეტიც, მისი გვერდის ავლით მოხდეს ეს ყველაფერი. სწორედ ამიტომ, იგი მხარს

[99]ასმუსი დ. რ., ,,მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, Copyright © Ronald D. Asmus, თბილისი,2010, გვ. 2.
[100]ჩიტაძე ნ., ,,პოლიტოლოგია“, შ.პ.ს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, გვ. 396.

უჭერს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წინაშე არსებული პოტენციური საფრთხეების გააქტიურებას.[101]

ომის შემდეგ საქართველოს უდიდესი ეკონომიკური ზარალი მიადგა, რასაც მოწმობს სტატისტიკური მონაცემები. მაგალითად: თუკი 2008 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა იყო 1 569,7 მლნ აშშ დოლარი, 2009 წელს ეს მონაცემი ასე გამოიყურებოდა - 664,2 მლნ აშშ დოლარი.[102]

2009 წლიდან მოსკოვი ბრძოლის ერთ-ერთ უახლეს მეთოდს მიმართავს, ეს არის საქართველოს ტერიტორიების ე.წ. ,,ბორდერიზაცია", რაც ემსახურება რუსეთის სტრატეგიას - მოარღვიოს ქვეყნის სუვერენიტეტი და ხელი შეუშალოს დამოუკიდებელი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის წარმოებას. ბორდერიზაცია განსხვავდება ოკუპაციისგან. იგი გულისხმობს რუსული ოკუპაციის პირობებში ოკუპირებული ტერიტორიების გაფართოებას.[103] ომის შემდეგაც გრძელდება მცოცავი ოკუპაცია და საქართველოს ტერიტორიის ანექსია. ყოველდღიურად იტაცებენ სეპარატისტები ქართულ მიწებს. ამას თან ახლავს ,,საზღვრის" გადაკვეთის ბრალდებით საქართველოს მოქალაქეების ყოველდღიური გატაცება და წამება.

საინტერესოა ომის შემდეგ რუსეთის სამხედრო დოქტრინების შინაარსი. 2010 წლის სამხედრო დოქტრინაში ვკითხულობთ, რომ რუსეთისთვის საფრთხის შემცველია ,,მისწრაფება, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის (ნატო-ს) სამხედრო პოტენციალის გლობალური ფუნქციებით აღჭურვისკენ, რომლის რეალიზაციაც ხორციელდება საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით, რაც გამოიხატება ბლოკის გაფართოების მცდელობაში და ნატო-ს წევრი

[101]პატარაია თ., ,,ენერგოტრანზიტის და უსაფრთხოების ასიმეტრია სამხრეთ კავკასიაში: გზა რუსეთსა და ევროკავშირს შორის"; Heinrich Böll Stiftung South Caucasus, თბილისი,გვ.3.
[102]საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული, 02.03.2020.
[103]კაკაჩია კ., კახიშვილი ლ., ლარსენი ჯ., გრიგალაშვილი მ., ,,ბორდერიზაცია საქართველოში: რუსეთის პოლიტიკის შეკავების სტრატეგია", საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2017, გვ.4.

სახელმწიფოების სამხედრო პოტენციალის რუსეთის საზღვრებთან მიახლოებაში“.[104]

დღეს, საქართველოში თითქოს სკეპტიკურად უყურებენ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების დარეგულრებას, ვინაიდან არ არსებობს გაყინული კონფლიქტის მოგვარების რაიმე სერიოზული მცდელობა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, მთლიანად დავკარგეთ კონტროლი კოდორის ხეობასა და ახალგორის რაიონზე. ექსპერტთა ნაწილის აზრით, ასეთ რთულ სიტუაციაში საჭიროა ახალი გზების ძიება, რომელიც რეალპოლიტიკას დაემყარება. [105]

მნიშვნელოვანია ასევე ის ზიანი, რაც რუსეთის ფედერაციას მიადგა ომის შემდეგ. პირველ რიგში - მის ეკონომიკას. სხვადასხვა მონაცემით, ქვეყნიდან რამდენიმე მილიარდ ამერიკულ დოლარზე მეტი გავიდა, საფონდო ბირჟის ინდექსი კრიტიკულ ზღვარს ჩამოსცილდა და რამდენიმე გავლენიანმა ინვესტორმა დატოვა ქვეყანა. გარდა ამისა, შემცირდა რუსეთისადმი ნდობა, დასავლეთის ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები კი აკრიტიკებდნენ რუსეთს საქართველოში სამხედრო ინტერვენციის გამო.

2. 3. მინინაციონალიზმის გამოვლინება ომის შემდგომ პერიოდში

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომმა კიდევ უფრო გაამძაფრა ოსური და აფხაზური მინინაციონალიზმი. რაც მათ ყოველდღიურ ქმედებებში აისახება. თავისთავად ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ორი სეპარატისტული რეჟიმი არსებობს, უკვე სერიოზული პრობლემაა. ისინი ხელს უშლიან ქვეყნის განვითარებასა და წინსვლას საშინაო და საგარეო პოლიტიკური

[104],,Военная доктрина Российской Федерации“, Президент России, 5 февраля 2010 года , http://news.kremlin.ru/ref_notes/461, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.10.2019.
[105] ,,ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები», 1(14), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ISSN 1512-3154, ,,უნივერსალი“, თბილისი.2014, გვ:106.

თვალსაზრისით, ვინაიდან ორივე მათგანს განსაზღვრავს ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური (და ეთნიკური) ფონი.

აგვისტოს ომმა კიდევ უფრო დაგვაშორა აფხაზებთან და ოსებთან. სეპარატისტები უფრო რადიკალურად განეწყვნენ საქართველოს მიმართ და გაწყვიტეს ყველანაირი ტიპის კომუნიკაცია. თითქოს არც ისე დიდი დრო იყო გასული XX საუკუნის 90-იანი წლების კონფლიქტებიდან და ხელახალ დაპირისპირებას, წესით, ადგილი აღარ უნდა ჰქონოდა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს იყო რუსულ-ქართული კონფლიქტი, რომელშიც რუსეთი მოქმედებს თავისი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე და ამისთვის იყენებს სეპარატისტულ რეჟიმებს, როგორც იარაღს საქართველოს წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით ნიკა ჩიტაძე აღნიშნავს: ,,2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეცვალა პოლიტიკური სურათი საქართველოში: დღეს აღარ არსებობს განყენებული ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტები - იგი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემადგენელ ნაწილად იქცა“.[106]

ომის შემდგომ მინინაციონალიზმის გამოვლინება ყველაზე მეტად საშინაო პოლიტიკაში აისახება. ბორდერიზაცია ეწოდება სასაზღვრო ნიშნების, ღობეებისა და მავთულხლართების ცალმხრივად დამონტაჟებას ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ, ჩვენ შემთხვევაში, აფხაზეთისა და ,,სამხრეთ ოსეთის“ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიისგან გამოყოფის მიზნით. აღნიშნულ საქმეში სეპარატისტების ყველაზე დიდი მხარდამჭერი რუსეთია, რომლის პრეზიდენტმაც 2009 წლის 30 აპრილს ს. ბაღაფშთან[107] და ე. კოკოითთან[108] ერთად ხელი მოაწერა შეთანხმებებს ,,სახელმწიფო საზღვრების ერთობლივი დაცვის შესახებ“, რითაც რუსეთმა საბოლოოდ განამტკიცა თავისი როლი უსაფრთხოების სფეროში

[106]ჩიტაძე ნ., ,,პოლიტოლოგია“, შ.პ.ს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, გვ. 401.

[107],,Соглашение между Российской Федерацией и Республикой Абхазия о совместных усилиях в охране государственной границы Республики Абхазия“ , 30 апреля 2009 г. http://www.kremlin.ru/supplement/190, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.06.2020;

[108] ,,Соглашение между Российской Федерацией и Республикой Южная Осетия о совместных усилиях в охране государственной границы Республики Южная Осетия“, 30 апреля 2009 г. http://kremlin.ru/supplement/191, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.06.2020.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მაისის თვიდან დაიწყეს საზღვრების დემარკაციის უკანონო პროცედურა. აღნიშნული პოლიტიკა ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს, სახელმწიფოთა ტერიტორიული ერთიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპებს.

2018 წლის 5 თებერვალს ძალაში შევიდა კანონი ,,სეპარატისტული რესპუბლიკების ცალკეული საჯარისო დანაყოფების რუსეთის შეიარაღებულ ძალებში გაერთიანების შესახებ“ [109], რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ,,სამხრეთ ოსეთის“ შეიარაღებული ძალების სრული ინტეგრაცია რუსეთის ანალოგიურ სტრუქტურებში შეუქცევადი პროცესია. 2016 წლის 4 ივლისიდან მოქმედებს რუსეთის ფედერაციისა და ,,სამხრეთ ოსეთის“ შინაგან საქმეთა სამინისტროების ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრი.[110] ანალოგიური ცენტრი გაიხსნა აფხაზეთშიც და მათი საქმიანობა, როგორც სეპარატისტები განმარტავენ, არის ორგანიზებულ და საშიში ტიპის დანაშაულებთან ბრძოლა.

განსაკუთრებით მძიმეა ე.წ. საზღვართან ახლოს მცხოვრები საქართველოს ადამიანების ყოფა. სეპარატისტები ყოველდღიურად იტაცებენ მათ კუთვნილ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს; ირღვევა მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებები. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მხოლოდ 2009-2015 წელს აფხაზეთის მიმართულების ე.წ. საზღვრის დარღვევისთვის დაკავებულია საქართველოს 1641 მოქალაქე, ხოლო ე.წ. სამხრეთ ოსეთის

---

[109],,Подписан закон о ратификации соглашения между Россией и Южной Осетией о порядке вхождения отдельных подразделений вооружённых сил республики в состав Российской армии“, Президент России, 05.02.2018, http://kremlin.ru/acts/news/56795, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.06.2020.

[110],,В Цхинвале подписано Соглашение о порядке формирования и деятельности Совместного информационно-координационного центра органов внутренних дел в Южной Осетии“, МИНИСТЕРСТВО ВНУТРЕННИХ ДЕЛ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ , 04 Июля 2016, https://xn--b1aew.xn--p1ai/news/item/8081959/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.06.2020.

მიმართულებით - 840.[111] ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ყურადღებას ამახვილებენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლთაც სამშვიდობო მისია აკისრიათ კონფლიქტის ზონაში. მაგ: ევროსაბჭოს გენერალური მდივნის 2020 წლის ტრადიციულ ანგარიშში ,,კონფლიქტი საქართველოში", ხაზს უსვამს ე.წ. საზღვართან და მის მიღმა არსებულ მძიმე მდგომარეობას, სიცოცხლის ხელყოფის მუდმივი შიში, უკანონო დაკავება, გატაცება, თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვა და ეთნიკურ ნიადაგზე დისკრიმინაცია არის ის შემაშფოთებელი რეალობა, რომელშიც ცხოვრობს ადგილობრივი მოსახლეობა. [112]

აგვისტოს ომის შემდეგ აფხაზური და ოსური მინინაციონალიზმი საქართველოსთვის მთავარ გამოწვევად იქცა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ აფხაზური და ოსური ნაციონალური პროექტები პრინციპულად განსხვავდება ქართული ნაციონალური პროექტისგან. ,,სამხრეთ ოსეთი" უალტერნატივო ერთგულებას იჩენს რუსეთის ფედერაციის მიმართ და დღემდე სურს, იყოს მისი ნაწილი, ხოლო აფხაზეთში ამ მხრივ განსხვავდება სიტუაცია. აფხაზ სეპარატისტებს სურთ საერთაშორისო აღიარება აფხაზეთისა, როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოსი.

აფხაზური და ოსური მინინაციონალიზმი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, კიდევ უფრო აგრესიული ფორმებით გამოიხატა. ისინი ძირს უთხრიან საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას; ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სერიოზულ წინააღმდეგობას წარმოადგენენ; მუდმივად აწყობენ სხვადასხვა ტიპის პროვოკაციებს; საქართველოს უქმნიან არასტაბილური და არასანდო ქვეყნის იმიჯს; წარმოადგენენ ოკუპანტი ქვეყნის მთავარ დასაყრდენს, სწორედ ამიტომ აფხაზური და ოსური მინინაციონალიზმი ტიპური

---

[111],,რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ დაკავებული საქართველოს მოქალაქეები 2009-2015", ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 21.01.2016. https://idfi.ge/ge/georgian-citizens-detained-by-russian-occupational-troops-in-2015, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.03.2020.

[112] EU Statement on CoE SecGen's 21st Consolidated Report on Conflict in Georgia, 23/04/2020, https://civil.ge/archives/348182, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.04.2020.

სეპარატისტული, აგრესიული ნაციონალიზმებია, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ტიტულარული ერის ნაციონალიზმთან.

კვლავ დაუძლეველი რჩება ერთ ერად ჩამოყალიბების პრობლემა. როგორც ჯემალ გახოკიძე აღნიშნავს, ამ პრობლემის რადიკალური და სწრაფი გადაჭრა საქართველოსთვის ძალზე სარისკო და ფაქიზია. საჭიროა მეტი სიფრთხილე, თუმცა ეს არ ნიშნავს პრობლემის მიჩქმალვას. იგი, ცვლილებათა თანმიმდევრულობას, სიბრძნეს, მიზანდასახულობასა და ეროვნულობას საჭიროებს. ,,სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთიან ერად ჩამოყალიბების პოლიტიკა უნდა ხორციელდებოდეს, ერთი მხრივ კონსერვატიული მემკვიდრეობისა და მეორე მხრივ, ლიბერალური რეფორმების აუცილებლობის გათვალისწინებით. ვერ ვახერხებთ რა ამას, შედეგად ვიღებთ გაორებულ ცნობიერებას, პრაქტიკასა და არაეფექტიან პოლიტიკას, რაც კიდევ არაერთი კონფლიქტის მიზეზი შეიძლება გახდეს“.[113]

ექსპერტები სხვადასხვაგვარად განიხილავენ იმ საკითხს, თუ როგორ უნდა დავიცვათ ოქროს შუალედი, რომ თავიდან ავიცილოთ კიდევ ერთი აგრესია და არ გადავუხვიოთ დასავლური კურსიდან. პაატა ზაქარეიშვილის აზრით, ოქროს შუალედი არის დემოკრატია და პოსტსაბჭოთა კომპლექსის მოშორება, ზურაბ დავითაშვილის აზრით კი, გამოსავალი დასავლეთშია და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადავუხვიოთ ამ გზიდან; ირაკლი ჩხაიძის აზრითაც, დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზით - საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაა გამოსავალი (იხ.დანართი 1.).

[113] ,,პარალელი“, ,,კულტურულ-ცივილიზაციური და ეროვნული ერთიანობის პრობლემები განდგომილ რეგიონებთან“, გახოკიძე ჯ., სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2011, ISNN 0235-8417, გვ.79.

თავი III. მინინაციონალიზმის გავლენა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე

3.1. საქართველო-ევროატლანტიკური სტრუქტურების ურთიერთობების დინამიკა

თანამედროვე გლობალური და ურთიერთდამოკიდებული საერთაშორისო სისტემა ანარქიული ხასიათისა, სადაც სახელმწიფოებთან ერთად მთავარ აქტორებს სამთავრობათშორისი ორგანიზაციებიც წარმოადგენენ. ისინი ერთობლივად ქმნიან მსოფლიო პოლიტიკურ ამინდს. საერთაშორისო ურთიერთობების აქტორებს, ყოველდღიურად უწევთ სხვადასხვა ტიპის პრობლემასთან გამკლავება, რომლებიც არაერთგვაროვანი ხასიათისაა.

დღესდღეობით საერთაშორისო საზოგადოება არაერთი გამოწვევის წინაშე დგას, რაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა ეროვნულ უსაფრთხოებას. თანამედროვე მოვლენები ცხადყოფს, რომ არც ერთი ქვეყანა არაა დაცული საგარეო საფრთხისგან, განსაკუთრებით მცირე სახელმწიფოები, რომლებიც ოდითგანვე იბრძვიან გადარჩენისთვის, ვინაიდან, ძლიერი და დიდი სახელმწიფოების მხრიდან ყოველთვის არსებობს მათი შთანთქმის სურვილი.

მცირე ქვეყნებისთვის უსაფრთხოების თვალსაზრისით და ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური განვითარებისთვის კარგი საშუალებაა სხვადასხვა ტიპის სახელმწიფოთა თანამეგობრობების წევრობა. საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი სახელმწიფოები სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობენ, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ერთმანეთზე თავდასხმის ალბათობას. ამასთან, ის არის არაჩვეულებრივი საშუალებაც - გააცნო საკუთარი პოზიცია საერთაშორისო საზოგადოებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული ფაქტორი მცირე სახელმწიფოებისთვის, რომელთაც სურთ საკუთარი გასაჭირის ,,მსოფლიოს ყურამდე'' მიტანა.

გარდა იმისა, რომ არსებობს საფრთხეები საერთაშორისო სისტემის დონეზე, მაგალითად: ტერორიზმი, კიბერდანაშაული და ა.შ., არსებობს საფრთხეები

ეროვნულ დონეზე, რაც ძირს უთხრის ქვეყნის ერთიანობას, ტერიტორიულ მთლიანობას. ერთ-ერთი ასეთი საფრთხე მინინაციონალიზმია, რაც პირდაპირი დარტყმაა ნებისმიერი სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის.

სწორედ სეპარატისტული რეჟიმები და მასში განვითარებული მინი-ნაციონალიზმია ის შედეგი, რაც საბჭოთა კავშირის დაშლამ მოუტანა ქართულ (და არა მარტო) საზოგადოებას. რუსეთი დღემდე ვერ ეგუება გავლენის სფეროების დაკარგვას და სწორედ ეთნიკური უმცირესობების პროვოცირებით, ეროვნებებს შორის შუღლის დათესვით დღესაც ატარებს ,,დაყავი და იბატონეს" პოლიტიკას.

განსაკუთრებით რთული იყო საქართველოსთვის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება სერიოზული საგარეო მხარდაჭერის არქონის ფონზე. ვინაიდან წლების განმავლობაში (თითქმის 70 წელი) იგი არ განიხილებოდა, როგორც საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი. თუმცა, სუვერენიტეტის აღდგენის შემდეგ ქვეყანამ აქტიურად დაიწყო სვლა დასავლეთისკენ, დღეს კი მისი გაცხადებული საგარეო პოლიტიკური მიზანი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებაა.

3.1.1. ევროკავშირი - სამეზობლო პოლიტიკა, აღმოსავლეთ პარტნიორობა და სხვ.

ყველასთვის ცნობილია, რომ ევროპა არ არის მხოლოდ გეოგრაფიული მოხაზულობა, არამედ ეს არის იდეოლოგია, კულტურა, ფასეულობათა და ღირებულებათა სისტემა, სწორედ ამიტომ საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი არის ევროკავშირში გაწევრიანება, რაც პირდაპირკავშირშია ქვეყნის განვითარებასთან.

ევროკავშირი ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანებაა, რომლის მიზანია საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერება, მშვიდობის შენარჩუნება და კონფლიქტების თავიდან აცილება. ორი მსოფლიო

ომის შემდეგ, სახელმწიფოები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ თანამშრომლობითა და ურთიერთობების გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოებში დარეგულირებითაა შესაძლებელი ახალი დაპირისპირებების თავიდან აცილება. დღესდღეობით ევროკავშირში 27 დემოკრატიული სახელმწიფოა გაერთიანებული, ამასთან, ბევრია გაწევრიანების მსურველი ქვეყნები, მათ შორის საქართველო, რომლისთვისაც აღნიშნული ნაბიჯი უკავშირდება ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ განვითარებას, საერთაშორისო მხარდაჭერას, უსაფრთხოებას და ა.შ.

ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა დაფუძნებულია მაასტრიხტის (1993 წ.), ამსტერდამის (1999 წ.), ნიცისა (2003 წ.) და ლისაბონის (2009 წ.) ხელშეკრულებებზე. მისი მთავარი საგარეო პოლიტიკური მიზნებია ევროკავშირის ღირებულებების, ფუნდამენტური ინტერესების, უსაფრთხოების, დამოუკიდებლობის, მთლიანობის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვა, მშვიდობის შენარჩუნება, საერთაშორისო კონფლიქტების თავიდან აცილება, სტიქიურ უბედურებებთან ბრძოლაში სახელმწიფოთა დახმარება და ა.შ.[114]

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები იწყება 1992 წლიდან, როდესაც ევროგაერთიანებამ ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. აღნიშნულმა ორგანიზაციამ იმ პერიოდში შეიმუშავა ე.წ. ტექნიკური დახმარების პროგრამა ყოფილი საბჭოთა ქვეყნებისთვის, რომლის მიზანი იყო პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება, გამოცდილების გაზიარება და ა.შ. აღნიშნული პროგრამა 2007 წელს ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტმა ჩაანაცვლა.[115]

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაწყებული აქტიური თანამშრომლობით არაერთ შეთანხმებას მოეწერა ხელი, რომელთა საფუძველზეც საქართველო თანდათან უახლოვდება ევროკავშირს. აღნიშნული

[114]European Union External Action,What is EU Foreign Policy, EUMM, https://eumm.eu/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.04.2020.
[115]საქართველო და ევროკავშირი, საინფორმაციო ცენტრი, მნიშვნელოვანი თარიღები, http://infocenter.gov.ge/euinfo-important-dates/#1, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.03.2020.

ურთიერთობების ფარგლებში უნდა გამოვყოთ შემდეგი მოვლენები: 1995 წლის შეთანხმება, რომლის თანახმადაც საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით სარგებლობს,[116] 1996 წლის ლუქსემბურგის შეთანხმება, რითაც განისაზღვრა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების შემდგომი განვითარების სამართლებრივი ჩარჩო (იგი 1999 წელს შევიდა ძალაში), ეს იყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება, 1997 წლიდან კი საქართველოს პარლამენტის დადგენილებით სახელმწიფომ დაიწყო საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.[117]

2003 წელს ევროკავშირს თავისი სპეციალური წარმომადგენელი ჰყავს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. 2004 წლის ივნისის თვეში ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვის შესახებ, რაც მიზნად ისახავდა პროგრესის მიღწევასა და განვითარებას შემდეგ სფეროებში: უსაფრთხოება, ადამიანური რესურსის თავისუფალი გადაადგილება, კონფლიქტების დარეგულირება, კორუფციის წინააღმდგ ბრძოლა, ადამიანის უფლებათა დაცვა, კულტურა, ინვესტიციების ხელშეწყობა და ა.შ. სამეზობლო პოლიტიკამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყანაში სახელმწიფო ინსტიტუტების დემოკრატიულ განვითარებაში და ეკონომიკური რეფორმების გატარებაში.[118]

2007 წლიდან ამოქმედდა ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი, რომლის ფარგლებში საქართველოს 24 მილიონი ევრო გამოეყო სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული სფეროების რეფორმირებისთვის.

---

[116] Meskhia I., Seturidze R., ,,The European Union's Generalized System of Preferences (GSP) and the Prospect of a Unified Database, World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Economics and Management Engineering, Vol:7, No:10, 2013, p.2692.

[117] საქართველო და ევროკავშირი, საინფორმაციო ცენტრი, მნიშვნელოვანი თარიღები, http://infocenter.gov.ge/euinfo-important-dates/#1, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.03.2020.

[118] European Comission, European Neighbourhood Policy And Enlargement Negotiations; European Neighbourhood Policy; 06/12/2016, https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/overview_en, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.04.2020.

აღსანიშნავია, ასევე, ევროკავშირის მხარდაჭერა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ. მან დაახლოებით 500 მლნ. ევრო გამოყო, რომლის ძირითადი ნაწილიც იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერას მოხმარდა. აღნიშნული ომის შემდეგ ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის - საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის, შუამავლობით შემუშავდა ე.წ. ექვსპუნქტიანი შეთანხმების გეგმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ამასთან, მისმა წევრმა სახელმწიფოებმა დაგმეს რუსეთის მიერ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარება და სხვა ქვეყნებსაც მოუწოდეს ამისკენ. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ 2009 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო მუშაობა, რომლის მთავარი მიზანი სამშვიდობო გეგმის განხორციელების მონიტორინგია. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

1. ძალის გამოყენებაზე უარის თქმა;
2. საბრძოლო ქმედებებზე საბოლოო უარის თქმა;
3. ჰუმანიტარული დახმარებისთვის თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფა;
4. საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ მათი ჩვეულებრივი დისლოკაციის ადგილებში;
5. რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე. საერთაშორისო მექანიზმის შექმნამდე, რუსეთის სამშვიდობო ძალები განახორციელებენ უსაფრთხოების დამატებით ზომებს;
6. საერთშორისო დისკუსიების დაწყება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების შესახებ.[119]

ევროკავშირის პოლიტიკას საქართველოში განსაზღვრავს, ძირითადად, ორკომპონენტიანი ხედვა - ,,არაღიარება“ და ,,ჩართულობა“. 2009 წელს ევროკავშირის პოლიტიკურმა და უსაფრთხოების კომიტეტმა მიიღო შიდა მოხმარების, არასაჯარო დოკუმენტი ,,აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან

[119] Russian Aggression of Georgia, Six Point Peace Plan, Documented by the Government of Georgia, https://smr.gov.ge/uploads/prev/9bbbc7.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.04.2020.

მიმართებაში ევროკავშირის არაღიარების და ევროკავშირის ჩართულობის პოლიტიკის პარამეტრების შესახებ“[120]

,,არაღიარება“ არის ერთგვარი რეაქცია რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალმხრივ აღიარებაზე, ხოლო ,,ჩართულობის“ მიზანი ნდობის მშენებლობა, ევროპული ღირებულებების გავრცელება და საბოლოოდ ,,დეიზოლაციაა“. დღესდღეობით ევროკავშირისთვის კონფლიქტის სფეროში მთავარ ინსტრუმენტად განიხილება ჟენევის მოლაპარაკებები (მონაწილე მხარეები: საქართველო, რუსეთი, აშშ, აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი, ევროკავშირი, გაერო და ეუთო), რომელიც ექვსპუნქტიანი გეგმის შეთანხმებისა და განხორციელების ზომების ფარგლებში დაიწყო და დღემდე გრძელდება.

ევროკავშირის როლთან დაკავშირებით კონფლიქტის მოგვარებაში აზრი ორად იყოფა. ერთნი მიიჩნევენ, რომ ევროკავშირს არ გააჩნია საკმარისი ნება, რესურსი და გამოცდილება კონფლიქტის მოგვარებაში უფრო აქტიური მონაწილეობისთვის, ხოლო მეორენი მიიჩნევენ, რომ ევროკავშირს არ სურს საშინაო საქმეებში ჩარევა, რადგან თვლის, რომ მსგავსი პრობლემები ქვეყნის შიდა პოლიტიკური პრობლემაა და თვითონ უნდა მოაგვაროს.

უნდა აღინიშნოს, რომ აგვისტოს ომამდე ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკა საქართველოში საკმაოდ პასიური იყო. იგი უარყოფდა აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში ნებისმიერ სამშვიდობო ოპერაციაში ჩართვის შესაძლებლობას. თუმცა, აგვისტოს ომის შემდეგ მიხვდა, რომ კავკასიის ოკუპაციით ცენტრალურ აზიაში გასასვლელი ჩაეკეტებოდა, რაც მნიშვნელოვანი შეფერხება იქნებოდა სამომავლოდ ენერგორესურსებით მომარაგების კუთხით.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP) ევროკავშირის აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის ძირითად მექანიზმს

[120] წურწუმია-ზურაბაშვილი ა., ,,ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა: საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა ევროპული არჩევანის და დემოკრატიზაციის პერსპექტივები“, პოლიტიკის დოკუმენტი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, თბილისი, 05. 2016 წ.

წარმოადგენს. მისი მიზანია ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთდაახლოების პროცესის მხარდაჭერა. იგი 2004 წელს შემუშავდა (მას შემდეგ, რაც ევროკავშირში ახალი წევრი სახელმწიფოები მიიღეს), მეზობელ ქვეყნებთან გამყოფი ხაზების თავიდან აცილებისა და აღნიშნულ სივრცეში სტაბილურობის (უსაფრთხოების) მხარდასაჭერად. მასში 16 ქვეყანაა ჩართული (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო, უკრაინა, ალჟირი, ბელარუსი, ეგვიპტე, იორდანია, ისრაელი, ლიბანი, ლიბია, მოლდოვა, მაროკო, პალესტინა, სირია, ტუნისი). ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა ხორციელდება მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობით მომზადებული, ქვეყნის ან რეგიონის მიმართ შემუშავებული სტრატეგიული სამოქმედო იმ გეგმის საფუძველზე, რომელშიც ევროკომისია განსაზღვრავს იმ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პარამეტრებს, რის მიხედვითაც მიმდინარეობს მოცემული ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესის შეფასება. წელიწადში ერთხელ ქვეყნდება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. აღსანიშნავია, რომ იგი ეფუძნება სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას და თანამშრომლობას შემდეგი მიმართულებებით: ფინანსური დახმარება, ევროკავშირის სავიზო რეჟიმის გამარტივება, ეკონომიკური ინტეგრაცია, სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ქვეყნების მხარდაჭერა პოლიტიკის ცალკეულ სფეროებში რეფორმების გასატარებლად და სხვა. ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ხორციელდება, ასევე, შემდეგი თანამშრომლობის ფორმატებში: ,,აღმოსავლეთ პარტნიორობა“, შავი ზღვის სინერგია, ევრო-ხმელთაშუა ზღვის პარტნიორობა.

2006 წელს დასრულდა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმება, შესრულებისთვის კი განისაზღვრა ვადა - 5 წელი. აღნიშნული გეგმა მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებას გულისხმობდა, მათ შორის: დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას, სიღარიბის დაძლევას, ეკონომიკურ განვითარებას, სოციალური პოლიტიკის დახვეწას და ა. შ. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად რეფორმებისა, ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით უკრაინა და მოლდოვა უფრო წარმატებულნი აღმოჩნდნენ, ვიდრე საქართველო, რის გამოც ევროკავშირმა

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის თაობაზე მოლაპარაკებები ბევრად უფრო ადრე დაიწყო მათთან, ვიდრე საქართველოსთან.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სამეზობლო პოლიტიკის მიზნებში არ შედიოდა მონაწილე ქვეყნების მომზადება ევროკავშირში გაწევრიანებისთვის. მისი მიზანი ის იყო, რომ ევროკავშირის სამეზობლოში არსებულ ტენდენციებს არ შეეფერხებინა ცალკეული ქვეყნების ევროკავშირთან ფუნქციური ინტეგრაციის პროცესი.[121]

აგვისტოს ომმა ერთგვარი კატალიზატორის როლი ითამაშა აღმოსავლეთ პარტნიორობის ამოქმედებაში, ომის დასრულებიდან დაახლოებით ერთ თვეში საქართველოს საკითხზე საგანგებოდ შეკრებილმა ევროპულმა საბჭომ ბრიუსელში ევროკომისიას სთხოვა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის შესახებ კომუნიკაციის დაჩქარება.[122] აღნიშნულ სხდომაზე მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: ,,საქართველოში არსებულმა კრიზისმა ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობა გაართულა. ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო მიიჩნევს, რომ ევროკავშირისა და რუსეთის ერთმანეთზე დამოკიდებულების და მათ წინაშე არსებული გლობალური პრობლემების გათვალისწინებით, მჭიდრო ურთიერთობებზე უკეთესი არჩევანი არ არსებობს, ეს ურთიერთობები უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, ნდობასა და დიალოგს, კანონის უზენაესობის და იმ პრინციპების პატივისცემას, რომლებიც გაერო-ს ქარტიისა და ეუთო-ს მიერაა აღიარებული“[123]

,,აღმოსავლეთ პარტნიორობა'', რაც ხელს უწყობს საერთო ფასეულობების გავრცელებას, პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის

---

[121]საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები და სამომავლო პერსპექტივები, საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრი, თბილისი, 2017, გვ. 12.

[122]Eastern Partnership, ,,COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT AND THE COUNCIL“, COM(2008) 823 final, 3 December 2008,p.2.
https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2008:0823:FIN:EN:PDF;
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 07.04.2020.

[123]COUNCIL OF THE EUROPEAN UNION, PRESIDENCY CONCLUSIONS,CONCL 3, Brussels, 1 September 2008 (01.09)(OR. fr)12594/08,p.10.
https://www.consilium.europa.eu/ueDocs/cms_Data/docs/pressData/en/ec/102545.pdf,
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.04.2020.

გაღრმავებას, ეკონომიკურ განვითარებას და რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებას, 2009 წელს ამოქმედდა და პარტნიორ ქვეყნებთან ოთხი ძირითადი მიმართულებით თანამშრომლობს:

1. დემოკრატია და სტაბილურობა, კარგი მმართველობა;
2. ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან კონვერგენცია;
3. ენერგეტიკა, ტრანსპორტი, გარემოს დაცვა;
4. მობილურობა და ადამიანებს შორის კონტაქტები.[124]

აღმოსავლეთ პარტნიორობა საშუალებას იძლევა, რომ გარკვეული ჩარჩოების გათვალისწინებით პარტნიორმა ქვეყნებმა შეძლონ საკუთარი ინდივიდუალური მისწრაფებების რეალიზება. მონაწილე ქვეყნებს შეუძლიათ, ევროკავშირთან ინდივიდუალური დღის წესრიგით იმუშაონ და განავითარონ ორმხრივი ურთიერთობები. აღმოსავლეთ პარტნიორობის საბოლოო მიზანია რეგიონის (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა) ეკონომიკური ინტეგრაცია (ევროკავშირსა და პარტნიორ სახელმწიფოებს შორის თავისუფალი ვაჭრობის სივრცის დამყარება) და მათი პოლიტიკური ასოცირება (ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში ჩართვა, ფასეულობრივი განსხვავებების აღმოფხვრა და ა.შ.).

2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში ხელი მოეწერა „ერთის მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ" შეთანხმებას, ივლისის თვეში საქართველოს პარლამენტმა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირებას მხარი ერთხმად დაუჭირა. იგი ძალაში შევიდა 2016 წელს, რაც უდიდესი წინსვლა იყო ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე, ვინაიდან აღნიშნული შეთანხმება არის ერთგვარი სამოქმედო გეგმა, რომელიც ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. მასში გამოხატულია სრული პატივისცემა

[124] ,,Eastern Partnership", EEAS, Brussels, 19 October 2016. https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/419/eastern-partnership_en, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.04.2020.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვეობის პრინციპების მიმართ[125]. 2017 წლიდან კი საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის რეჟიმი ამოქმედდა. დღესდღეობით მოქმედებს ასოცირების განახლებული დღის წესრიგი, რაც თავისთავად გულისხმობს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას.

ექსპერტთა ნაწილის აზრით, აღმოსავლეთ პარტნიორობამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები,[126] მაგრამ ფაქტია, რომ მისი მეშვეობით ევროკავშირი ახერხებს რუსეთის ნეგატიური გავლენის შერბილებას (ვინაიდან პოსტსაბჭოთა ქვეყნები ერთიანდებიან მასში), რეფორმების განხორციელებასა და დემოკრატიის განვითარებას.

აღმოსავლეთ პარტნიორობის მთავარი მონაპოვარი საქართველოსთვის არის ეკონომიკური ინტეგრაცია და პოლიტიკური ასოცირება, ადამიანთა თავისუფალი გადაადგილება, დემოკრატიული რეფორმები, რეგიონის ქვეყნებთან (იგულისხმება პროგრამაში ჩართული ქვეყნები) თანამშრომლობის განვითარება და გაღრმავება. 2019 წლის მაისში აღნიშნეს აღმოსავლეთ პარტნიორობის 10 წლის იუბილე, სადაც საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა, ფუნდამენტურად მომავალზე ორიენტირებული პარტნიორობაა, რომლის ფარგლებშიც ამბიციური ხელშეკრულებები გააფორმეს მონაწილე ქვეყნებთან.[127]

---

[125]Legislation, COUNCIL DECISION of 16 June 2014, Official Journal of the European Union, II Non-legislative acts, INTERNATIONAL AGREEMENTS, Volume 57 , 30 August2014, p. 261/5, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:261:FULL, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.06.2020.

[126] ,,From Prague to Riga: Has the EU's Eastern Partnership Been a Failure?", Maryia Hushcha, E-International Relations , APR 14 2017, https://www.e-ir.info/pdf/68518, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.04.2020.

[127] Celebrating 10 years of the Eastern Partnership, European Commission - Press release, Brussels, 14 May 2019.
file:///C:/Users/user/Downloads/Celebrating_10_years_of_the_Eastern_Partnership.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 04.04.2020.

ევროკავშირი პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. ამასთან, ყველასთვის ცნობილია საქართველოს გაცხადებული სურვილი - იყოს აღნიშნული ორგანიზაციის სრულფასოვანი წევრი. თუმცა არსებობს უამრავი ბარიერი აღნიშნულ გზაზე, რაზეც შემდგომ ვისაუბრებთ.

3.1.2. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია

ყველასთვის ცნობილია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მსოფლიოში მშვიდობის დამყარებასა და შენარჩუნებაში. მათ შორისაა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო), რომლის გარეშეც წარმოუდგენელია თანამედროვე საერთაშორისო სისტემა.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) არის 30 წევრი სახელმწიფოსგან შემდგარი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი. იგი არსებობს 1949 წლიდან, შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როგორც კომუნიზმის გავრცელების მთავარი შემაკავებელი ფაქტორი მსოფლიოში (თუმცა, ამ მოსაზრებასაც ჰყავს ბევრი კრიტიკოსი). მასში თორმეტი (ბელგია, გაერთიანებული სამეფო, დანია, ისლანდია, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, ჰოლანდია, ნორვეგია, პორტუგალია, აშშ, საფრანგეთი) სახელმწიფო გაერთიანდა. მოგვიანებით (1952 წელს) თურქეთი და საბერძნეთი შეუერთდა, უფრო მოგვიანებით (1955 წელს) - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, 1982 წელს კი - ესპანეთი, 1990 წელს (გერმანიის გაერთიანების შედეგად) - გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, 1999 წელს - ჩეხეთი, პოლონეთი და უნგრეთი, 2004 წელს იყო საკმაოდ დიდი გაფართოება - 7 სახელმწიფო გაერთიანდა ნატო-ს რიგებში, ესენია: ბულგარეთი, ლატვია, ლიეტუვა, სლოვაკეთი, სლოვენია,

რუმინეთი, ესტონეთი, 2009 წელს - ალბანეთი და ხორვატია, 2017 წელს - მონტენეგრო, ხოლო 2020 წელს - ჩრდილოეთ მაკედონია.. [128]

აღნიშნული ორგანიზაცია შეიქმნა სახელმწიფოებს შორის შეთანხმების საფუძველზე, რაც ითვალისწინებს ამ ქვეყნების თავისუფალ არჩევანს გაწევრიანების საკითხის საჯარო განხილვასა და შესაბამის საპარლამენტო პროცედურებს. ისინი იზიარებენ კოლექტიური უსაფრთხოების წინაშე მდგარ საფრთხეებს და მთავარი ამოცანა წევრი სახელმწიფოების თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. თუმცა სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახის საფრთხეები და გამოწვევები არსებობდა ნატო-სთვის. თუკი თავიდან იგი შეიქმნა, როგორც კომუნიზმის შემაკავებელი ძალა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა აღარ არსებობდა მთავარი საფრთხე, მისი საგარეო პოლიტიკური მიზნები ტრანსფორმირდა და განსხვავებული დატვირთვა შეიძინა. ამასთან, მას არ დაუკარგავს პოპულარობა არაწევრ სახელმწიფოებში. იგი მიმზიდველი აღმოჩნდა საბჭოთა გავლენისგან თავისუფალი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც გაწევრიანების შემთხვევაში ინარჩუნებდნენ სუვერენიტეტს და იღებდნენ კოლექტიურ უსაფრთხოებას.

აღნიშნული ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია - კოლექტიური თავდაცვა, რომლის თანახმადაც ერთ წევრ სახელმწიფოზე თავდასხმა, განიხილება როგორც თავდასხმა ყველა წევრ სახელმწიფოზე (წესდების მეხუთე მუხლის თანახმად). შესაბამისად, ალიანსი იღებს ვალდებულებას დახმარება გაუწიოს საფრთხის ქვეშ მყოფ წევრ ქვეყანას. [129]

ნატო-ს წევრი ქვეყნები იზიარებენ კოლექტიური უსაფრთხოების წინაშე მდგარ საფრთხეებს, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახისა და დოზის იყო. ნატო-ს წევრობა უსაფრთხოების გარანტია მისი წევრი ქვეყნისთვის, ამიტომ

---

[128],,ნატოს გაფართოება"; საქართველო და ნატო, საინფორმაციო ცენტრი, http://infocenter.gov.ge/nato-enlargement/#1, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.03.2020.

[129],,The North Atlantic Treaty"; North Atlantic Treaty Organization, Washington D.C. - 4 April 1949; https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_17120.htm, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.03.2020.

ისწრაფვიან სახელმწიფოები ალიანსში გასაწევრიანებლად და არც საქართველო იყო ამ მხრივ გამონაკლისი, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანამ აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა აღნიშნულ ორგანიზაციასთან.

საქართველოსა და ნატო-ს ურთიერთობები 1992 წლიდან იწყება, როდესაც იგი შეუერთდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (რომელიც მოგვიანებით ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოთი შეიცვალა). 1994 წლიდან საქართველო გახდა ნატო-ს პროგრამის ,,პარტნიორობა მშვიდობისათვის'' თანამონაწილე, რომლის ფარგლებშიც ალიანსის წევრ და პარტნიორ ქვეყნებში ერთობლივად იმართება სამხედრო წვრთნები.

2002 წელს საქართველომ გააკეთა ოფიციალური განაცხადი ალიანსში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, საიდანაც იწყება ნატო-ში ინტეგრაციის პროცესი. 2004 წელს, საქართველო გახდა პირველი პარტნიორი სახელმწიფო, რომელთანაც ალიანსმა დაიწყო ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში თანამშრომლობა. 2006 წლიდან კი იწყება ,,ინტენსიური დიალოგი გაწევრიანების საკითხებზე'', რის შემდეგაც საქართველო ფორმალურად გადავიდა პარტნიორობის ფორმატიდან ასპირანტის ფორმატზე. 2008 წლის აპრილის თვეში ბუქარესტის სამიტზე ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდებოდა ნატო-ს წევრი ქვეყანა. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეიქმნა ნატო-საქართველოს კომისია. ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მხარი დაუჭირეს წლიური ეროვნული პროგრამის შემუშავებას ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო, რადგან ამ უკანასკნელს, მხოლოდ გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში (MAP-ში) ჩართული ქვეყნები ახორციელებენ. 2014 წელს უელსის სამიტზე საქართველომ მიიღო ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი, რისი მიზანიც ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება და ნატო-სთან თავსებადობის ამაღლებაა.[130] 2015 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიაზე ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი

[130] ,,საქართველო და ნატო“; მნიშვნელოვანი თარიღები; http://infocenter.gov.ge/nato-important-dates/#1, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.05.2020.

გაიხსნა, რაც ხელს უწყობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატო-სთან თავსებადობის ამაღლებას. 2016 წელს თბილისში გაიხსნა ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისა და გაძლიერებისთვის. მომდევნო წელს კი საქართველოს პირველად ეწვია ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა და საგაზაფხულო სესია თბილისში გამართა, რომელიც საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდამჭერი დეკლარაციის მიღებით დასრულდა.[131]

მნიშვნელოვანია საქართველოს ჩართულობა ნატო-ს სამშვიდობო მისიებში, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი ქვეყანა, მათ შორისაა კოსოვოში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციები 1999-2008 წლებში ხმელთაშუა ზღვაზე მიმდინარე ანტი-ტერორისტული ოპერაცია - აქტიური ძალისხმევა. მნიშვნელოვანია 2004-2014 წლებში საქართველოს წვლილი ავღანეთის საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების ოპერაციაში, სადაც პარტნიორ ქვეყნებს შორის, კონტინგენტის რიცხოვნობის თვალსაზრისით, საქართველო პირველ ადგილზე იყო, რაც ერთგვარ დადასტურებას წარმოადგენს იმისას, რომ მას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო მშვიდობის დამყარებაში. 2015 წლიდან საქართველო კვლავ განაგრძობს ნატო-ს „ავღანეთის ოპერაციაში“ მონაწილეობას და ჩართულია გადამწყვეტი მხარდაჭერის მისიაში. ამავე წლიდან ქვეყანა ჩართულია ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებშიც.

ნატო-ს კარი ღიაა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რომელიც თავის მხრივ მზადაა, წევრობისთვის საჭირო ვალდებულებები შეასრულოს და ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოების უზრუნველყოფას შეუწყოს ხელი. ამასთან, მნიშვნელოვანია პარტნიორ ქვეყნებთან ერთად მთავარ გამოწვევებთან და საფრთხეებთან გამკლავება, დღეს კი ნატო-სთვის მთავარ საფრთხეს

[131] თბილისში გამართულ ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველოს მხარდამჭერი დეკლარაცია მიიღეს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, https://mfa.gov.ge/News/tbilisshi-gamartuli-natos-saparlamento-asambleis-r.aspx?CatID=5, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.03.2020.

ტერორიზმი, რუსეთის ფედერაცია და კიბერდანაშაული წარმოადგენს. რუსეთის ფედერაციისთვის ნატო-ს გაფართოება აღმოსავლეთით, კატეგორიულად მიუღებელია. განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების ხარჯზე. რუსეთი ყველანაირად ეწინააღმდეგება საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას, რადგან იგი არ დაუშვებს მის სამხრეთით, მთავარი ოპონენტის შეიარაღებული ძალების განთავსებას, ხოლო საქართველო თავის მხრივ თვლის, რომ საქართველო-ნატო-ს ურთიერთობა მხოლოდ ამ ორ მხარეს ეხება და არ არსებობს არანაირი მესამე ძალა, თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამხრეთ კავკასიაში რეგიონული მასშტაბის გადაწყვეტილებების მიღება რუსეთის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია, ვინაიდან მას დიდი ხანია, აქვს ამ რეგიონში თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები.

ნატო საქართველოსთვის უსაფრთხოების გარანტია, ამიტომ საქართველოს მთელი საგარეო პოლიტიკური ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ რაც შეიძლება სწრაფად შეურთდეს ამ ორგანიზაციას. თუმცა, ქვეყნის შიგნით, შეიძლება ითქვას, რომ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს ნატო-ში გაწევრიანებასთან მიმართებით, რასთან დაკავშირებითაც არაერთი რეფერენდუმი ჩატარდა. მაგ: 2008 წელს ორგანიზებული პლებისციტით (რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად მიმდინარეობდა), მოსახლეობის 77% ემხრობა ნატო-ში გაწევრიანებას.[132] საზოგადოებრივ აზრს იკვლევს, ასევე, ეროვნულ-დემოკრატიული კავშირიც (NDI), რომლის თანახმადაც, 2017 წელს მოსახლეობის 68% ემხრობა ორგანიზაციაში გაწევრიანებას, გაწევრიანების მსურველთა 71% კი თვლის, რომ აღნიშნული ნაბიჯი მეტი უსაფრთხოების მომტანი იქნება ქვეყნისთვის. საინტერესოა, ასევე, ამავე ორგანიზაციის 2019 წელს გამოქვეყნებული კვლევა, რომლის თანახმადაც, გამოკითხულთა 53%, კითხვაზე - ,,რატომ ნატო?", პასუხობს, რომ ეს ნაბიჯი უზრუნველყოფს საქართველოს მეტ

[132] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2008 წლის 5 იანვრის პლებისციტის შედეგების შემაჯამებელი ოქმი, 15.03.2008, https://cesko.ge/geo/list/show/1167-saqartvelos-centraluri-saarchevno-komisiis-2008-wlis-5-ianvris-, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.05.2020.

უსაფრთხოებას, ხოლო გამოკითხულთა 51% , კითხვაზე - ,,რატომ არა ნატო?", პასუხობს, რომ აღნიშნული ნაბიჯი წარმოშობს კონფლიქტს რუსეთთან.[133]

გამოკითხვიდან იკვეთება ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, თუ რამდენად მოქმედებს საზოგადოების განწყობაზე რუსული ,,რბილი ძალა". მოსკოვი დღემდე მანიპულირებს აზრით, რომ თუკი საქართველო გახდება ნატო-ს წევრი, იგი საბოლოოდ დაკარგავს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, ამასთან, შეიძლება მისი მხრიდან კიდევ ერთი აგრესიის ობიექტი გახდეს. სწორედ აღნიშნული დამოკიდებულება ნატო-სა და ევროკავშირის მიმართ წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ხელშემშლელ ფაქტორს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ გზაზე. სწორედ ამ და სხვა ფაქტორებს განვიხილავთ შემდეგ ნაწილში.

3.2. მინინაციონალიზმის გავლენა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ არჩევანზე (სხვა ხელშემშლელი ფაქტორები)

საყოველთაოდ მიღებული მოსაზრების თანახმად, სერიოზული საგარეო საფრთხის პირობებში სახელმწიფოები დაბალანსების ან მიტმასნების პოლიტიკას მიმართავენ. ამასთან, დაბალანსება განისაზღვრება, როგორც არსებული საფრთხის წინააღმდეგ სხვებთან კავშირის შექმნა, ხოლო მიტმასნება საფრთხის წყაროსთან კავშირის შექმნას გულისხმობს.[134] საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი ცალსახად დაბალანსების პოლიტიკას ემხრობა, ვინაიდან ჩრდილოელი მეზობელი სახელმწიფოსგან მუდმივად არსებობს ომის განახლების საფრთხე.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ითვალისწინებს ქვეყნის სწრაფვას ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეებში. ამასთან, არსებობს უამრავი ხელშემშლელი ფაქტორი აღნიშნულ გზაზე.

---

[133] საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2019 წლის აპრილის გამოკითხვის შედეგები, NDI, გვ. 34-35. https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_April_2019_Public_Political%20Poll_GEO_Final.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.06.2020.

[134] არტი რ., ჯერვისი რ., ,,საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები", ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი,2011. გვ. 131.

საქართველო-ნატო-ს პოზიტიური ურთიერთობები მიუღებელია რუსეთის ფედერაციისთვის, რომლის საგარეო პოლიტიკის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს ნატო-ს გაფართოება აღმოსავლეთით, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში. შესაბამისად, აქ იკვეთება ორი მსხვილი საერთაშორისო აქტორის გეოპოლიტიკური ინტერესები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსკოვი ყველანაირად ეწინააღმდეგება საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას, რადგან მისთვის მიუღებელია ნატო-ს შეიარაღებული ძალების განთავსება რუსეთის საზღვრებთან ახლოს. ბევრი ექსპერტის მოსაზრებით, სწორედ თავისი პროდასავლური არჩევანის გამო დასაჯა რუსეთმა საქართველო 2008 წლის აგვისტოს თვეში, როდესაც დაარღვია საერთაშორისო სამართლის უმთავრესი პრინციპები და შემოიჭრა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

ერთ-ერთი მთავარი ხელშემშლელი ფაქტორი ევროპულ და ევროატლანტიკურ გზაზე არის რუსული პროპაგანდა და რბილი ძალა, რომელთა მიზანია კრემლის რეჟიმის მხარდამჭერი ნარატივების შექმნა და გავრცელება. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთი აქტიურად ეწევა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შემაფერხებელ პროპაგანდას, რაც სერიოზული გამოწვევაა ქვეყნის უსაფრთხოებისთვის. რუსული ,,რბილი ძალა" (სახელმწიფოს უნარი, ხისტი ძალის გამოყენების გარეშე, დადებითი განწყობებისა და დამოკიდებულებების შექმნით, გავლენა მოახდინოს საერთაშორისო სისტემის სხვა აქტორებზე[135]) საფრთხედ დაფიქსირდა დოკუმენტებში: ,,თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020" [136] და ,,ევროკავშირსა და ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის დამტკიცების

[135]Joseph S., Nye Jr., ,,The Benefits of Soft Power", Harvard Business School, Working Knowledge, Business Research for Business Leaders, 8/2/2004, https://hbswk.hbs.edu/archive/the-benefits-of-soft-power, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.04.2020.

[136]თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 21.04.2017, https://mod.gov.ge/uploads/public/strtegiebi_kocefciebi/SDR_17-20.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.05.2020.

თაობაზე“[137]. რუსეთი სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებითა თუ სოციალური ქსელებით ავრცელებს დეზინფორმაციას, თითქოს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების შემთხვევაში მოუწევს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთზე უარის თქმა, რაც მტკივნეულად აღიქმება საზოგადოების მიერ და შესაბამის რეაქციასაც იწვევს - ,,ტერიტორიების დაკარგვის ფასად, არც ერთ ორგანიზაციაში გაწევრიანება არ ღირს“.

მნიშვნელოვანია ქართული სახელმწიფო ინსტიტუტების მოუმწიფებლობა, რაც პირდაპირ აისახება გადაწყვეტილების მიღების უნარზე, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის წარმოებაზე. საქართველო განვითარებადი ქვეყანაა და მისი საგარეო პოლიტიკური კურსიც ითვალისწინებს იმას, რომ საბოლოოდ გახდეს დასავლური სახელმწიფოების მსგავსი ლიბერალური დემოკრატია. საქართველოში, ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა და რეფორმირება. ქვეყანა კვლავ ჰიბრიდული რეჟიმების რიცხვს განეკუთვნება, რითაც აიხსნება ქართული დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტე. ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანების წინაპირობა სახელმწიფო ინსტიტუტებში დემოკრატიული რეფორმების გატარებაა. საქართველოში კი აღნიშნული პროცესი ჯერ არ დასრულებულა.

სამოქალაქო საზოგადოების გარკვეული ნაწილის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის ილუზია, თითქოს, შიდა კონფლიქტების მოგვარებაში ნატო დაგვეხმარება, რაც არასწორია რამდენიმე ფაქტორის გამო: ნატო თავის წევრებს ეხმარება საგარეო აგრესიისგან დაცვაში და არა შიდაკონფლიქტების მოგვარებაში. ამასთან, ნატო არ მონაწილეობდა აფხაზეთის ტერიტორიაზე სამშვიდობო ოპერაციებში, რადგან მისი სადამფუძნებლო ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ამგვარ სამშვიდობო აქციებში ნატო-ს კოლექტიურ მონაწილეობას, რადგან დედამიწის ნებისმიერ რაიონში სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა გაერო-ს

[137],,ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის განკარგულება N765, 13.04.2017. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3650131?publication=0. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.05.2020.

პრეროგატივაა და არა ნატო-სი. რაც შეეხება საკითხს - მიიღებდა თუ არა ნატო ასეთ მანდატს უშიშროების საბჭოსგან (გაერო-ს მუდმივმოქმედი ორგანო), სადაც რუსეთს ვეტოს უფლება აქვს, რა თქმა უნდა - არა.

არსებობს მოსაზრება, რომ ნატო-ში გაწევრიანება, უბრალოდ, პოლიტიკური ნების საკითხია. თითქმის ყველა ნაკისრი ვალდებულება შეასრულა საქართველომ, მაგრამ მაინც არ არის ნატო-ს წევრი. უნდა აღინიშნოს, რომ არც ნატო-ს წევრ ქვეყნებს შორისაა ერთსულოვნება საქართველოს ალიანსში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. შედარებით უფრო ძველი ევროპული ქვეყნები - საფრანგეთი, იტალია, გერმანია - ნატო-ს გაფართოებას დიდი ენთუზიაზმით არ უყურებენ, მათი აზრით, ალიანსი ვერ აიტანს სწრაფ გაფართოებას. სკანდინავიის ზოგიერთი ქვეყანა მიიჩნევს, რომ ნატო ნეიტრალური და ობიექტური უნდა იყოს, რაც ნიშნავს, რომ თუკი რომელიმე სახელმწიფო დააკმაყოფილებს პირობებს, იგი უნდა გაწევრიანდეს ალიანსში, სახელმწიფოთა ნაწილი კი, აშშ-ის მეთაურობით, სწრაფი გაფართოების მომხრეები არიან. [138]

ბევრი ექსპერტის მოსაზრებით, ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციისთვის ზედმეტი ,,თავსატეხია'' დიდი საშინაო პოლიტიკური პრობლემების მქონე პატარა სახელმწიფოს მიღება ალიანსში. ნატო-ს შემთხვევაში საქართველოს მიღება რისკია, რადგან, თუკი 2008 წლის მსგავსი მოვლენები ისევ განვითარდება, ორგანიზაცია იძულებული იქნება აამოქმედოს წესდების მეხუთე მუხლი (რომელიც მხოლოდ ერთხელ არის ამოქმედებული 11.09.2001 წლის ტერაქტის დროს). ასევე რთულია სეპარატისტული რეჟიმების მქონე სახელმწიფოს მიღება ევროკავშირისთვის. ვინაიდან, სტაბილური გარემოს შექმნა აუცილებელი წინაპირობაა მასში გასაწევრიანებლად. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, კი საქართველოს არასტაბილური ქვეყნის იმიჯი შეექმნა.

რუსეთი არ დაუშვებს, რომ საქართველო ევროპისთვის ენერგორესურსების მიწოდების ალტერნატიული გზა გახდეს და მეტიც, მისი გვერდის ავლით მოხდეს

---

[138] ჩიტაძე ნ., ,,ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი", თბილისი, 2008, NATO/OTAN 2005 საქართველო ნატოში, გვ. 276-282.

ეს ყველაფერი. სწორედ ამიტომ, იგი მხარს უჭერს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წინაშე არსებული პოტენციური საფრთხეების გააქტიურებას.[139] საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოსკოვის მიზანი ცენტრალურ აზიაში ნავთობისა და გაზის წარმოებისა და დასავლეთ ევროპის ბაზრებზე მისი ტრანსპორტირებისთვის აუცილებელი მილსადენების კონტროლი იყო. საქართველოს აქვს პერსპექტივა, გახდეს ევროპული დერეფნის ნაწილი. ეს ნიშნავს, რომ ევროპა მხარდაჭერას სთავაზობს საქართველოს, გააფართოოს ნავთობისა და გაზის მოპოვება–ტრანსპორტირების მასშტაბები ევროპაში და ამავდროულად, დაიცვას ევროკავშირის რეგულაციები და სტანდარტები ეროვნულ კანონმდებლობაში.[140]

აღსანიშნავია, რომ რუსეთს თავისი ინტერესები აქვს ევროკავშირში და ნატო-ში. პირველი, ევროკავშირი რუსეთისთვის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია საქონლის ექსპორტისა და იმპორტის თვალსაზრისით, თანაც ევროკავშირისთვისაც რთულია ურთიერთობის გაფუჭება ენერგორესურსების მთავარ მიმწოდებელ სახელმწიფოსთან. ვინაიდან და რადგანაც ნატო-სთვის დღეს რუსეთი ერთ-ერთ მთავარ საფრთხეს წარმოადგენს, არც მისთვისაა მისაღები ურთიერთობის დაძაბვა საფრთხის წყაროსთან, რასაც გამოუსწორებელი შედეგები შეიძლება მოყვეს. ამიტომ, როცა ვსაუბრობთ, თუ რატომ არ სურს ნატო-ს საქართველოს მიღება თავის რიგებში, სრულიად ლოგიკური და გამართლებული პასუხია - რუსეთის გამო.

საქართველოსთვის ევროპულ და ევროატლანტიკურ გზაზე ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ფაქტორი მაინც აფხაზური და ოსური მინი-ნაციონალიზმია, რაც არასტაბილური ქვეყნის იმიჯს უქმნის საქართველოს და პირდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. სეპარატისტული რეჟიმები ერთგვარი დასაყრდენია მოსკოვისთვის, რომელიც მანიპულირებს მათით და ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირების გამწვავებით კიდევ უფრო აშორებს აფხაზებსა და ოსებს ცენტრალურ ხელისუფლებას. ნატო-სა და

[139]პატარაია თ., ,,ენერგოტრანზიტისა და უსაფრთხოების ასიმეტრია სამხრეთ კავკასიაში: გზა რუსეთსა და ევროკავშირს შორის“, Heinrich Böll Stiftung South Caucasus, თბილისი, 30.03.2015, გვ. 3.
[140] იქვე, გვ. 6.

ევროკავშირში, კარგად იციან, რომ ეს არის საქართველოს შიდაპოლიტიკური პრობლემა და მხოლოდ თვითონ უნდა მოაგვაროს. არავის იცის, კიდევ როდის გახსნიან ცეცხლს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ამიტომ ლოგიკურია მათი ფრთხილი დამოკიდებულება გაფართოებასთან დაკავშირებით. იციან რა, რომ საქართველოს მიღების შემთხვევაში, თუკი ადგილი ექნება კონფლიქტის ესკალაციას მინინაციონალიზმის ნიადაგზე, ისინი ავტომატურად ეჯახებიან რუსეთის ფედერაციას, რომელთანაც ურთიერთობის დაძაბვა არც ერთს და არც მეორეს, უბრალოდ, არ სურს. ერთი პერიოდი მუსირებდა აზრი, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების შესაძლებლობაზე ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გარეშე. ამასთან დაკავშირებით ,,ჰერითიჯის ფონდის" კვლევითმა ცენტრმა გამოაქვეყნა ლუკ კოფის ნაშრომი, რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ ამგვარი გაწევრიანება უნდა იყოს დროებითი ზომა საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში აღდგენამდე, რაც დიპლომატიური და მშვიდობიანი გზით უნდა განხორციელდეს.[141] აღნიშნული მიდგომა, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში იწვევს პანიკას, რადგან საკითხი მგრძნობიარეა და ნატო-ში გაწევრიანებაც ზოგიერთს ტერიტორიების დაბრუნების გარანტად ესახება. მათთვის ნატო ან ევროკავშირი არის ,,მესია", რომელიც ყველანაირ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ პრობლემებს მოუგვარებს. ასეთ დროს მნიშვნელოვანია ხელისუფლების მიერ არსებული საფრთხეებისა და თავისი შესაძლებლობების სწორად აღქმა, უმთავრესი ინტერესების პრიორიტერიზაცია, სტრატეგიული გეგმის შედგენა და ტაქტიკური ამოცანების ჩამოყალიბება, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს ქვეყანა უსაფრთხოების მთავარ გამოწვევებს.

ექსპერტთა მოსაზრებით, მთავარი მიზეზი ნატო-შია. ვინაიდან, მას არ სურს ურთიერთობის გაფუჭება რუსეთთან. ამასთან, საქართველოს არ უნდა ეშინოდეს თავის პლიუსებზე საუბარი - გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. ყველაზე უარესი, რაც შეიძლება მოხდეს ნატო-ში გაწევრიანების შემთხვევაში, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ,,სამხრეთ ოსეთის" ანექსიაა, რაც გააკეთა ყირიმში.

---

[141] Coffey L., ,,NATO Membership for Georgia: In U.S. and European Interest", Januari, 29, 2018, The Heritage Foundation, https://www.heritage.org/defense/report/nato-membership-georgia-us-and-european-interest, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.04.2019.

ზურაბ დავითაშვილის აზრით, ევროკავშირი შორეული პერსპექტივაა საქართველოსთვის იმ თვალსაზრისით, რომ არავის არ სურს, ,,აიკიდოს“ ღარიბი ქვეყანა. ევროკავშირის ყველაზე ღარიბ ქვეყანას, ბულგარეთს, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, რომ დავეწიოთ დღეს არსებული ტემპით მინიმუმ 70 წელი გვჭირდება. ამასთან, გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნები დამოკიდებულნი არიან რუსეთზე. მხოლოდ გერმანიაში 4000-მდე ფირმაა, რომელიც რუსულ ნავთობზე და გაზზეა დამოკიდებული. ნატო-ს პრობლემა კი წმინდა პოლიტიკური და სამხედროა - რუსეთის შიში. ასევე მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ფაქტორებია: პოლიტიკური გახლეჩილობა, სახელისუფლებო კურსის ნაკლებად მკაფიოობა, რუსეთის ნეგატიური როლი და ტერიტორიული კონფლიქტები (იხ.დანართი 2.).

3.3. მინინაციონალიზმის გავლენა საქართველოს საშინაო პოლიტიკაზე

მინინაციონალიზმი დღესდღეობით განსაზღვრავს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იგი ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, რადგან უპირისპირდება ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საქართველოს ხელისუფლებებს უწევდათ სწორი, სამოქალაქო თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, ზოგი წარმატებით ართმევდა თავს, ზოგიც - ვერა.

სწორედ XX საუკუნის 90-იან წლებში არსებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების შედეგია თანამედროვე საქართველოს რთული საშინაო პოლიტიკური ვითარება. საერთაშორისო საზოგადოებამ იცის, რომ სეპარატისტულ რეჟიმებთან საერთო ენის გამონახვა, მოლაპარაკებების წარმოება და ურთიერთობის ნორმალიზება, არის საქართველოს საშინაო საქმეები და მათში ნებისმიერი სახის ჩარევა - მიმართულების შეცვლის მიზნით, უბრალოდ, არასწორია და ქვეყნის შიდა- საქმეებში უხეშ ჩარევად ითვლება.

სწორედ აფხაზური და ოსური მინინაციონალიზმით აკონტროლებს დღეს მოსკოვი საქართველოს საშინაო პოლიტიკას, რის გამოც ნეგატიურად მოქმედებენ სეპარატისტული რეჟიმები საქართველოს შიდაპოლიტიკურ განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ტერიტორიის 20%-ზე მეტი ოკუპირებულია, ოკუპაცია გრძელდება, პირველ რიგში, ბორდერიზაციის სახით. ყოველდღიურად გადმოაქვთ სასაზღვრო ნიშნები და იტაცებენ ქართული მიწებს. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ დაკარგა კონტროლი 151 დასახლებულ პუნქტზე (135 - ცხინვალის რეგიონში და 16 - კოდორის ხეობაში)[142].

სეპარატისტები ხშირად ადანაშაულებენ საქართველოს ხელისუფლებებს მათდამი ნეგატიურ დამოკიდებულებაში, აფხაზებისა და ოსების ეთნიკური ნიშნით დევნაში, გენოციდში და ა.შ. მათ არ სურთ რაიმე ტიპის კომუნიკაცია ქართულ მხარესთან, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები გამოუვალ ჩიხშია შესული.

ობიექტურობა რომ შევინარჩუნოთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეთნიკური ნიშნით შიდადაპირისპირებები განსაკუთრებით შეინიშნებოდა XX საუკინის 80-იანი წლებიდან, რაც სხვადასხვა ფაქტორით იყო განპირობებული, თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საქართველოს ხელისუფლებების (ლიდერების) დამოუკიდებულებებზე ეთნიკური უმცირესობების (აფხაზებისა და ოსების) მიმართ.

საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია, ხშირად აღნიშნავდა, რომ ქართველი ხალხი საკუთარ ქვეყანაში იყო შევიწროებული და, როგორც ისტორიულად პრივილეგირებულ საზოგადოებას, უნდა ესარგებლა განსაკუთრებული უფლებებით საკუთარ სამშობლოში. მისი მიმდევრების მხრიდან ხშირად ისმოდა რადიკალური განცხადებები ეთნიკური

[142],,საქართველოს შეცვლილი საზღვრები ოკუპაციის შემდეგ", ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 26.10.2015. https://idfi.ge/ge/changed-borders-of-georgia-after-occupation, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.05.2020.

უმცირესობებისადმი, რომელთაც ქვეყნის ღალატსა და უმადურობაში ადანაშაულებდნენ და მოუწოდებდნენ, მხარი დაეჭირათ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაბრუნებულიყვნენ მათ ისტორიულ სამშობლოში (ეს ეხებოდა ოსებს). ქართულმა ემოციურმა ნაციონალიზმმა რადიკალური სახე მიიღო, რაც აფხაზებმა და ოსებმა საფრთხედ აღიქვეს. გამსახურდია ხშირად უსვამდა ხაზს ქართველთა რასობრივ სიწმინდეს. როგორც მაიკლ მანი აღნიშნავს, ნაციონალიზმი ძალზე საშიში ხდება მაშინ, როდესაც იგი პოლიტიზებულია და ერი-სახელმწიფოს მთავარი მამოძრავებელი ძალაა[143].

შესამჩნევი იყო გამსახურდიას განსხვავებული პოლიტიკა აფხაზებისა და ოსების მიმართ. აფხაზებს უფრო მეტ უფლებებს ანიჭებდა ავტონომიურობის სფეროში, ვიდრე ოსებს, რადგან თვლიდა, რომ აფხაზები ავტოქტონური ხალხი იყო, ხოლო ოსები არ წარმოადგენდნენ საქართველოს ძირძველ მოსახლეობას. სახეზე იყო ემოციური ნაციონალიზმი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აფხაზური და ოსური მინინაციონალიზმის პროვოცირებაში (რომელიც თავის მხრივ ინსპირირებული იყო კრემლის მიერ).

აღსანიშნავია, რომ ზვიად გამსახურდიას ეროვნულმა პროგრამამ ვერ ,,დაამუხრუჭა“ და ვერ შეაჩერა საქართველოს ტერიტორიული დეზინტეგრაცია და ეროვნულ-ეთნიკური კონფრონტაცია. [144]

ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროს თითქმის გაქრა ნაციონალისტური რიტორიკა. მისმა ხელისუფლებამ დემოკრატიული და მრავალეროვნული საზოგადოებისთვის კონსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოები შექმნა. 1997 წელს საქართველოს პასპორტებიდან ამოიღეს ეროვნულობის აღმნიშვნელი რეკვიზიტები; მოახდინეს ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა და გაერო-ს რასობრივი

[143] Mann, M., “The Dark Side of Democracy: Explaining Ethnic Cleansing”, Cambridge University Press; Cambridge , 2004 p.3.

[144] ,,პარალელი“, ,,კულტურულ-ცივილიზაციური და ეროვნული ერთიანობის პრობლემები განდგომილ რეგიონებთან“, გახოკიძე ჯ., სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2011, ISNN 0235-8417, გვ. 77.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის რატიფიცირება; შეიქმნა სახალხო დამცველის ინსტიტუტი - უმცირესობების უფლებების განხორციელების მონიტორინგისთვის; ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტი. შევარდნაძის იდეა ასიმეტრიული ფედერალიზმის შესახებ, დაწუნებულ იქნა პარლამენტარების მიერ, რომელთა აზრითაც, სწორედ საბჭოთა ფედერალიზმი იყო აფხაზური და ოსური მინინაციონალიზმის ჩამოყალიბების მიზეზი. შიდაპოლიტიკური სისუსტის გამო, შევარდნაძისთვის რთული იყო კონფლიქტურ რეგიონებთან ურთიერთობა, სისუსტე კი გამოიხატებოდა ქვეყანაში არსებულ მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაში, კორუფციაში, სახელმწიფო ინსტიტუტების გამოუცდელობაში, სახელმწიფოს არსთან დაკავშირებით კონსენსუსის არარსებობაში და ა.შ. ამასთან, არც საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ჰქონდა საქართველოს სერიოზული მხარდაჭერა (რითაც ხელი შეუწყვეს რუსეთის ყოფნას საქართველოში ,,მშვიდობის დამცველად“ საქართველოს ტერიტორიაზე), ვინაიდან თითქმის 70 წლის განმავლობაში იგი არ განიხილებოდა საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტად, რაც პირდაპირ აისახებოდა ქვეყნის საშინაო პოლიტიკაზე. ამ პერიოდში შემუშავდა ,,ბოდენის დოკუმენტი“, თუმცა იგი მიუღებელი აღმოჩნდა აფხაზური სეპარატისტული რეჟიმისთვის.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, იგი რევოლუციური გზით მოვიდა ხელსუფლებაში და მაშინვე ეროვნული სიმბოლოების განახლება დაიწყო. იგი ხმამაღლა აცხადებდა, რომ საქართველო მხოლოდ ქართველების კი არა, ყველა ეთნიკური უმცირესობის სახლი იყო. მიუხედავად ამისა, გამსახურდიას მსგავსად, იგი ხშირად ამახვილებდა ყურადღებას ქართველთა ისტორიულ დიდებაზე, გარკვეული დროის შემდეგ კი, ერთგვარი რევოლუციური ნაციონალიზმი ჩამოყალიბდა. სააკაშვილსაც ჰქონდა შემუშავებული სამხრეთ ოსეთის ფედერალური მოწყობის ჩარჩოები, თუმცა სეპარატისტებმა ის დაიწუნეს.

სააკაშვილი განსაკუთრებით გამოირჩეოდა ემოციური რიტორიკით. იგი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების პირობას დებდა; უარს აცხადებდა შეთანხმებაზე, რომელიც ქართულ, ოსურ და აფხაზურ მხარეებს

დაავალდებულებდა ომის განუახლებლობას. მისი პოლიტიკა გამაღიზიანებელი აღმოჩნდა მოსკოვისთვის და შედეგად 2008 წელს მივიღეთ ომი, რასაც რუსეთის მხრიდან სეპარატისტული რეჟიმების აღიარება მოჰყვა. ომის შემდეგ სააკაშვილმა შეცვალა რიტორიკა - შეარბილა და ომის მიზეზად სუსტი საშინაო პოლიტიკა დაასახელა, რომელიც გარეძალების მეშვეობით შიგნიდან ადვილად გატყდა.

ამდენად, სამივე პრეზიდენტი ნაციონალისტებად შეგვიძლია დავასახელოთ, ოღონდ განსხვავებული იდეებით იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ნაციონალიზმი და რა როლი აქვს მას სახელმწიფოს მშენებლობაში. გამსახურდია იცავდა კულტურული ასიმილაციის მოდელს, იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელ აქციებს იმ უმცირესობათა განტევების ვაცად ქცევისთვის იყენებდა, რომელთაც ასიმილაცია არ სურდათ, ხოლო დაშინებას, ,,ეროვნული ერთიანობის“ განსამტკიცებლად მიმართავდა. შევარდნაძე ეთნიკურ ჯგუფებს შერიგებისკენ მოუწოდებდა და ხაზს უსვამდა კულტურულ განსხვავებულობას და ინკლუზიურ მოქალაქეობას. სააკაშვილი კი ორივე წინაბორბედის ნარევია. [145]

ამდენად, როდესაც სეპარატისტები საუბრობენ ქართველთა მხრიდან ნეგატიურ დამოკიდებულებაზე (რომელიც, რა თქმა უნდა, გაზვიადებულია), უნდა გავიხედოთ წარსულისკენ და დავინახავთ იმ ნეგატიურ ელემენტებს, რომელსაც ქართული ნაციონალური მთავრობები ატარებდნენ ხოლმე. ეს აუცილებელია ობიექტურობის შესანარჩუნებლად, ამასთან არაფერი აქვს საერთო სეპარატისტების მიერ შეთხზულ მითებთან ქართველთა სისასტიკეებზე.

შიდადაპირისპირებები, გამოწვეული მინინაციონალიზმით, პირველ რიგში ურტყამს ქვეყნის საშინაო პოლიტიკას, იწვევს მის პარალიზებას. დანაწევრებული და სუსტი სახელმწიფო კი, ყოველთვის მიიზიდავს მისდამი მტრულად განწყობილ ქვეყნებს, თავიანთი მზაკვრული მიზნების განსახორციელებლად. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკა იყოს მტკიცედ განვითარებული, ვინაიდან იგი განსაზღვრავს ქვეყნის ეროვნულ

[145] ჯონსი, ს., „საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2013, გვ. 305.

ინტერესებს, ეს უკანასკნელი კი - საგარეო პოლიტიკის და ეროვნული უსაფრთხოების ძირითად მიმართულებებს.

ჩაღრმავებული ინტერვიუ ექსპერტებთან

კვლევის მიზანია იმის დადგენა და გაანალიზება, თუ რას ფიქრობენ ექსპერტები საქართველოში არსებული აფხაზური და ოსური მინი-ნაციონალიზმის როლზე ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განვითარებაში, ასევე, რა ინტერესები აქვს რუსეთის ფედერაციას კავკასიის რეგიონში, არსებობს თუ არა მომავალში ახალი დაპირისპირების რისკები და რა უნდა გავაკეთოთ ომის თავიდან ასაცილებლად.

კვლევის მიზნების განსახორციელებლად, ავირჩიეთ ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ. სამიზნე ჯგუფად შევარჩიეთ შესაბამისი დარგის ექსპერტები, რომელთა თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დამყარებული მოსაზრებები ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

ქვეყანაში და მსოფლიოში კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, რესპონდენტებთან ინტერვიუები ჩავწერეთ პლატფორმა ,,Zoom”-ის მეშვეობით. ჩაღრმავებული ინტერვიუს ჩასატარებლად შერჩეულ იქნა ოთხი ძირითადი კითხვა, ასევე დაისვა დამაზუსტებელი კითხვებიც. ინტერვიუს დასრულების შემდეგ აუდიოჩანაწერის შედეგად მიღებული ტექსტის დეტალური გაშიფრვის ე.წ. ტრანსკრიფციის ანალიზის საფუძველზე დავაფორმულირეთ კვლევის შედეგები.

საკვლევი შეკითხვები ჩამოვაყალიბეთ შემდეგნაირად:

1. თქვენი აზრით, რა როლს თამაშობს დღესდღეობით სეპარატისტულ რეგიონებში (რეჟიმებში) არსებული მინინაციონალიზმი საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში?
2. ხედავთ თუ არა რუსეთის როლს აფხაზეთსა და ,,სამხრეთ ოსეთში" სეპარატისტული ნაციონალიზმის გამოვლენაში და როგორ ფიქრობთ, დასაჯა თუ არა 2008 წელს რუსეთმა საქართველო თავისი პროდასავლური ორიენტაციის გამო?
3. რა მთავარ ხელშემშლელ ფაქტორებს დაასახელებდით საქართველოს ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ მიმავალ გზაზე?
4. სად უნდა გავავლოთ ოქროს ხაზი, რომ ავიცილოთ კიდევ ერთი აგრესია ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან და ამასთანავე, ვიყოთ დასავლური, პოლიარქიული სახელმწიფო?

ინტერვიუ პაატა ზაქარეიშვილთან (ჩაწერილია 2020 წლის მაისის თვეში)

პაატა ზაქარეიშვილი - პოლიტოლოგი, ექსპერტი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში (2012-2014 წწ.), ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის ხელმძღვანელი (2009-2012 წ.წ.), ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში სამხედრო ტყვეთა, უგზოუკვლოდ დაკარგულთა და კონფლიქტურ ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის კომისიის ხელმძღვანელი (1992-1997).

ინტერვიუ ზურაბ დავითაშვილთან (ჩაწერილია 2020 წლის მაისის თვეში)

ზურაბ დავითაშვილი - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი (2008-2009 წლებში).

ინტერვიუ ალექსანდრე რუსეცკისთან (ჩაწერილია 2020 წლის მაისის თვეში)

ალექსანდრე რუსეცკი - დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კავკასიის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ინტერვიუ ირაკლი ჩხაიძესთან (ჩაწერილია 2020 წლის მაისის თვეში)

ირაკლი ჩხაიძე - კულტურის კვლევათა დოქტორი, ასისტენტი პროფესორი.

....

სეპარატისტულ რეგიონებში (რეჟიმებში) არსებული მინინაციონალიზმის როლს - საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ექსპერტები უარყოფითად აფასებენ და ფიქრობენ, რომ იგი ქვეყანას შიგნიდან ხლეჩს და საუკეთესო შესაძლებლობას აძლევს მტერს, ისარგებლოს შიდადაპირისპირებით. ასევე, მათი აზრით, სწორედ ოკუპირებული ტერიტორიების შემოერთებაზე ზრუნვა უნდა იყოს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოსავალი წერტილი.

პაატა ზაქარეიშვილის აზრით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია და ის ოკუპირებული აქვს რუსეთს, ძლევამოსილ სახელმწიფოს, რომელსაც მთელი მსოფლიო უწევს ანგარიშს. ექსპერტის აზრით, კონტექსტიდან გამომდინარე, საშინაო საქმეებში უფრო მეტ გავლენას ახდენს მინინაციონალიზმი, ვიდრე საგარეოში. საგარეო კონტექსტიდან გამომდინარე, მთელი მსოფლიოს დემოკრატიული სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას (გამონაკლისია სირია, ვენესუელა, ნიკარაგუა, რომელთაც არანაირი ინტერესი არ გააჩნიათ ამ ტერიტორიებთან, მათ რუსეთთან აქვთ რაღაც ანგარიში).

მისი აზრით, საქართველოს საგარეო პრობლემები არ აქვს, არავის დაუყენებია პირობა, რომ თუ არ მოვაგვარებთ კონფლიქტებს, ნატო-ში არ მიგვიღებენ. ნატო და ევროკავშირი აკვირდებიან საქართველოში მიმდინარე კონფლიქტებს, მაგრამ იციან, რომ ეს არ შეიძლება იყოს პირობა საქართველოსთან თანამშრომლობისა, იმიტომ, რომ ამას ბოროტად იყენებს რუსეთი. შესაბამისად, პირველ პლანზე გამოდის საშინაო პოლიტიკა.

პაატა ზაქარეიშვილი საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე გვიყვება, რომ საქართველოში იყო და არის ერთგვარი ტაბუ გულახდილი და გულწრფელი საუბრისა, თუ როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები. პოლიტიკური აქტორები თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ ამ თემას. მაგ: ყველაზე მძიმე თემა, რაც მოხდა ბოლო პერიოდში და რამაც მოიტანა აღიარება, მოხდა ნაციონალური მოძრაობის დროს. მისი თქმით, ნაციონალურ მოძრაობას აქვს ეს კომპლექსი, გარკვეულწილად. ისინი გრძნობენ თავიანთ პასუხისმგებლობას, თუმცა ამას არ აღიარებენ. ამიტომ, ნებისმიერ მსჯელობას საზოგადოებაში იმის შესახებ, თუ რა მოხდა 2008 წელს, მათი მხრიდან ხდება ,,ტორპედირება'' პირდაპირი გაგებით და ყველა, ვინც ამ საკითხს განიხილავს, მოღალატეებად ცხადდებიან, საკითხიც გაჩერებულია და კონფლიქტის მოგვარება გახდა შიდაპოლიტიკური კონტექსტის მძევალი.

მისი თქმით, ,,მოუგვარებელი კონფლიქტები პირველ რიგში აზარალებს საშინაო პოლიტიკას და ეს იციან აფხაზებმა და ოსებმა. რუსეთს უფრო დაბეჩავებული, დაინვალიდებული საქართველო სჭირდება, რომელიც ვერ პასუხობს მთავარ გამოწვევებს. რუსეთის სიძლიერე კი საქართველოს სისუსტეშია“.

ზურაბ დავითაშვილის მოსაზრებით კი, სეპარატისტული რეჟიმების არსებობა განსაზღვრავს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რადგან ტერიტორიული მთლიანობა არის ქვეყნის სასიცოცხლო ეროვნული ინტერესი, რომლის გამოც ქვეყანა მზად არის წავიდეს უკიდურეს ზომებზეც კი, ამიტომ მისი საგარეო პოლიტიკაც იმისკენ უნდა იყოს მიმართული, რომ არ მოხდეს სეპარატისტული რეჟიმების ცნობა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებისა.

ექსპერტის აზრით, სწორედ ეს არის საფუძველი საქართველოს საგარეო პოლიტიკისა, აქედან უნდა გამოვდიოდეთ (ის, რომ ჩვენი პოლიტიკური ორიენტაცია დასავლეთია, ის, რომ ჩვენ გვსურს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, რათა უზრუნველყოფილი იყოს ჩვენი უსაფრთხოება, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა). მისი თქმით, მთელი საშინაო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ამ პრობლემის წინააღმდეგ და უნდა ვეცადოთ, რომ გავხდეთ მიმზიდველი სეპარატისტული მოსახლეობისთვის.

ირაკლი ჩხაიძის აზრით, მინინაციონალიზმი მნიშვნელოვნად განაპირობებს დეზინტეგრაციულ პროცესებს, რადგან იგი მკაფიოდ ანტიქართულია. საგარეო პოლიტიკაში კი ხელს უშლის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.

ალექსანდრე რუსეცკისთვის ტერმინი „სეპარატისტული რეგიონების“ გამოყენება მიუღებელია, ვინაიდან, ისინი, ვინც ამ ტერმინს გამოიყენებენ, თვლიან, რომ რეგიონების სრული მოსახლეობა სეპარატისტულად არის განწყობილი, რაც არ შეესაბამება რეალობას. მისი თქმით, ნებისმიერი ტიპის ეთნიკური ხასიათის ნაციონალიზმი პოლიეთნიკურ საზოგადოებაში - წარმოადგენს სისტემისთვის საფრთხეს. როგორც ქართული, ისე - არაქართული.

რუსეთის როლზე აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში სეპარატისტული ნაციონალიზმის გამოვლენაში, ექსპერტების დიდი ნაწილი თვლის, რომ სწორედ მოსკოვის აქტიური მუშაობის ნიადაგზე იქნა წაქეზებული სეპარატიზმი აღნიშნულ ტერიტორიებზე და შედეგმაც არ დააყოვნა. მათი თქმით, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, საქართველოს ტერიტორიაზე ჩადებულ იქნა შენელებული მოქმედების ნაღმი, რომელიც XX საუკუნის მიწურულიდან ამოქმედდა და შედეგად ორი თვითაღიარებული სუბიექტი მივიღეთ.

რაც შეეხება მოსაზრებას, დასაჯა თუ არა 2008 წლის აგვისტოს ომით რუსეთმა საქართველო თავისი პროდასავლური არჩევანის გამო, ექსპერტები თვლიან, რომ რუსეთმა იმოქმედა თავისი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მან საქართველო დასავლეთისთვის არამიმზიდველ ქვეყნად აქცია.

პაატა ზაქარეიშვილის აზრით, 2008 წელს რუსეთის ინტერვენციის დროს დასჯა კი არ იყო უპირატესი, არამედ ის, რომ საქართველო ყოფილიყო მიუღებელი და უხარისხო სახელმწიფო ნატო-სთვის. ექსპერტის აზრით, ევროკავშირი ჩვენგან ძალიან შორსაა - გეოგრაფიულადაც, მენტალობითაც და ღირებულებებითაც.

,,ჯერ ჩვენ არ ვართ ევროკავშირის სიმწიფის სახელმწიფო, ხოლო ნატო-ს სიმწიფის სახელმწიფო ვართ და ეს რეალობაა. რუსეთმაც კარგად იცის, რომ ნატო რეალობაა, ხოლო ევროკავშირი - არარეალობა. რუსეთი არის პრაგმატული სახელმწიფო, კბეჩს იმდენს, რამდენსაც გადაყლაპავს“, - აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი.

ექსპერტის აზრით, უკრაინაში მოსკოვმა დონბასი მიითვისა, რადგან იქ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი პრორუსია, ხოლო ხარკოვი - არა, რადგან იქ მოსახლეობის თითქმის ნახევარია პრორუსი. მისივე თქმით, რუსეთის მიზანი - საქართველოს ჩაშლოდა ნატო-ს პროექტი, მიღწეულია. 2008 წლის თებერვალში კი, მსოფლიოს მიერ კოსოვოს აღიარებამ და მაპ-ის არმიღებამ (2008 წ. ბუქარესტის სამიტზე) რუსეთს ხელ-ფეხი გაუხსნა.

ზურაბ დავითაშვილი მიიჩნევს, რომ აფხაზური და ოსური ნაციონალიზმი რუსული პროექტია; ქრონოლოგიურად განიხილავს აფხაზური და ოსური ნაციონალიზმის წარმოშობის ისტორიას. მისი თქმით, აფხაზური და ოსური ნაციონალიზმი ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის პერიოდში, როგორც ,,საჩუქარი“ ქართველების წინააღმდეგ.

რაც შეეხება 2008 წლის მოვლენებს, ექსპერტის აზრით, რუსეთმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ საქართველოს გაესროლა პირველს, როგორც ეს მოხდა 1992 წელს აფხაზეთში. მისი აზრით, რუსეთის მიზანი იყო - ჩაეთრია საქართველო კონფლიქტში და მსოფლიოსთვის ეჩვენებინა, რომ აქ არ უნდა გადიოდეს ნავთობსადენი, არ შეიძლება მისი მიღება ნატო-სა და ევროკავშირში, არ შეიძლება მისი ნდობა (იხ.დანართი 2.).

,,საქართველოს მთავრობის მისწრაფება დასავლეთისკენ, დაბლოკა, სამაგიერო გადაუხადა დასავლეთს კოსოვოს აღიარების გამო, მათ ერთგვარი სილა გააწნა. პუტინმა დაანახა მსოფლიოს, რომ ის არის ძალა, რომელიც არ დათმობს. ერთი, რაც დაკარგა რუსეთმა არის ის, რომ სამუდამოდ გადაიმტერა საქართველო. აფხაზეთისა და ,,სამხრეთ ოსეთის" აღიარების შემდეგ აღარ დარჩა ხელში „კოზირი" საქართველოზე ზეწოლის განსახორციელებლად", - აღნიშნავს ზურაბ დავითაშვილი.

ალექსანდრე რუსეცკის მოსაზრება კი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასეთია: „2008 წელს რუსეთმა გააკეთა ის, რაც მას სჭირდებოდა, იმიტომ, რომ გეოპოლიტიკურ დონეზე ეს არის მისი ბრძოლა ნატო-სთან კავკასიაში".

მნიშვნელოვანია ექსპერტთა მოსაზრება იმ მთავარ ხელშემშლელ ფაქტორებზე, რომლებსაც საქართველო აწყდება ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ მიმავალ გზაზე. მათი მოსაზრებით, მთავარი პრობლემებია: მოუმწიფებელი დემოკრატია, პოლიტიკური გახლეჩილობა, ტერიტორიული კონფლიქტები, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი, თავად ნატო-ს პრობლემა, რომელსაც არ უნდა ურთიერთობის გაფუჭება რუსეთთან და ა.შ. მხოლოდ ალექსანდრე რუსეცკი მიიჩნევს, რომ საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირების იდეის დეკლარირება საფრთხის შემცველი და ქვეყნისთვის დამანგრეველია.

რაც შეეხება იმას, თუ სად უნდა გავავლოთ ოქროს ხაზი, რომ თავიდან ავიცილოთ კიდევ ერთი აგრესია ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან და ამასთანავე, ვიყოთ დასავლური, პოლიარქიული სახელმწიფო, ექსპერტთა ნაწილის მოსაზრებით, გამოსავალი დემოკრატიული განვითარება და დასავლური კურსის შენარჩუნებაა. ალექსანდრე რუსეცკის მოსაზრებით კი, ჩრდილოეთში მეგობრები უნდა ვეძებოთ და მხოლოდ აგრესორად არ უნდა წარმოვადგინოთ.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ,,სამხრეთ ოსეთში“ არსებული მინინაციონალიზმი უარყოფითად მოქმედებს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. იგი განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგს და ძირითად მიმართულებებს, მასზეა დამოკიდებული ქვეყნის აწმყო და მომავალი.

მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომის საკვლევ კითხვებზე გაცემული პასუხების შეჯამებით, შესაძლებელია კონკრეტული დასკვნების გამოტანა და რეკომენდაციების შემუშავება.

ჩვენ დავინახეთ, რომ ნაციონალიზმი კვლავაც რჩება აქტუალურ საკითხად მსოფლიო საზოგადოებაში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვინაიდან არ არსებობს ერი ნაციონალური გრძნობების გარეშე. ნაციონალიზმი გამოირჩევა თავისი დუალისტური ბუნებით, იგი არის როგორც გამაერთიანებელი, ისე გამხლეჩი ძალა.

ნაციონალიზმი ბოროტებაა მაშინ, როდესაც იგი ქადაგებს ერის გამორჩეულობასა და უპირატესობას, სხვა ეროვნებების სიძულვილს, საზოგადოებას ამზადებს ომისთვის, ავლენს ტერიტორიულ პრეტენზიებს, არის არატოლერანტული და შეუწყნარებელი, ხოლო სიკეთეა მაშინ, როდესაც ხელს უწყობს ხალხთა გაერთიანებას - საერთო იდეის ირგვლივ და ერი-სახელმწიფოს შექმნისკენ უბიძგებს, ვინაიდან, ნაციონალიზმი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მშენებლობის ერთადერთი ლეგიტიმური ძალაა.

როგორც დავინახეთ, ზემოაღნიშნული კვლევის საგანი იყო მინინაციონალიზმი, იგივე სეპარატისტული ნაციონალიზმი, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოების გახლეჩასა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევაზე. იგი ვლინდება მაშინ, როცა:

- კონკრეტული ეთნიკური ჯგუფი უკმაყოფილოა ცენტრალური მმართველობით.
- კონკრეტული ეთნიკური ჯგუფი განვითარების იმგვარ ნიშნულს აღწევს, როცა თვლის, რომ საკუთარი სახელმწიფო უნდა ჰქონდეს და არ იყოს სხვის მიერ მართული.
- არსებობს ეთნიკური თვითმყოფადობის განადგურების შიში.
- უმცირესობაში მყოფი ეთნიკური ჯგუფი განიცდის ჩაგვრას ტიტულარული ერის მხრიდან.
- კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფს გააჩნია ,,რომანტიკული" გრძნობები გარეძალების მიმართ და ა.შ.

ჩვენ დავინახეთ, რომ აფხაზეთისა და ,,სამხრეთ ოსეთის" სეპარატისტული რეჟიმები განსაზღვრავენ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური დღის წესრიგს და ძირითად მიმართულებებს. ამავდროულად, ისინი წარმოადგენენ საქართველოსადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის მთავარ დასაყრდენს, რომელსაც თავის მხრივ, კონკრეტული გეოპოლიტიკური ინტერესები გააჩნია კავკასიის რეგიონში.

საქართველოში ოსური და აფხაზური მინინაციონალიზმის მთავარი წამქეზებელი ძალა რუსეთის ფედერაციაა. სწორედ მის ინტერესებში შედის სუსტი და დაყოფილი საქართველოს არსებობა, ვინაიდან დასუსტებული მეზობელი სახელმწიფოს (ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის) კონტროლი უფრო მარტივია.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ აფხაზური და ოსური მინინაციონალიზმი თავიდან ბოლომდე რუსული პროექტებია - საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს იდეის წინააღმდეგ. აფხაზებისა და ოსებისთვის მიუღებელია ყოველგვარი ქართული, მათი ნაციონალური პროექტები, პრინციპულად განსხვავდება ქართული ნაციონალური პროექტისგან. თავის მხრივ, აფხაზური და ოსური მინინაციონალიზმებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ,,სამხრეთ ოსეთი" უალტერნატივო ერთგულებას იჩენს რუსეთის ფედერაციის მიმართ და დღემდე სურს, იყოს მისი ნაწილი, ხოლო აფხაზ სეპარატისტებს სურთ საერთაშორისო აღიარება აფხაზეთისა, როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოსი.

საინტერესო იყო რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომამდე არსებული მდგომარეობის ქრონოლოგიურად განხილვა და გაანალიზება. ყოველივე ცხადყოფდა, რომ კონფლიქტის ესკალაცია გარდაუვალი იყო (იგულისხმება სამხედრო მზადყოფნა და ომისთვის მზადება). ეს იყო ომი - თავისი მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური შედეგებით, ოკუპაცია კი გრძელდება ,,ბორდერიზაციის" სახით.

აღნიშნული დაპირისპირება, იყო ინფორმაციული, ინსტიტუციონალური, ღირებულებითი, ურთიერთობითი და ინტერესთა კონფლიქტი. ვინაიდან, ომამდე და ომის დროსაც ადგილი ჰქონდა: 1. ინფორმაციის დამახინჯებას; 2. სეპარატისტული რეჟიმების ,,ადმინისტრაციულ ორგანოებსა" და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის კომუნიკაციის არარსებობას (დღესაც არ არსებობს); 3. მხარეების განსხვავებულ შეხედულებებს იმის მიმართ, თუ რა არის სამართლიანი და რა უსამართლო, მორალური და ამორალური; 4. მათი პოლიტიკური მრწამსის, ეროვნული ინტერესებისა და ნაციონალური პროექტების ერთმანეთისგან განსხვავებას; 5. აფხაზების და ოსების მიერ დაწერილ ისტორიებს, სადაც ქართველებს ბოროტმოქმედებად წარმოაჩენენ.

საინტერესო იყო ზეამოაღნიშნული ომის განხილვა რობერტ არტის თეორიის მიხედვით - ძალის უპირატესობის კონტექსტში. სახელმწიფოები, თავიანთი მიზნების მისაღწევად, თავისი დიდი ფასის მიუხედავად, ძალადობას მაინც ხშირად მიმართავენ. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომში, მხარეთა განცხადებით, ძალა გამოყენებულ იქნა თავდაცვის მოტივით. ეს იყო დიდი და პატარა სახელმწიფოს დაპირისპირება, სადაც პატარა სახელმწიფოს მარცხი გარდაუვალი იყო.

აღნიშნულმა ომმა მნიშვნელოვნად იმოქმედა საქართველოს მომავალზე. რამდენიმე წლით უკან დახია სახელმწიფოს ევროპული და ევროატლანტიკური პერსპექტივა, შეუქმნა არასტაბილური ქვეყნის იმიჯი და შესაბამისად, ნაკლებად მიმზიდველი გახადა უცხოური ინვესტიციებისთვის.

ომის შემდგომ საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. 2008 წლის 26 აგვისტოს კრემლმა სცნო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ,,დამოუკიდებლობა", რითაც უგულებელყო საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. მას არ სურდა, საქართველო ევროპისთვის ენერგორესურსების ალტერნატიული მიმწოდებელი ყოფილიყო. იგი ვერ შეეგუა იმ გარემოებას, რომ რუსეთის გვერდის ავლით, კასპიისპირეთიდან ენერგორესურსების ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტები განვითარდა. ომის შემდეგ, მნიშვნელოვნად შეფერხდა საქართველოში საერთაშორისო პროექტების განხორციელება, ვინაიდან ენერგორესურსების მიწოდებისთვის, პირველ რიგში, სტაბილური გარემოს შექმნაა საჭირო, რათა კონკრეტულმა პროდუქციამ უსაფრთხოდ მიაღწიოს ადრესატამდე. მოსკოვის მიზანი საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობა და სამუდამოდ მის გეოპოლიტიკურ არეალში დატოვებაა, შესაბამისად, ნებისმიერ დროს არსებობს აგრესიის გამეორების შანსი.

როგორც ვხედავთ, ომის შემდეგ ოკუპაცია გრძელდება ,,ბორდერიზაციის" სახით, რაც ემსახურება რუსეთის სტრატეგიას - მოარღვიოს ქვეყნის სუვერენიტეტი და ხელი შეუშალოს დამოუკიდებელი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის წარმოებას. სეპარატისტები ყოველდღიურად იტაცებენ ქართულ მიწებს. ამას თან ახლავს ,,საზღვრის" გადაკვეთის ბრალდებით საქართველოს მოქალაქეების ყოველდღიური დაკავება, გატაცება და წამება.

საინტერესო იყო საქართველოს ევროკავშირთან და ნატო-სთან ურთიერთობების განხილვა და გაანალიზება. ისეთი პატარა ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა, ძალზედ მნიშვნელოვანია, იყოს აღნიშნული ორგანიზაციების წევრი, რაც ავტომატურად ნიშნავს უფრო მეტი განვითარების შესაძლებლობას და უსაფრთხოების გარანტიებს. საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი არის პროდასავლური და მისი მიზანია ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანება. იგი აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა პროგრამაში, რისი მიზანიც ევროკავშირისა და ნატო-ს სტანდარტებთან დაახლოებაა. თუმცა,

აღნიშნულ გზაზე, არაერთ წინააღმდეგობას აწყდება, რომელთა გადალახვაც, არსებული სიტუაციის ფონზე საკმაოდ რთულია.

ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე, საქართველოსთვის უამრავი ხელშემშლელი ფაქტორი არსებობს, მათ შორისაა:

- რუსეთი, რომლისთვისაც მიუღებელია ნატო-ს გაფართოება აღმოსავლეთით. მოსკოვი, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე, დღემდე ვერ ეგუება გავლენის სფეროების დაკარგვას ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე. ნატო მისთვის წარმოადგენს მთავარ საფრთხეს, შესაბამისად, იგი ეწინააღმდეგება აღნიშნული ორგანიზაციის სამხედრო ბაზების განლაგებას მის საზღვრებთან ახლოს. რუსეთის ფედერაციას აქვს თავისი კონკრეტული გეოპოლიტიკური ინტერესი კავკასიაში და იგი არ დაუშვებს, სხვა, განსაკუთრებით მისთვის მიუღებელი სახელმწიფოს გავლენის ზრდას აღნიშნულ რეგიონში. იგი აქტიურად იყენებს ,,რბილ ძალას“, რომლის მიზანია კრემლის რეჟიმის მხარდამჭერი ნარატივების შექმნა და გავრცელება. რუსეთი არ დაუშვებს, რომ საქართველო ევროპისთვის ენერგორესურსების მიწოდების ალტერნატიული გზა გახდეს და მეტიც, მისი გვერდის ავლით მოხდეს ეს ყველაფერი. სწორედ ამიტომ, მის ინტერესებში შედის, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წინაშე არსებული პოტენციური საფრთხეების გააქტიურება და მხარდაჭერა.
- ნატო-სა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით. შედარებით უფრო ძველი ევროპული ქვეყნები ნატო-ს გაფართოებას დიდი ენთუზიაზმით არ უყურებენ, მათი აზრით, ალიანსი ვერ აიტანს სწრაფ გაფართოებას. სკანდინავიის ზოგიერთი ქვეყანა მიიჩნევს, რომ ნატო ნეიტრალური და ობიექტური უნდა იყოს, რაც ნიშნავს, რომ თუკი რომელიმე სახელმწიფო დააკმაყოფილებს პირობებს, იგი უნდა გაწევრიანდეს ალიანსში, სახელმწიფოთა ნაწილი კი, ამერიკის

შეერთებული შტატების მეთაურობით, სწრაფი გაფართოების მომხრენი არიან. იგივე სიტუაციაა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორისაც, ისინი არაერთსულოვანნი არიან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, ისინი აცნობიერებენ, რომ საქართველოს ორგანიზაციაში გაწევრიანებით, უპირისპირდებიან მოსკოვს, რომელთანაც, ბევრ მათგანს, გარკვეული სახის ეკონომიკური ურთიერთობები აქვთ. მათთვის ზედმეტი ,,თავსატეხია'' დიდი საშინაო პოლიტიკური პრობლემების მქონე პატარა სახელმწიფოს მიღება. შესაბამისად, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებში საქართველოს გაწევრიანების საკითხი, უბრალოდ, პოლიტიკური ნების საკითხია.

- ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის ილუზია, თითქოს შიდაკონფლიქტების მოგვარებაში ნატო დაგვეხმარება. ნატო, თავის წევრებს ეხმარება საგარეო აგრესიისგან დაცვაში და არა შიდაკონფლიქტების მოგვარებაში.
- ქართული სახელმწიფო ინსტიტუტების მოუმწიფებლობა, რაც პირდაპირ აისახება გადაწყვეტილების მიღების უნარზე, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის წარმოებაზე. საქართველოში, ჯერ კიდევ მიმდინარეობს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა. ქვეყანა კვლავ ჰიბრიდული რეჟიმების რიცხვს განეკუთვნება, რითაც აიხსნება ქართული დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტე. ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანების წინაპირობა კი სახელმწიფო ინსტიტუტებში დემოკრატიული რეფორმების გატარებაა. საქართველოში კი აღნიშნული პროცესი ჯერ არ დასრულებულა.
- სეპარატისტული რეჟიმები და მათგან წამოსული მინინაციონალიზმი, არის ერთ-ერთი მთავარი ხელშემშლელი ფაქტორი საქართველოსთვის ნატო-სა და ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე. ისინი საქართველოს არასტაბილური ქვეყნის იმიჯს უქმნიან, რაც პირდაპირ აისახება ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ განვითარებაზე. აფხაზეთი

და ,,სამხრეთ ოსეთი“ მოსკოვისთვის მანიპულაციის მთავარი იარაღია საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. იგი ხელს უწყობს ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირების გამწვავებასა და კონფლიქტის გაღვივებას. როგორც კვლევაში დავინახეთ, მოსკოვმა აფხაზური და ოსური მინინაციონალიზმის სახით საქართველოში ჩადო ,,ფარული ნაღმი“, რომლის ამოქმედებასაც მაშინ შეუწყო ხელი, როცა ამის ,,დრო მოვიდა“.

საერთაშორისო ორგანიზაციების პრეროგატივა ქვეყნების საშინაო კონფლიქტების მოგვარება არ არის, ამიტომ, საზოგადოებამ არ უნდა შეიქმნას ილუზია, თითქოს, ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანებით მოგვარდება ყველა ის პრობლემა, რაც რეალურად მხოლოდ ქვეყნის მიერაა მოსაგვარებელი. ასეთ დროს, მნიშვნელოვანია ინფორმაციის სწორად მიწოდება და საკითხთა დიფერენციაცია, თუ ვის კომპეტენციაში შედის ამა თუ იმ საკითხის მოგვარება, რა პოზიტიური (ასევე ნეგატიური) შედეგები შეიძლება მოჰყვეს კონკრეტული საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობას, რატომ არის მნიშვნელოვანი საქართველოსთვის (როგორც პატარა ქვეყნისთვის) ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანება და ა.შ.

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილია დარგის ექსპერტებთან ინტერვიუები და მათი მოსაზრებების გაზიარება. ზოგიერთი მათგანი ცალსახად აღნიშნავს, რომ ,,გაყინული კონფლიქტების“ მოსაგვარებლად საჭიროა მეტი მონდომება, გულწრფელი საუბარი და კონსენსუსის მიღწევის სურვილი, და არა დაუსრულებელი ურთიერთბრალდებები. მათი მოსაზრებით, სეპარატისტული რეჟიმები განსაზღვრავენ ქვეყნის ყოველდღიურობას და ეს უნდა იყოს ნებისმიერი ხელისუფლების მთავარი საზრუნავი და ამოსავალი წერტილი მანამ, სანამ არ აღდგება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. მნიშვნელოვანი იყო მათი მოსაზრება 2008 წლის აგვისტოს ომზე, რომლის თანახმადაც, მოსკოვმა საქართველო დასაჯა თავისი პროდასავლური ორიენტაციის გამო და კიდევ უფრო დააშორა აფხაზებსა და ოსებს, რომლებიც თავის მხრივ, უფრო მეტად დაუახლოვდნენ მოსკოვს.

ამგვარად, კვლევამ დაადასტურა ჩვენი დისერტაციის ჰიპოთეზა და პასუხები გასცა საკვლევ კითხვებს. შესაბამისად, საშუალება გვაქვს, ჩამოვაყალიბოთ კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების წარმართვისას:

- უნდა განვსაზღვროთ, ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული მინი-ნაციონალიზმი ნამდვილად არის კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის რეალურ პრობლემაზე დაფუძნებული პროტესტის შედეგი, თუ პროვოცირებულია გარეძალების მიერ;
- სახელმწიფოს მთავარი მიზანი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების თავიდან არიდება და ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა იყოს, რაც უნდა ეფუძნებოდეს თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს;
- როდესაც გარეძალების მიერ კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფში სეპარატისტული მოძრაობების წაქეზება თვალსაჩინოა, ტიტულარული ერი (ან ხელისუფლება) ,,ცეცხლზე ნავთს არ უნდა ასხამდეს". ასეთ დროს, აუცილებელია ქვეყნის შიგნით მოლაპარაკებისთვის ღიაობა და კეთილგანწყობა;
- როდესაც ქვეყანას არ აქვს რესურსი - ძალისმიერი მეთოდებით დაიბრუნოს ოკუპირებული ტერიტორიები, უნდა იქონიოს მათთან კომუნიკაცია - ნებისმიერი ფორმით;
- თუკი არსებობს რეალური სურვილი კონფლიქტების მოგვარებისა, მნიშვნელოვანია იმ შეცდომების აღიარება, რომლებიც დაშვებულ იქნა წარსულში მხარეთა მიერ;
- ვინაიდან საფრთხეები დროსთან ერთად იცვლება, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ხელისუფლების მიერ არსებული საფრთხეებისა და თავისი შესაძლებლობების სწორად აღქმას, ყველაზე მნიშვნელოვანი ინტერესების პრიორიტერიზაციას, სტრატეგიული გეგმის შედგენასა და ტაქტიკური ამოცანების ჩამოყალიბებას, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს უსაფრთხოების მთავარ გამოწვევებს;

- ოკუპირებული ტერიტორიები მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის განვითარებას, შესაბამისად, ნებისმიერი ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ამ პრობლემის მოგვარებისკენ;
- საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეებში მიმავალ გზაზე, მნიშვნელოვანია შემაფერხებელი გარემოებების სწორად განსაზღვრა, გაანალიზება და შეფასება;
- ხელისუფალთა მიერ, საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს, გასათვალისწინებელია ყველა იმ სახელმწიფოთა ფაქტორი, რომელთაც რეგიონში კონკრეტული გეოპოლიტიკური ინტერესები გააჩნიათ;
- პატარა სახელმწიფო, დიდი საშინაო პრობლემებით, აქტიურად უნდა მუშაობდეს დიპლომატიური კუთხით, რაც პირდაპირკავშირშია გადარჩენასთან და საერთაშორისო სისტემის სრულუფლებიან წევრად დარჩენასთან;
- საქართველო-რუსეთის ურთიერთობების დარეგულირება პირდაპირკავშირშია რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობების დარეგულირებასთან;

აღნიშნულ თემაზე მუშაობა იყო საინტერესო და მნიშვნელოვანი, რადგან ჩვენ ყოველდღიურად ვადევნებთ თვალს, თუ როგორ მოქმედებს სეპარატისტული რეჟიმების არსებობა საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, თუ როგორ მანიპულირებს აფხაზური და ოსური მინინაციონალიზმით მოსკოვი და იყენებს საქართველოს წინააღმდეგ. ყოველივე ამის გამო, კვლავ დაუძლეველი რჩება ერთ ერად ჩამოყალიბების პრობლემა. სეპარატისტული ნაციონალიზმი, არის პატარა ქვეყნის დიდი საშინაო პრობლემა, რომელიც განსაზღვრავს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ მიმართულებებს. მთავარი კი ისაა, რომ საქართველომ არ უნდა გადაუხვიოს პროდასავლური კურსიდან (მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის მხრიდან აგრესიის რისკი ისევ მაღალია); გააძლიეროს დემოკრატიული ინსტიტუტები; იზრუნოს იმაზე, რომ უფრო მეტად მიმზიდველი გახდეს აფხაზეთისა და ,,სამხრეთ ოსეთისთვის“; გაითვალისწინოს რუსეთის ფაქტორი და

როლი კავკასიის რეგიონში და შესაბამისად დაგეგმოს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა. კონფლიქტების მოსაგვარებლად და კონსენსუსის მისაღწევად კი, აუცილებელია შემუშავდეს კონკრეტული გეგმა, სადაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი გარეძალების როლი და მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული მხარეთა ინტერესები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანდერსონი ბ., ,,წარმოსახვითი საზოგადოებანი: მოსაზრებანი ნაციონალიზმის წარმოშობისა და გავრცელების შესახებ“, ,,ენა და კულტურა”, თბილისი, 2003.
2. ასმუსი რ. დ., ,,მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, საქართველო, რუსეთი და დასავლეთის მომავალი“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010.
3. არტი რ., ჯერვისი რ., ,,საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011.
4. გელნერი ე., ,,ერები და ნაციონალიზმი“, ,,ნეკერი“, თბილისი, 2003.
5. დავითაშვილი ზ., ,,ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“, ,,მეცნიერება“, თბილისი, 2003.
6. ვახტანგაშვილი ს. (მ), ,,საქართველოში ოსების განსახლების ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2020.
7. კაკაჩია კ., კახიშვილი ლ., ლარსენი ჯ., გრიგალაშვილი მ., ,,ბორდერიზაცია საქართველოში: რუსეთის პოლიტიკის შეკავების სტრატეგია“, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2017.
8. კვესელავა ი., შუბითიძე ვ., ,,პოლიტოლოგია“ (პოლიტიკური თეორია და პრაქტიკა), ,,ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი 2009.
9. კვიციანი ჯ., ,,აფხაზეთის კონფლიქტის მიზეზები პოსტსაბჭოურ ისტორიოგრაფიაში“, კავკასიოლოგიური ძიებანი, N3, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012.
10. კვარაცხელია ბ., ,,რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, ,,სამხრეთ ოსეთი“) და საერთაშორისო თანამეგობრობა“, ,,უნივერსალი“, თბილისი, 2015.
11. მამრაძე პ., ,,ავანტიურა 08.08.08.“, ,,პალიტრა“, თბილისი, 2012.

12. მალაშხია შ., ,,კონფლიქტების ანატომია“, საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 2011.
13. პაპასქირი ზ., ,,ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან“, ნაკვეთი I, უძველესი დროიდან 1917 წლამდე, თ.ს.უ. გამომცემლობა, თბილისი, 2003.
14. პაპასქირი ზ., ,,ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან“, ნაკვეთი II, 1917-1993, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა, თბილისი, 2007.
15. რონდელი ა., ,,საერთაშორისო ურთიერთობები“, მესამე განახლებული გამოცემა, ,,ნეკერი“, თბილისი, 2006.
16. რუსეცკი ა., „მეტამშვიდობის ლექსიკონი“ - საკვანძო სიტყვები და ძირითადი ტერმინები, შოთა რუსთაველის მეცნიერების ფონდის დოქტორანტთა მხარდამჭერი პროექტის ჩარჩო, თბილისი, 2020.
17. როგავა გ., ,,აფხაზები და აფხაზეთი“, საისტორიო ეტიუდები, ,,მერიდიანი“ , თბილისი, 2014.
18. სენარკლენი პ. დ., არიფენი ი., ,,საერთაშორისო პოლიტიკა თანამედროვე თეორიები და ამოცანები“, მეხუთე გამოცემა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014.
19. სონღულაშვილი ა., ,,სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?!“, ,,უნივერსალი“,თბილისი, 2009.
20. სონღულაშვილი ნ., ,,საბჭოთა რეჟიმი და ქართული ეროვნული იდეა (1921-1991)“, ,,უნივერსალი“, თბილისი, 2018.
21. სმითი ე. დ., ,,ნაციონალური იდენტობა'', ,,ლოგოს პრესი“, თბილისი, 2008.
22. სანიკიძე გ., კიღურაძე ნ., ,,თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები“ მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, ,,მერიდიანი“, თბილისი, 2001.
23. ფიშერი ს., ლუდინი ჯ., და სხვ., ,,კონფლიქტზე მუშაობა: უნარ-ჩვევები და სტრატეგიები'', მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 2000.

24. ჩიტაძე ნ., ,,პოლიტოლოგია“, შ.პ.ს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016.
25. ჩიტაძე ნ., ,, გეოპოლიტიკა“, ,,უნივერსალი“, თბილისი, 2011.
26. ჩიტაძე ნ., ,,ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“, NATO/OTAN 2005 საქართველო ნატო-ში, თბილისი, 2008.
27. ხორავა ბ., ,,აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა'', ,,არტანუჯი“, თბილისი, 2004.
28. ხუციშვილი გ., ,,როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები (1991-2005)“, წიგნი I, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN), თბილისი, 2016.
29. წურწუმია-ზურაბაშვილი ა., ,,ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა: საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა ევროპული არჩევანის და დემოკრატიზაციის პერსპექტივები“, პოლიტიკის დოკუმენტი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, თბილისი, 05. 2016 წ.
30. ჯოჯუა დ., ,,სოხუმის დაცემა'', სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014.
31. ჯოჯუა დ., ,,აფხაზეთი 1938-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები'', სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2009.
32. ჯონსი ს., „საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2013.
33. ჯორბენაძე რ., ,,პოლიტიკური კონფლიქტების მართვა'', ,,მეცნიერება“, თბილისი, 2001.
34. ჯოჯუა დ., ,,ქართული ირედენტიზმის ისტორიიდან“, ,,უნივერსალი“, თბილისი, 2009.
35. ,,საქართველოში მომხდარ კონფლიქტებთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია“, ,,ჰაინრიხ ბიოლის ფონდი“, ტომი I, II, III, ,,ჰაინრიხ ბიოლის ფონდი“, თბილისი, 2009.

36. ,,ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები», 1(14), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ISSN 1512-3154, ,,უნივერსალი“, თბილისი.2014.
37. ,,პარალელი“, სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი, ISNN 0235-8417, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2011.
38. ,,ერთი საზოგადოება, მრავალი ეთნოსი (ეთნიკური მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში)“, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 2003.
39. მოკლე პოლიტიკური ლექსიკონი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ,,მეცნიერება“, თბილისი 1986.
40. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს დამფუძნებელი კრება, 21.02.1921;
41. ,,საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის სახელმწიფო-სამართლებრივი წყობის შესახებ'', საქართველოს რესპუბლიკა, N245 (524), სამშაბათი, 1 დეკემბერი, 1992.
42. ,,საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების სამართლებრივი სტატუსი: წარსული, აწმყო, მომავალი“, ჩიტაძე ნ., შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 10.06.2011.
43. ,,სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება, საქართველო ,,ვარდების რევოლუციის'' შემდეგ“, ბრუნო კოპიტერსის და რობერტ ლეგვოლდის რედაქციით, ჰუმანიტარული და ზუსტი მეცნიერებების ამერიკული აკადემია, თბილისი 2006.
44. პაპასქირი ზ., ,,მითი ქართველთა მხრიდან აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალობის მოშლის ე.წ. “მცდელობის“ შესახებ XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულსა და 40-იან წლებში'', მატიანე,https://matiane.wordpress.com/2010/02/08/abkhazassimilationmyt/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.05.2020.
45. გურული ვ., ,,საბჭოთა კავშირის დაშლა“, წმ.ანდრიას ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, 2007, https://sangu.ge/images/vguruli/14sov.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.06.2020.

46. ,,ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზების, დინამიკის, გადაწყვეტის გზების ძიებისა და სავარაუდო მიმართულებების შესახებ“, ღია საზოგადოება-საქართველო, თბილისი, 2005, N1.
47. ,,2003 წლის მსოფლიო ანგარიში“, საქართველო, მოვლენათა განვითარება ადამიანის უფლებათა სფეროში, Human Rights Watch, https://www.hrw.org/legacy/georgian/pdfs/reports/2003/wr2003.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.06.2020.
48. ცხვიტავა გ., ,,ტერორიზმი - გამოწვევები ოკუპირებული ტერიტორიებიდან“, 23.05.2019,https://1tv.ge/video/terorizmi-gamowvevebi-okupirebuli-teritoriebidan/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.06.2020.
49. მაკფარლეინი ს. ნ., ,,საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება ", Chatham House, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისისა და ოქსფორდის უნივერსიტეტი, რუსეთისა და ევრაზიის პროგრამა, პროგრამული სტატია 2012/01, http://css.ge/wpcontent/uploads/2019/07/neil_security_geo.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.06.2020.
50. ,,საქართველოს პარლამენტის დადგენილება, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების შესახებ“, 10.03.2005, https://matsne.gov.ge/ka/document/view/42862?publication=0, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09.06.2020.
51. საქართველოს პრეზიდენტის - მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე, 26.01.2005. http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News?p=2775&i=1 -უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.06.2020.
52. წამალაშვილი ე., ,,გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს ეწვია აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით გერმანიის მიერ შემუშავებული წინადადების განსახილველად“, რადიო თავისუფლება, 17.07.2008, https://www.radiotavisupleba.ge/a/1558615.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09.06.2020.

53. ,,საქართველოში რუსეთის აგრესიის ქრონოლოგია“, საქართველოს მთავრობის დოკუმენტი, თბილისი, 21.09.2008, http://www.parliament.ge/files/63_21224_558517_qronologia_gasworebuli.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.05.2020.
54. ,,ინფორმაცია 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ“, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 07.08.2015, https://idfi.ge/ge/information-about-war-between-russia-georgia-in-august-2008, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.05.2020.
55. ,,საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია" https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.03.2020.
56. პატარაია თ., ,,ენერგოტრანზიტის და უსაფრთხოების ასიმეტრია სამხრეთ კავკასიაში: გზა რუსეთსა და ევროკავშირს შორის“ ; Heinrich Böll Stiftung South Caucasus,https://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2015/03/energy_geo-final.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.03.2020.
57. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.03.2020.
58. ,,რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ დაკავებული საქართველოს მოქალაქეები 2009-2015“, 21.01.2016, IDFI (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი), https://idfi.ge/ge/georgian-citizens-detained-by-russian-occupational-troops-in-2015, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.03.2020.
59. ,,საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები და სამომავლო პერსპექტივები“, პოლიტიკის დოკუმენტი, საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი, 2017.
60. საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, ეფექტური კომუნიკაციისთვის, http://old.infocenter.gov.ge/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.03.2020.

61. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, https://mfa.gov.ge/News/tbilisshi-gamartuli-natos-saparlamento-asambleis-r.aspx?CatID=5, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.03.2020.
62. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, ,,საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2008 წლის 5 იანვრის პლებისციტის შედეგების შემაჯამებელი ოქმი", 15.03.2008, https://cesko.ge/geo/list/show/1167-saqartvelos-centraluri-saarchevno-komisiis-2008-wlis-5-ianvris, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.05.2020.
63. საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2019 წლის აპრილის გამოკითხვის შედეგები,NDI,https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_April_2019_Public_Political%20Poll_GEO_Final.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.06.2020.
64. თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, https://mod.gov.ge/uploads/public/strtegiebi_kocefciebi/SDR_17-20.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.05.2020.
65. ,,ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის დამტკიცების თაობაზე", საქართველოს მთავრობის განკარგულება N765, 13.04.2017, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3650131?publication=0. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.05.2020.
66. ,,საქართველოს შეცვლილი საზღვრები ოკუპაციის შემდეგ", ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, IDFI, 26.10.2015, https://idfi.ge/ge/changed-borders-of-georgia-after-occupation, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.05.2020.
67. საქართველოს მთავრობა, ,,სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ, ჩართულობა თანამშრომლობის გზით", 2010, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2251491?publication=0, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.05.2020.

68. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, https://smr.gov.ge/index.php?/FileList.aspx უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.05.2020.
69. ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, https://eeas.europa.eu/delegations/georgia/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.05.2020.
70. Smith A. D., ,,The Ethnic Origins of Nations", ,,Blackwell Publishing", USA, 2005;
71. Cornell S. E. & Starr S.F. , ,,The Guns of August 2008, Russia's War in Georgia", ,,Routledger", London and New York, 2015.
72. Cornell S. E., ,,Autonomy and Conflict, Ethnoterritoriality and Separatism in the South Caucasus – Cases in Georgia", Dissertation for the Degree of Doctor in Philosophy in Peace and Conflict Research, Uppsala University, Uppsala, 2002.
73. Buzan B., ,,People, States and Fear", *(*The National Security Problem in International Relations), Department of International Studies University of Warwick, Great Britain, 1983.
74. Ernst H. B., ,,Nationalism, Liberalism and Progress" , Vol.2, The Dismal Fate of new Nations, Cornell University Press, 2000.
75. Carlton H. J. H., ,,Nationalism: A Religion", The Macmillan Company, New York, 1960.
76. Carlton H. J. H., ,,Patriotism, Nationalism, and the Brotherhood of Man", The Catholic Association for International Peace", Washington D.C., 1937.
77. Kakachia K., Cecire M., ,,Georgian Foreign Policy, The Quest for Sustainable Security", Konrad-Adenauer-Stiftung, e.V 2013.
78. Mann, M., "The Dark Side of Democracy: Explaining Ethnic Cleansing", Cambridge: Cambridge University Press; 2004.
79. Pfaff W., ,,The Wrath of Nations: Civilizations and the Furies of Nationalism", a touchstone book, Published by Simon & Schuster, New York, 1994, Copyright © 1993 by William Pfaff.
80. ,,Nationalism and Ethnic Conflict, Threats to European Security", SIPRI Research Report N 5, Stephen Iwan Griffiths, Stockholm International Peace Research Institute, 1993.

81. ,,The Handbook of Conflict Resolution" - Theory and Practice, Second Edition Morton Deutsch, Peter T. Coleman, Eric C. Marcus, Published by Jossey-Bass, 2006.
82. Chicky J. E., ,,The Russia-Georgian War: Political and Military Implications for U.S. Policy", Policy Ppaper, Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program, February, 2009.
83. ,,The Role of Russia in Provoking Conflict between Georgians and Abkhazians", International Journal of Alanya Faculty of Business, Valeri Modebadze, Vol:7, No:3, 2015.
84. ,,The policy of non-recognition of Georgia's breakaway regions: Problems and perspectives", Central Asia and The Caucasus, Journal of Social and Political Studies, Valeri Modebadze, Volume 14, Issue 4, CA & CC Press, SWEDEN, 2013.
85. ,,Ethnonationalism, ethnic nationalism, and mini-nationalism: A comparison of Connor, Smith and Snyder", Ma Shu Yun, Ethnic and Racial Studies, Vol. 13 N. 4, October 1990, Published online 23 November 2016.
86. ,,The case study method", Planning Research Design, http://www.psyking.net/HTMLobj-3838/Case_Study_Method.pdf; უკანასკნელად იქნა გადამოწმებული, 05.06.2020.
87. ,,Theories of Nationalism", By Anthony D. Smith, Rupert Emerson, The journal of politics, Published by the University of Chicago Press on behalf of the Southern Political Science Association, May 1973, Vol. 35, No. 2.
88. Dictionary, https://www.dictionary.com/browse/nationalism, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.05.2020.
89. ,,Nationalism", Louis P. Kaplan, Harvard International Review, Published by Harvard International Review, Vol.3, No.7, April-May 1981.
90. ,,Declaration on the Granting of Independence to Colonial Countries and Peoples", General Assembly resolution 1514 (XV) of 14 December 1960, https://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/Independence.aspx უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.05.2020.
91. ,,Nationalism and Democracy", Ghia Nodia, Journal of Democracy, Volume 3, Number 4, October 1992, Published by Johns Hopkins University Press.

92. ,,What is nationalism and why should we study it?", Ernst B. Haas, International organization, Published by the MIT PressVol. 40, No.3, Summer 1986.
93. ,,Charter of The United nations and Statute of the International Court of Justice", San Francisco, 1945.
94. Resolution N1716 (2006), Security Council Adopted by the Security Council at its 5549th meeting, on 13.10.2006, http://unscr.com/en/resolutions/1716, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.04.2020.
95. Speech and the Following Discussion at the Munich Conference on Security Policy, 10.02.2007, http://en.kremlin.ru/events/president/transcripts/24034, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.04.2020.
96. Kouchner claims ethnic cleansing in Georgia, 27/08/2008, https://www.euronews.com/2008/08/27/kouchner-claims-ethnic-cleansing-in-georgia, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.04.2020.
97. EU Statement on CoE SecGen's 21st Consolidated Report on Conflict in Georgia, 23/04/2020, https://civil.ge/archives/348182, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.04.2020.
98. European Union External Action,What is EU Foreign Policy, https://eumm.eu/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.04.2020.
99. Meskhia I., Seturidze R., ,,The European Union's Generalized System of Preferences (GSP) and the Prospect of a Unified Database", World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Economics and Management Engineering, Vol:7, No:10, 2013.
100. ,,European Neighbourhood Policy And Enlargement Negotiations",European Neighbourhood Policy, European Comission, 06/12/2016, https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/overview_en, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.04.2020.
101. ,,Russian Aggression of Georgia, Six Point Peace Plan", Documented by the Government of Georgia, https://smr.gov.ge/uploads/prev/9bbbc7.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.04.2020.

102. Eastern Partnership, ,,Communication from the Commision to the European parliament and the Council", COM(2008) 823 final, 3 December 2008, https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2008:0823:FIN:EN:PDF, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 07.04.2020.

103. Council of the European Union, Presidency Conclusions, Concl 3, Brussels, 1 September 2008 (01.09)(OR. fr)12594/08, https://www.consilium.europa.eu/ueDocs/cms_Data/docs/pressData/en/ec/102545.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.04.2020.

104. ,,Eastern Partnership", EEAS, Brussels, 19 October 2016, https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/419/eastern-partnership_en, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.04.2020.

105. ,,Legislation", Council Decision of 16 June 2014, Official Journal of the European Union, II Non-legislative acts, International Agreement Volume 57 , 30 August 2014, https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:261:FULL, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.06.2020.

106. ,,From Prague to Riga: Has the EU's Eastern Partnership Been a Failure?", Maryia Hushcha, E-International Relations , APR 14 2017, https://www.e-ir.info/pdf/68518, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.04.2020.

107. ,,Celebrating 10 years of the Eastern Partnership", European Commission - Press release, Brussels, 14 May 2019, file:///C:/Users/user/Downloads/Celebrating_10_years_of_the_Eastern_Partnership.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 04.04.2020.

108. ,,The North Atlantic Treaty", North Atlantic Treaty Organization, Washington D.C. - 4 April 1949; https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_17120.htm, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.04.2020.

109. ,,The Benefits of Soft Power", Joseph S., Nye Jr., Harvard Business School, Working Knowledge, Business Research for Business Leaders, 8/2/2004, https://hbswk.hbs.edu/archive/the-benefits-of-soft-power, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.04.2020.

110. ,,NATO Membership for Georgia: In U.S. and European Interest", Luke Coffey, The Heritage Foundation, 29.01.2018, https://www.heritage.org/defense/report/nato-membership-georgia-us-and-european-interest, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.04.2019.

111. ,,Saakashvili: Russia to Blame for South Ossetia Crisis", Jul 12, 2004, https://eurasianet.org/saakashvili-russia-to-blame-for-south-ossetia-crisis; უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.12.2019.

112. ,,August 2008 Russian-Georgian War: Timeline", By IWPR Georgia, august,2013, https://iwpr.net/global-voices/august-2008-russian-georgian-war-timeline; უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.05.2020.

113. EU/Russia: The four "common spaces", MEMO/04/268, Brussels, 23 November 2004; https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/MEMO_04_268, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.06.2020.

114. ,,Этнонационализм в Европе", Альтерматт Урс., Москва, Российский государственный гуманитарный университет, 2000.

115. Гамахария Д., Бадри Г., ,,Абхазия - Историческая Область Грузии", ООО ,, Агдгома", Тбилиси, 1997.

116. Лакоба С. ,,Очерки политической истории Абхазии", Сухуми, Алашара, 1990.

117. ,,Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии", Ментешашвили А., http://sisauri.tripod.com/politic/index.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.05.2020.

118. ,,Национальное культура в эпоху глобализации", Малахов В., http://www.intelros.ru/pdf/rus_mir_i_lat/2009/02/3.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.06.2020.

119. ,,Абхазия: посткоммунистическая Вандея", Червонная С., https://culture.wikireading.ru/31839, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.06.2020;

120. ,,О государственно-правовом устройстве Абхазии в составе Республики Грузия", Свободная Грузия, 02.12. 1992 г.

121. ,,Соглашение о принципах урегулирования грузинско-осетинского конфликта“, 24.06.1992, https://docs.cntd.ru/document/1902246 , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.05.2020.

122. ,,ГРУЗИЯ: КАК ИЗБЕЖАТЬ ВОЙНЫ В ЮЖНОЙ ОСЕТИИ”, ICG, Доклад МГПК-Европа No 159, Тбилиси/Брюссель, 26 ноября 2004 г, ст: 34.

123. Указ Президента Российской Федерации от 13.07.2007 г. № 872, О приостановлении Российской Федерацией действия Договора об обычных вооруженных силах в Европе и связанных с ним международных договоров, http://www.kremlin.ru/acts/bank/25785, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.06.2020.

124. ОВСЕ, Форум по сотрудничеству в области безопасности, FSC.JOUR/563, 24.09.2008, Ст:4, https://www.osce.org/files/f/documents/8/0/33628.pdf, უკნასკნელად იქნა გადამოწმებული 15.05.2020.

125. Путин распорядился оказать предметную поддержку Абхазии и Южной Осетии, 16.04.2008 https://www.kavkaz-uzel.eu/articles/135100/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.05.2020.

126. ,,Военная доктрина Российской Федерации”, Президент России, , 5 февраля 2010 года , http://news.kremlin.ru/ref_notes/461 - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.10.2019.

127. ,,Соглашение между Российской Федерацией и Республикой Абхазия о совместных усилиях в охране государственной границы Республики Абхазия“ , 30 апреля 2009 г. http://www.kremlin.ru/supplement/190, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.06.2020.

128. ,,Соглашение между Российской Федерацией и Республикой Южная Осетия о совместных усилиях в охране государственной границы Республики Южная Осетия“, 30 апреля 2009 г. http://kremlin.ru/supplement/191, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.06.2020.

129. Подписан закон о ратификации соглашения между Россией и Южной Осетией о порядке вхождения отдельных подразделений вооружённых сил

республики в состав Российской армии, Президент России, 05.02.2018, http://kremlin.ru/acts/news/56795, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.06.2020.

130. В Цхинвале подписано Соглашение о порядке формирования и деятельности Совместного информационно-координационного центра органов внутренних дел в Южной Осетии, 04 Июля 2016, https://xn--b1aew.xn--p1ai/news/item/8081959/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.06.2020.

131. Stockholm International Peace Research Institute, http://www.sipri.org, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.06.2020.

დანართები

დანართი 1

ინტერვიუ 1

პაატა ზაქარეიშვილი - პოლიტოლოგი, ექსპერტი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში (2012-2014), ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის ხელმძღვანელი (2009-2012 წ.წ.) , ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში სამხედრო ტყვეთა, უგზოუკვლოდ დაკარგულთა და კონფლიქტურ ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის კომისიის ხელმძღვანელი (1992-1997).

1. **თქვენი აზრით, რა როლს თამაშობს დღესდღეობით სეპარატისტულ რეგიონებში (რეჟიმებში) არსებული მინინაციონალიზმი საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში?**

- აფხაზეთსა და ,,სამხრეთ ოსეთზე" არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია და ის ოკუპირებული აქვს რუსეთს, ძლევამოსილ სახელმწიფოს, რომელსაც მთელი მსოფლიო ანგარიშს უწევს სხვადასხვა მიმართულებით და ვერ უბედავენ ვერაფერს. კონტექსტიდან გამომდინარე, ვინაიდან პერსპექტივა არ ჩანს კონფლიქტების მოგვარებისა, რა თქმა უნდა საშინაო საქმეებში უფრო მეტ გავლენას ახდენს, ვიდრე საგარეოში. საგარეო კონტექსტიდან გამომდინარე, მთელი მსოფლიოს დემოკრატიული სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, თითო-ოროლა სახელმწიფოების გამოკლებით (სირია, ვენესუელა, ნიკარაგუა, რომელთაც არანაირი ინტერესი არ გააჩნიათ ამ ტერიტორიებთან, მათ რუსეთთან აქვთ რაღაც ანგარიში) და რუსეთის მიერ ამ ტერიტორიების აღიარება არ გამხდარა მისაბაძი. ამიტომ, ჩვენ საგარეო პრობლემები არ გვაქვს, არავის არ დაუყენებია პირობა, რომ თუ არ მოვაგვარებთ კონფლიქტებს, ნატო-ში არ მიგვიღებენ. ეს იგულისხმება მაგრამ პირდაპირ არავის უთქვამს, რადგან

რუსეთი გაძლიერდება თავის პოზიციებში ,,აჰა, თურმე სანამ საქართველო არ მოაგვარებს თავის კონფლიქტებს, არ გახდება ნატო-ს წევრი და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ის არ გახდეს ამ ორგანიზაციის წევრი". ნატო და ევროკავშირი აკვირდებიან საქართველოში მიმდინარე კონფლიქტებს, მაგრამ იციან, რომ ეს არ შეიძლება იყოს პირობა საქართველოსთან თანამშრომლობის, იმიტომ, რომ ამას ბოროტად იყენებს რუსეთი. როგორც ექსპერტი და სახელმწიფო მოხელე, გეუბნებით, რომ მათთან ურთიერთობისას იგრძნობოდა, რომ მათთვის მიუღებელია ასეთი ფორმით ურთიერთობა. შესაბამისად, კითხვიდან გამომდინარე, პირველ პლანზე გამოდის საშინაო პოლიტიკა .

საქართველოში არის ერთგვარი ტაბუ გულახდილი და გულწრფელი საუბრისა, თუ როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები. პოლიტიკური აქტორები თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ ამ თემას. მაგ: ყველაზე მძიმე თემა, რაც მოხდა ბოლო პერიოდში და რამაც მოიტანა აღიარება, მოხდა ნაციონალური მოძრაობის დროს. მათ (ნაციონალურ მოძრაობას) აქვთ ეს კომპლექსი, გარკვეულწილად, ისინი გრძნობენ თავიანთ პასუხისმგებლობას, თუმცა ამას არ აღიარებენ. ამიტომ ნებისმიერი მსჯელობისა საზოგადოებაში იმის შესახებ, თუ რა მოხდა 2008 წელს, ხდება მათი მხრიდან ტორპედირება პირდაპირი გაგებით და ყველა, ვინც ამ საკითხს განიხილავს, მოღალატეებად ცხადდებიან და საკითხიც გაჩერებულია და კონფლიქტის მოგვარება გახდა შიდაპოლიტიკური კონტექსტის მძევალი. არ არის გულწრფელი, ღია და გულახდილი მსჯელობები იმის თაობაზე, თუ როგორ გამოვიდეთ მდგომარეობიდან. ეს მედიცინასავითაა, თუ არ დაადგინე დიაგნოზი, ვერ იმკურნალებ, ჩვენ დიაგნოზი არ გვაქვს დადგენილი და ამიტომ ძნელია იმის განსაზღვრა, თუ საით უნდა გადავდგათ ნაბიჯები.

აქ პასუხისმგებლებიც უნდა გამოჩნდნენ, წინა ხელისუფლებას ნამდვილად არ ყოფნის ვაჟკაცობა, რომ აღიაროს თავისი შეცდომები და კი არ შეუტიონ სხვებს, არამედ მსჯელობაში მაინც შეყვნენ. დღევანდელ ხელისუფლებას არ

შესწევს გამოცდილება და კომპეტენცია, რათა კვალიფიციურად შეეწინააღმდეგოს ამ გამოწვევას და ჰქონდეს მათთან ჯანსაღი დებატები და არაემოციური დადანაშაულებები, რაც არ არის ჩვენი დღევანდელი ამოცანა. ჩვენი ამოცანაა წინ წაწევა და არა - წარსულში ქექვა.

დღევანდელი პოლიტიკის პრობლემაც ესაა, რომ როცა ვიწყებთ საუბარს, მაშინვე წარსულში მივდივართ და ერთმანეთს ვადანაშაულებთ. პოლიტიკაში კი ასე არ მოსულა, შენ ასეთო, შენ ისეთო! ჩვენ უნდა ვპატიობდეთ ერთმანეთს რაღაც-რაღაცებს, თუკი საქმის წინ წაწევა გვინდა.

ეს მოუგვარებელი კონფლიქტები პირველ რიგში აზარალებს საშინაო პოლიტიკას და ეს იციან აფხაზებმა და ოსებმა. მათ ყველაფერი კარგად იციან: ვინ დაიწყო ომი, რა როლი ჰქონდა რუსეთს, და იციან, რომ ეს სულაც არ არის დადებითი როლი; იციან, რომ ეს არის ნეოიმპერიული და მილიტარისტული ინტერესები კავკასიაში, მაგრამ მეორეს მხრივ, ხედავენ საქართველოს ჩამოუყალიბებლობას, ქართულ-აფხაზურ-ოსური თემა შიდა ქართული კამათის და არა კონსენსუსის თემაა; იციან, რომ ქართველები ვერ ერთიანდებიან ამ თემის ირგვლივ და ვერ სთავაზობენ აფხაზებს და ოსებს რაღაც ერთიან პოლიტიკას, ანუ ისინი ხედავენ, რომ რუსები ,,საშინელებები“ არიან, მაგრამ არც ქართველები არიან უკეთესი. გარკვეულწილად, დინებას მიყვებიან და რუსეთსა და საქართველოს შორის რუსეთი ურჩევნიათ, ის მფარველობს მაინც -არა უფასოდ, არამედ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, ვიდრე საქართველო გააკეთებდა ამას.

არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთი დღეს უფრო ერევა საქართველოს შიდა საქმეებში, რომ ეს პრობლემა არ მოგვარდეს და კონსენსუსამდე არ მივიდეთ. ამისთვის ჰყავთ თავიანთ სატელიტები, პარტიები. თუკი არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ რუსეთი ერეოდა ამერიკის არჩევნებში, რატომ ვერ ჩაერევა საქართველოს საქმეებში.

ჩვენი ბრალია კონფლიქტის მოუგვარებლობა, ჩვენ ვერ ვიტანთ ერთმანეთის კრიტიკას და ერთმანეთს პრორუსობას ვაბრალებთ, რაც აწყობს რუსეთს, მას აწყობს ქაოსი. მისთვის მთავარი არ არის, საქართველო დაკარგავს თუ

არა აფხაზეთს ან ,,სამხრეთ ოსეთს“, შეიძლება საერთოდაც არ აწყობდეს - ერთ დღეს საქართველომ უარი რომ თქვას აფხაზეთზე და ,,სამხრეთ ოსეთზე“ და იზრუნოს ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანებაზე, არა მგონია, ეს რუსეთს მოეწონოს. მას უფრო დაბეჩავებული, დაინვალიდებული საქართველო სჭირდება.

დღევანდელი მდგომარეობა რუსეთს აწყობს. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვპასუხობთ მთავარ გამოწვევებს , რის გამოც რუსეთი ასე გვერევა. რუსეთის სიძლიერე ჩვენს სისუსტეშია.

-ანუ კონსენსუსის მისაღწევად უფრო მეტი დათმობაა საჭირო?

-აღიარება, კომპეტენცია, კვალიფიციურობა. პოლიტიკაში ცოდვები არ არსებობს, თუ რაიმე შეცდომა მოხდა, უნდა აღიარო. მე ომის დაწყებაშიც კი ვერ ვხედავ ტრაგედიას. ომის დაწყება თავისთავად არ არის დანაშაული და არც ომის წარმართვაა დანაშაული. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, დანაშაულია - ომში დანაშაულის ჩადენა (მშვიდობიანი მოსახლეობის დევნა, პატიმრების წამება/დახოცვა, აკრძალული იარაღის გამოყენება.

ჩვენ, კონფლიქტის მოგვარებაზე რომ ვსაუბრობთ, ვიწყებთ იმით, თუ ვინ დაიწყო ომი. ამას ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, მნიშვნელოვანია, როგორ მივედით ომამდე და რას ვაკეთებთ ომის შემდეგ. ის, რაც მოხდა - მოხდა, ეს ტრაგედია არ არის. ადამიანისგან განსხვავებით სახელმწიფო არ კვდება იოლად. ჩვენ შეიძლება, დღეს გვქონდეს განცდა, რომ აფხაზეთი და ,,სამხრეთ ოსეთი“ დავკარგეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს მათ სამუდამოდ დაკარგვას. შეიძლება ვითარება ისე შეიცვალოს, რომ აფხაზებმა თავად გვთხოვონ გაერთიანება, რისთვისაც ჩვენ მზად უნდა ვიყოთ. ამიტომ, მუდმივი მსჯელობა უნდა იყოს, თუ როგორ ვხედავთ აფხაზი და ოსი ხალხის დაბრუნებას. ჩვენთან ეს კამათი/მსჯელობა არ არის.

რუსეთი იყენებდა ქართველების როლს აფხაზურ ნაციონალიზმში. ჩვენმა ანტისაბჭოთა ნაციონალიზმმა ბუნებრივად შექმნა აფხაზური ნაციონალიზმი და ჩვენ მათ ვერ გავუგეთ. რატომღაც ჩვენი ნაციონალიზმი იყო კეთილშობილური და აფხაზების ნაციონალიზმი ფაქტიურად არ

არსებობდა, ეს იყო რუსული პროექტი. თავიდანვე არასწორი ორიენტაცია ავიღეთ. რა თქმა უნდა, იქ იყვნენ ქართველთმოძულე ნაციონალისტები, მაგრამ მოსახლეობა არ იყო ასეთი. ჩვენ ვიღაც ლიდერ ავადმყოფ ადამიანებს შევახოცეთ მთელი აფხაზი და ოსი ხალხი, რისთვისაც ისინი არ იყვნენ მზად. ისინი კომფორტულად ცხოვრობდნენ ქართველებთან და არ აპირებდნენ დაშორებას. ჩვენ დავშორდით მათ. გულახდილად რომ გითხრათ, პირველი სეპარატისტები ჩვენ ვიყავით, ჩვენ გავყავით უნივერსისტეტი აფხაზეთში, ფეხბურთის გუნდები, პარლამენტი აფხაზეთში, ქართველები - ცალკე აფხაზები - ცალკე. სეპარატიზმი ჩვენ დავიწყეთ და რუსეთი ამას იყენებდა. ჩვენი ნაციონალიზმი იყო ბუნებრივი, მაგრამ რუსეთი როცა ერეოდა, ხდებოდა ხელოვნური - მას სჭირდებოდა მანიპულაციები. რუსეთს უხაროდა ჩვენი შეცდომები, სხვა რომელიმე განვითარებული დასავლური ქვეყანა რომ ყოფილიყო ჩვენი მეზობელი, ისინი მიგვითითებდნენ ჩვენს შეცდომებზე. რუსეთი კი ჩვენს შეცდომებს იყენებს ჩვენსავე წინააღმდეგ.

არადემოკრატიული ნაბიჯები საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რუსეთს ახარებს და ხელისუფლების დაცვას იწყებს, ხოლო დასავლეთი მიგვითითებს შეცდომებზე.

2. ხედავთ თუ არა რუსეთის როლს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში სეპარატისტული ნაციონალიზმის გამოვლენაში და როგორ ფიქრობთ, დასაჯა თუ არა 2008 წელს რუსეთმა საქართველო თავისი პროდასავლური ორიენტაციის გამო?

- 2008 წელს საქართველო გამორიცხავდა ომს, ამიტომაც იოლად ეთამაშებოდა ომის თემას, ცეცხლს ეთამაშებოდნენ. დარწმუნებული იყო, რომ რუსეთს არ სჭირდებოდა ომი. როცა ასეთი დიდი სახელმწიფო ომზე მიდის, მას მბევრი მიზნის მიღწევა უნდა. მხოლოდ დასჯაზე არ არის საუბარი. იგი დარწმუნებული იყო გამარჯვებაში, რაც არ უნდა ,,ჟანგიანი''

ტანკები ჰყოლოდა (როგორც ჩვენ ვამბობთ). რუსეთი არ ითვლის ტექნიკისა და სიცოცხლის რაოდენობას მაშინ, როდესაც მიზანია გამარჯვება.

ინტერვენციის დროს დასჯა კი არ იყო უპირატესი, არამედ ის, რომ საქართველო ყოფილიყო მიუღებელი და უხარისხო სახელმწიფო ნატო-სთვის.

გულახდილად რომ ვთქვათ ევროკავშირი ჩვენგან ძალიან შორსაა - გეოგრაფიულადაც, მენტალობითაც და ღირებულებებითაც. ჯერ ჩვენ არ ვართ ევროკავშირის სიმწიფის სახელმწიფო. ხოლო ნატო-ს სიმწიფის სახელმწიფო ვართ და ეს რეალობაა. ჩვენი მეზობელი სახელმწიფოა ნატო-ს წევრი. რუსეთმა კარგად იცის, რომ ნატო რეალობაა, ხოლო ევროკავშირი არარეალობაა. ამიტომ იოლად უყურებს ასოცირების შესახებ შეთანხმებას, მაშინ როცა უკრაინაში იგივე დოკუმენტის გამო აჯანყება მოაწყო, იმიტომ, რომ იცის, რომ უკრაინა ევროკავშირთან უფრო ახლოსაა, საზღვარი აქვს და უფრო რეალურია მისი წევრობა.

რუსეთის მოქმედებებში ჩანს მისი სტრატეგია, იგი არის პრაგმატული სახელმწიფო, ,,კბეჩს იმდენს, რამდენსაც გადაყლაპავს". მაგ: დონბასი მიითვისა და ხარკოვი არ აიღო. ხარკოვშიც არის ნახევრად რუსული განწყობები, მაგრამ იცის, რომ იქ პრობლემები ექნებოდა და 100 %-იანად ვერ მიიღებდა. დონბასში კი თითქმის ყველა პრორუსი იყო, ამიტომ მარტივი იყო იქიდან უკრაინელების გაყრა. რუსეთმა კარგად იცის, რა უნდა და როგორ მიაღწიოს ამას; იცის, რომ საქართველოში მხარდამჭერები არ ჰყავს, მხოლოდ აფხაზები და ოსები. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები კი თანდათან ხვდებიან, რა უპირატესობებია საქართველოში (დემოკრატია, უფრო მეტი განვითარება).

რუსეთის მიზანი - საქართველოს ჩაშლოდა ნატო-ს პროექტი - მიღწეულია. 2008 წლის თებერვალში მსოფლიომ აღიარა კოსოვოს დამოუკიდებლობა და რუსეთს ხელი გაეხსნა. იგი მანამდეც აფრთხილებდა მსოფლიოს, როგორც ,,პატიოსანი გარეწარი", რომ კოსოვოს შემდეგ, ამ პრეცედენტს გამოიყენებდა

და მან ეს გააკეთა კიდეც. ყველა უმტკიცებდა, რომ ეს პრეცედენტი კი არა, უნიკალური შემთხვევა იყო, მაგრამ ამაოდ.

კოსოვოს აღიარებამ და მაპ-ის არმიღებამ (2008 წ.ბუქარესტის სამიტზე) რუსეთს მწვანე შუქი აუნთო. მსოფლიოს კი არ ჰქონია ისეთი მკვეთრი რეაქცია, როგორიც ჰქონდა უკრაინასთან მიმართებაში. მნიშვნელოვანია პუტინის 2007 წლის გამოსვლა მიუნხენში, საიდანაც იწყება რუსეთის ნეოიმპერიალისტური და მილიტარისტული პოლიტიკა. რუსეთის მთავარი მიზანია, მისი გავლენის სფეროში ვერ შეაღწიოს ნატო-მ და ვროკავშირმა. რაც შეეხება ჩვენ დასჯას, ეს მეათეხარისხოვანი იყო. მას შეეშინდა ნატო-ში ჩვენი მეტი ინტეგრაციისა.

3. რა მთავარ ხელშემშლელ ფაქტორებს დაასახელებდით საქართველოს ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ მიმავალ გზაზე?

- მთავარი მიზეზი ნატო-შია, მას არ უნდა ურთიერთობის გაფუჭება რუსეთთან. ნატო-ში არის განწყობა, რომ თუკი საქართველო დაიწყებს ინტეგრაციის პროცესს, რუსეთი უარეს ნაბიჯებს გადადგამს. რუსეთმა კი ყველაფერი გაუკეთა საქართველოს, რისი გაკეთებაც შეეძლო. მან აღიარა აფხაზეთისა და ,,სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა. რომ არ ეღიარებინა, შეიძლება, გვემსჯელა, შემდეგზე: ,, აი, ახლა თუ გავხდებით ნატო-ს წევრი, რუსეთი აღიარებს მათ დამოუკიდებლობას“. რუსეთი იღებს იმას, რასაც თვლის თავისად - დონბასი, ყირიმი, აფხაზეთი, ,,სამხრეთ ოსეთი“ , დნესტრისპირეთი, ანუ სადაც რუსეთი უყვართ და ენდობიან. მან მიიღო ის ტერიტორიები, სადაც მას ელოდებოდნენ. ახლა თვალი ბელორუსიაზე და ჩრდილოეთ ყაზახეთზე აქვს დადგმული, როგორც კი ნაზარბაევი მოკვდება, იქ არეულობები დაიწყება.

  რუსეთი ამაზე მეტად ვეღარ დაგვაზარალებს, ის ვეღარ დაიპყრობს ქართულ ტერიტორიებს, რადგან ხალხი არ დაემორჩილება და კლასიკური ოკუპაცია იქნება.

თუკი გავხდებით ნატო-ს წევრი, შანსი გვაქვს, მეტად მოვაგვაროთ ჩვენი კონფლიქტები. დე-ფაქტო სიტუაცია გვაქვს ასეთი- არ ვართ ნატო-ს წევრი, მაგრამ 30 წელია, კონფლიქტებს ვერ ვაგვარებთ. თუ გავხდებით ნატო-ს წევრი, ახალი შანსები გაჩნდება, შეიძლება, მაინც ვერ მოვაგვაროთ კონფლიქტები (რუსებს, აფხაზებს და ოსებს სანამ ჰგონიათ, რომ ჩვენ ვერ ვწევრიანდებით ნატო-ში, მანამდე მშვიდად არიან), მაგრამ როგორც კი გავხდებით ნატო-ს წევრი, რუსეთი ამას ანგარიშს გაუწევს, როგორც პრაგმატული სახელმწიფო. უამრავი წინააღმდგობის მიუხედავად, ბალტიისპირეთი შევიდა ნატო-ში.

ყველაზე რთული რეგიონი რუსეთს აქვს ჩრდილოეთ კავკასიაში, საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ესაზღვრება მთელ ჩრდილოეთ კავკასიას, ამასთან საქართველო ერთადერთი სახელმწიფოა მეზობლებს შორის, რომელსაც რუსეთთან არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობა. არ უნდა გვეშინოდეს ჩვენს პლუსებზე საუბრის, მიუხედავად იმისა, რომ პატარა სახელმწიფო ვართ. თურქეთი ჩვენი მეზობელი სახელმწიფოა, ნატო-ს წევრი და იგი ყოველთვის ამბობს, რომ მიესალმება საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას, იგი ჩვენი მეგობარი სახელმწიფოა და მასთან ნომერ პირველი თემა უნდა იყოს ნატო. იგი ნატო-ს წამყვანი, ლიდერი წევრი ქვეყანაა. რუსეთს როგორმე უნდა მივახვედროთ, ან ჩვენ ან თურქეთმა, რომ საქართველო არ არის მისი მტერი სახელმწიფო ნატო-ში, არამედ პარტნიორი სახელმწიფო, მხოლოდ მაშინ, როცა მოაგვარებს კონფლიქტებს.

თუ ჩვენ გავხდებით ნატო-ს წევრი, ახალი რეალობა შემოვა კავკასიაში. რუსეთი დაინახავს, რომ საქართველომ შემოიყვანა ნატო კავკასიაში და აფხაზები და ოსებიც მიხვდებიან, რომ როგორც იქნა, ასრულდა საქართველოს სურვილი.

- **ყველაზე უარეს შემთხვევაში, რა შეიძლება მოყვეს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას?**

- ყველაზე უარესი, რაც შეილება მოხდეს, რუსეთის მიერ ამ ტერიტორიების ანექსიაა, რაც ყირიმში გააკეთა ანუ ჩაატაროს ყალბი რეფერენდუმი (თუმცა გაუჭირდება საზოგადოება დაარწმუნოს იმაში, თუ რატომ მოახდინო აფხაზთის ანექსია, რადგან ის არასოდეს ყოფილა ისტორიულად მისი ტერიტორია). აი, ყირიმზე კი ამბობს, რომ ისტორიულად ყოველთვის რუსეთის ნაწილი იყო. რაც შეეხება ,,სამხრეთ ოსეთს", ის კავკასიის მიღმაა და ანექსია შეუძლებელია.

  დრო, ჩვენ წინააღმდეგ მოქმედებს. მსოფლიო საზოგადოებაში ჩნდება განცდა, რომ ამ ხალხს (აფხაზებს და ოსებს) შეუძლია ან ცალკე ცხოვრება ან რუსეთთან ერთად, ვიდრე საქართველოსთან. მიდგომა თანდათან საქართველოს საწინააღმდეგოდ იცვლება. ტრამპმა კანადაში, დიდი შვიდიანის შეხვედრაზე თქვა, რომ ყირიმში მაინც ყველა რუსულად ლაპარაკობსო, ანუ, ყირიმის ანექსიიდან 5 წლის შემდეგ წამყვანი სახელმწიფოს ლიდერი ამბობს ამას და წარმოგიდგენიათ, რას იტყვის 30 წლის შემდეგ?

  ის თაობა, რომელიც ჩახედულია ამ კონფლიქტებში - მიდის. დროც მიდის და ნატო-ში გავწევრიანდებით თუ არა, ჩვენ ამ ტერიტორიებს დავკარგავთ, თუკი არაფერს გავაკეთებთ.

- **ყირიმის შემთხვევაში რუსეთს აქვს ,,არგუმენტი" ტერიტორიაზე-პრეტენზია, მაგრამ აფხაზეთის და ,,სამხრეთ ოსეთის" შემთხვევაში?**
- რუსეთს ჯერ არ მიუერთებია ტერიტორიები, სადაც რუსეთის მოქალაქეები ცხოვრობენ, ასეთი პრეცედენტი არ მომხდარა. ყირიმისგან განსხვავებით, მან აფხაზეთი და ..სამხრეთ ოსეთი" არ მიიერთა. ,,სამხრეთ ოსეთი" აფხაზეთისგან განსხვავებით ეხვეწება კიდეც, მოითხოვს რეფერენდუმის ჩატარებას, მაგრამ რუსეთი არ აკეთებს ამას.
- **აფხაზებს, ოსებთან შედარებით, რატომ არ უნდათ რუსეთთან სიახლოვე?**
- აფხაზებს უნდათ საბოლოო ჯამში მიიღონ საერთაშორისო აღიარება და ამას ელოდებიან. ევროპული სეპარატიზმი არსებობს და ის მეორე პლანზეა

(ბელგია, ესპანეთი, ბრიტანეთი). ხალხი გამდიდრდა, მოძლიერდა და უნდათ მეტი დამოუკიდებლობა. აფხაზები უყურებენ, როგორ წავა სიტუაცია შოტლანდიაში, ჩრდილოეთ ირლანდიაში, კატალონიაში, ვალონიაში. აფხაზებს ჰგონიათ, რომ დრო მათ სასარგებლოდ მუშაობს, ამასობაში კი იზრდება რუსეთის მიმართ სიმპათიები და დროთა განმავლობაში უფრო მეტი რუსეთისადმი კეთილგანწყობილი ადამიანი იქნება, ანუ დრო, მაინც რუსეთის სასარგებლოდ მუშაობს. აფხაზეთსა და ,,სამხრეთ ოსეთში“, სადღაც 10 წლის შემდეგ მთლიანად გარუსებულ საზოგადოებას მივიღებთ.

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რის გამოც ნატო-ში ვერ ვწევრიანდებით, არის ის, რომ ჩვენ თვითონ არ ვართ მწიფე დემოკრატიის ქვეყანა და სიტუაცია თანდათან უარესდება.

ნატო-ს უნდა ვუთხრათ, რომ თუკი დროზე არ მიგვიღებენ, ამით გააძლიერებენ რუსეთის პოზიციებს საქართველოში. პრორუსული ძალები ხშირად ამბობენ, რომ რუსეთი ცუდია, მაგრამ რით არის უკეთესი ნატო და ევროკავშირი, რა გააკეთეს საქართველოს სასიკეთოდ?! ანუ ძლიერდებიან ანტიდასავლური ღირებულებების მატარებელი ძალები.

დღეს სჯობს, ვიზრუნოთ ნატო-ში გაწევრიანებაზე აქტიურად, სანამ აფხაზეთში ცხოვრობენ ადამიანები, რომელთაც არ უყვართ რუსეთი, თორემ 10 წლის შემდეგ მთლიანად გარუსებული იქნება ეს რეგიონი.

4. სად უნდა გავავლოთ ოქროს ხაზი, რომ ავიცილოთ კიდევ ერთი აგრესია ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან და ამასთანავე, ვიყოთ დასავლური, პოლიარქიული სახელმწიფო?

- ოქროს შუალედი არის დემოკრატია, დემოკრატიული ღირებულებები. ხელისუფალი რომ მოდის, არ უნდა ებღაუჭებოდეს სკამს. რუსეთს ჩვენ მოვერევით იმ ტანკებით, რომელიც მას არ ჰყავს და ეს არის დემოკრატია, მას ჩვენი დემოკრატიისაც ეშინია. ისინი იმაზეც მწარდებიან, რომ ჩვენ კორონავირუსს კარგად ვებრძვით და ლუგარის ლაბორატორიაზე მიაქვთ იერიში. იგი ყველაფერს გააკეთებს, რომ ხელი შეუშალოს საქართველოს

განვითარებას. ცნობილია გერმანიის კანცლერის, კონრად ადენაუერის, (გერმანიის გაერთიანების დროს) სიტყვები: ,,სჯობს ნახევარში გქონდეს დემოკრატია, ვიდრე მთელში გქონდეს არადემოკრატია", ანუ მას ერჩივნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (დას. გერმანია) ყოფილიყო მხოლოდ დემოკრატიული, ვიდრე მთელი ძალებით მიეთვისა აღმოსავლეთ გერმანია ანუ გერმანიის დემოკრატიული რესუბლიკა, რომელიც მაშინ სოციალისტური იყო ანუ დემოკრატია ამჯობინა ერთობას. ჩვენთან კი არ მოსულა პოლიტიკოსი, ვინც ამას იტყვის, რომ მთავარი დემოკრატიაა. დემოკრატიას კი მოჰყვება ეკონომიკური სტაბილურობა. ჯერ პოსტსაბჭოთა კომპლექსი უნდა მოვიშოროთ. თუ არ განვვითარდით, აფხაზეთისთვის რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს ავტორიტარიზმში იქნება თუ რუსულ ავტორიტარიზმში. დემოკრატია, თავისუფლება და თანასწორობა არის გამოსავალი.

დანართი 2

ინტერვიუ 2

ზურაბ დავითაშვილი - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი (2008-2009 წლებში).

1. **თქვენი აზრით, რა როლს თამაშობს დღესდღეობით სეპარატისტულ რეგიონებში (რეჟიმებში) არსებული მინინაციონალიზმი საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში?**

- სეპარატისტული რეჟიმების არსებობა განსაზღვრავს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რადგან ტერიტორიული მთლიანობა, არის სასიცოცხლო ეროვნული ინტერესი, რომლის გამოც ქვეყანა მზად არის, წავიდეს უკიდურეს ზომებზეც კი, ამიტომ მისი საგარეო პოლიტიკაც იმისკენ უნდა იყოს მიმართული, რომ არ მოხდეს სეპარატისტული რეჟიმების ცნობა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებისა. ეს არის საფუძველი საქართველოს საგარეო პოლიტიკისა, აქედან უნდა გამოვდიოდეთ (ის, რომ ჩვენი პოლიტიკური ორიენტაცია დასავლეთია, ის, რომ ჩვენ გვსურს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, რათა უზრუნველყოფილი იყოს ჩვენი უსაფრთხოება, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა). სხვაგვარად ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და შენარჩუნება, დიდ პრობლემასთან იქნება დაკაშირებული. რომ არ იყოს სეპარატისტული რეჟიმები, ჩვენი ორიენტაცია მაინც დასავლეთი იქნებოდა, იმიტომ, რომ ეს არის უსაფრთხოების, პროგრესისა და განვითარების მთავარი ფაქტორი.

  საშინაო პოლიტიკაშიც, როდესაც ამ შემთხვევამ დაარღვია ქვეყნის ერთიანობა - პოლიტიკურადაც, ეკონომიკურადაც, კულტურულადაც, ჰუმანიტარულადაც, მთელი საშინაო პოლიტიკა მიმართულია ამ პრობლემის წინააღმდეგ და უნდა ეცადო, რომ გახდე მიმზიდველი სეპარატისტული მოსახლეობისთვის, რომ მათ გაუჩნდეთ აზრი: ,, ხომ არ სჯობს, ვიყოთ საქართველოს შემადგენლობაში, რომელიც არის

წარმატებული დემოკრატიული ქვეყანა“. ეს რთულია, მაგრამ მიზანი ეს უნდა იყოს.

2. **ხედავთ თუ არა რუსეთის როლს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში სეპარატისტული ნაციონალიზმის გამოვლენაში და როგორ ფიქრობთ, დასაჯა თუ არა 2008 წელს რუსეთმა საქართველო თავისი პროდასავლური ორიენტაციის გამო?**

- აფხაზური და ოსური ნაციონალიზმი რუსული პროექტია. აფხაზური ნაციონალიზმი ჩაისახა მეოცე საუკუნის დასაწყისში და ეს მოხდა გარედან (არა ადგილობრივ ნიადაგზე , როცა ქართულმა ნაციონალიზმმა მიიღო საშიში ხასიათი რუსეთის იმპერიისთვის, რადგან ქართველები, ადრე თუ გვიან, მოითხოვდნენ თავიანთი სახელმწიფოებრიობის აღდგენას. თუ პოლონელებს არ ჩავთვლით, ქართველები იყვნენ რუსეთის იმპერიაში ერთადერთი ხალხი, რომელსაც სახელმწიფოებრიობა ჰქონდა მაშინ, როდესაც რუსეთის იმპერიაში შევიდა. ამიტომ იყო სომხური ნაციონალიზმი ანტიქართული ხასიათის (რასაც ილია ჭავჭავაძემ უპასუხა ,,ქვათა ღაღადში“). XX საუკუნის 10-იან წლებამდე ,,სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე ჩამოსახლებულებს ჰქონდათ ხიზნების სტატუსი, ისინი იყვნენ შემოხიზნულები ჩრდილოეთ კავკასიიდან და იქ მცხოვრები ფეოდალების მოჯამაგირეები იყვნენ. აღნიშნული სტატუსი 1912 წელს რუსეთმა გააუქმა და ეს ოსები გადაიქცნენ სახაზინო გლეხებად (რომელიც უშუალოდ იმპერატორს ემორჩილება და ფაქტიურად, თავისუფალია), ანუ ხიზნები იქცნენ თავისუფალ გლეხებად. შესაბამისად, ისინი გახდნენ ლოიალური რუსეთის მიმართ, ხოლო ქართველები იმ თავადებთან გააიგივეს, რომელთა ყმებიც იყვნენ და ამიტომ სიძულვილის ელემენტები იყო, რაც გამოჩნდა დამოუკიდებელი საქართველოს დროს. ეს იყო ხალხი, რომელსაც არც ინტელიგენცია ჰყავდა და არც განათლების დონე ჰქონდა, ქართულად იღებდნენ განათლებას და თუ ვინმე დაწინაურებული იყო, ძალიან იყო ინტეგრირებული ქართულ საზოგადოებაში. ოსური ნაციონალიზმი ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის პერიოდში, როგორც

,,საჩუქარი“ ქართველების წინააღმდეგ. 1918-20 წლებში 3 აჯანყება მოაწყვეს ოსმა ბოლშევიკებმა და მესამე აჯანყება მკაცრად დასაჯა საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ, ამის საკონპენსაციოდ შეიქმნა ავტონომიური ოლქი, მასში შეიყვანეს ცხინვალი და მის ჩრდილოეთით მდებარე 9 ქართული სოფელი- ლიახვის ხეობიდან. აფხაზებს ჰქონდათ დამნაშავე ხალხის სტატუსი მანამდე, ეს მოეხსნათ, მიეცათ ზღვის პირას ცხოვრების უფლება (რაც აკრძალული ჰქონდათ და ამიტომ იყო, რომ სოხუმში მანამდე არც ერთი აფხაზი არ ცხოვრობდა). აფხაზეთის ქალაქები, ქართული ქალაქები იყო და აქაც სცადეს აჯანყების მოწყობა. მაგრამ მათ ჰყავდათ არისტოკრატია, რომელიც პროქართული ორიენტაციისა იყო. 1918-21 წლებში მიღებული კონსტიტუციის თანახმად, აფხაზეთს მიენიჭა ავტონომია, მაგრამ, როცა აქ განხორციელდა ბოლშევიზაცია, 1921 წლის მარტის თვეში, მათ (ბოლევიკებმა) აფხაზეთი საერთოდ გამოყვეს და ცალკე რესპუბლიკად გამოაცხადეს. მართალია, იმავე წლის დეკემბრის თვეში საქართველოს ხელშეკრულებით შეუერთდა, მაგრამ პრეცედენტი მაინც შეიქმნა, რომ რაღაც პერიოდი აფხაზეთი საქართველოსგან იყო დამოუკიდებელი. იმის გამო, რომ ეს სტატუსი 1931 წლამდე გაგრძელდა და იმის გამო, რომ სწავლა-განათლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, აფხაზური ახალგაზრდობა გაიზარდა პრორუსულად. ქართული მათთვის უცხო იყო, ისედაც მხოლოდ თავადაზნაურობამ იცოდა. თუ ვინმემ იცოდა, მხოლოდ მეგრული (ოჩამჩირის აფხაზებმა). გაუცხოება გაძლიერდა, გარკვეული შეცდომები საქართველოს ხელისუფლებამაც დაუშვა 30-იან წლებში. 50-იანი წლებიდან ქართული საერთოდ ამოიღეს აფხაზური სკოლებიდან. ოფიციალური მოსკოვი დაინტერესებული იყო ამ შიდა გაუცხოებით და მიზანს მიაღწია კიდეც. 80-იანი წლების ბოლოს, როცა ეროვნული მოძრაობა დაიწყო, მაშინ აამუშავეს აფხაზური და ოსური ,,კარტი“. ჯერ გორბაჩოვმა გააფრთხილა საქართველო, რომ თუკი ის გავიდოდა სსრკ-იდან, აფხაზეთი და ,,სამხრეთ ოსეთი“ დარჩებოდა საბჭოთა კავშირში. 90-იან წლებში აფხაზებსა და ოსებს მხარდაჭერა

ჰქონდათ რუსული გენერალიტეტის მხრიდან და მართავდნენ კიდეც სიტუაციას. ამას დაემატა გამსახურდიას ნაციონალისტური რიტორიკა, შემდეგ შევარდნაძის არასწორი პოლიტიკა. აფხაზეთის ქართველობამ უარი განაცხადა, დამორჩილებოდა თბილისს მას შემდეგ, რაც ზვიად გამსახურდია იქნა დამხობილი (იგივეს ითხოვდა აფხაზეთის ხელისუფლებისგან და მათაც მშვენიერი შესაძლებლობები მიეცათ), თვითონ ქართველები ითხოვდნენ, თბილისს არ დაემორჩილოთო. ამის გამო შეიყვანა შევარდნაძემ ჯარი და დაიწყო კიდეც ომი, რასაც რუსეთი ელოდებოდა. რუსეთის პოლიტიკა იყო ასეთი. აფხაზეთი და ,,სამხრეთ ოსეთი“ მის ხელში იყო კოზირი, სატყუარა. უნდა აგვერჩია რუსეთი და ისინი (აფხაზეთი და ,,სამხრეთ ოსეთი“) ჩვენს ტერიტორიაზე იქნებოდნენ, მაგრამ ფორმალურად, ამასთან, არ გავიხედავდით ნატო-სკენ და ევროკავშირისკენ, ანუ ვიქნებოდით ისე, როგორც სომხეთია დღეს რუსეთთან დამოკიდებულებაში. აფხაზეთი და ,,სამხრეთ ოსეთი“ რუკაზე იქნებოდა საქართველოს ტერიტორია, რუსეთი სიტყვით სცნობდა, რომ ეს არის საქართველოს ტერიტორია, თითქოს შეეცდებოდა მოლაპარაკებას სიტუაციის დასალაგებლად, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დაალაგებდა. ლტოლვილებს არ დააბრუნებდნენ და იქნებოდა ის სიტუაცია, რაც იყო 1993-იდან 2008 წლამდე. ვითომ ჩვენი იყო (აფხაზეთი და ,,სამხრეთ ოსეთი“), მაგრამ რეალურად არ იყო ჩვენი. რაც შეეხება 2008 წელს, რუსეთმა ჩათვალა, რომ დიდი შეცდომა მოუვიდა, როცა სააკაშვილს მისცა საშუალება, აჭარა „დაებრუნებინა“ საქართველოსთვის. ასლან აბაშიძე სრულიად დამოუკიდებელი ადგილობრივი ფეოდალი იყო, რომელიც ყოველ კვირას დადიოდა მოსკოვში და თბილისში ერთხელაც არ ჩამოსულა. რუსეთს ეგონა, რომ სააკაშვილი ამით დაკმაყოფილდებოდა, მაგრამ შეცდა. მან მთავარ მიზნად აფხაზეთის და ,,სამხრეთ ოსეთის“ დაბრუნება დაისახა. გააძლიერა შეიარაღება და ნატო-ში გასაწევრიანებლად დაიწყო მომზადება. 2008 წლის ბუქარესტის სამიტის დროს, როცა საქართველოს მაპ-ის მიღებაზე უარი ეთქვა, რუსეთმა გადაწყვიტა, რომ გადაედგა მთავარი

ნაბიჯი, რადგან ასეთი ძლიერი რუსეთი და ასეთი სუსტი დასავლეთი არასოდეს ყოფილა. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ საქართველოს გაესროლა პირველად, ასე მოხდა 1992 წელს, მაშინ, აფხაზეთის ერთ-ერთი ლიდერი, სერგეი შამბა, რომელმაც თქვა, ჩვენ ვიზამთ ისე, რომ თქვენ პირველი გვესროლოთო. 2008 წელსაც ასე იყო. დაიწყო მასიური დაბომბვა ცხინვალიდან ქართული სოფლებისა. მოსახლეობამ მოითხოვა პირდაპირ, რომ თუკი ხელისუფლებას არ შეეძლო მათი დაცვა, მაშინ მათთვის მიეცათ იარაღი თავდაცვისთვის. მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა კი სახელმწიფოს მთავარი ეროვნული ინტერესია. საქართველომ ცხინვალზე გახსნა საპასუხო ცეცხლი. რუსეთის მიზანი იყო, ჩაეთრია საქართველო კონფლიქტში და მსოფლიოსთვის ეჩვენებინა, რომ აქ არ უნდა გადიოდეს ნავთობსადენი; არ შეიძლება მისი მიღება ნატო-სა და ევროკავშირში; არ შეიძლება მისი ნდობა; რუსეთი მოაგვარებს ამ პრობლემას. საქართველოს ჯარი რომ არ შეეყვანა, იმ ცხრა სოფლიდან ოსები მაინც გამოდევნიდნენ ქართველებს, რათა ცხინვალი პირდაპირ ოსურ დასახლებამდე- ჯავამდე ქართული ანკლავით არ ყოფილიყო გამოყოფილი. ცხინვალიდან ოსურ დასახლებებში რომ მისულიყავი, ქართული დასახლებები უნდა გაგევლო, რაც ოსებისთვის მიუღებელი იყო. ამას გააკეთებდნენ და იტყოდნენ, რომ მცირერიცხოვანმა ოსებმა დაამარცხეს ქართველები, როგორც ამბობდნენ აფხაზები, სადაც რუსეთს ჯარი არ შეუყვანია. მაგრამ აქ, როგორც კი გააცნობიერეს, რომ საქართველო გაიმარჯვებდა, მაშინ შემოიყვანა რუსეთმა არმია, იმ მიზნით, რომ სააკაშვილის ხელისუფლება დამხობილიყო. ეს რომც მომხდარიყო, აფხაზეთი და ,,სამხრეთ ოსეთი“ მაინც დარჩებოდა საქართველოს შემადგენლობაში ფორმალურად. დასავლეთმა მკაცრი პასუხი გასცა (ბუშმა).

ასეთი სურათი გვაქვს: საქართველოს უკეტავ გზას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში იმიტომ, რომ ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია და ასეთ ქვეყანას ნატო-ში არავინ მიიღებს. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მისწრაფება დასავლეთისკენ, დაბლოკა. ქვეყანას გაუჩინა

მუდმივი პრობლემა ამ ტერიტორიების დაბრუნებისა, სამაგიერო გადაუხადა დასავლეთს კოსოვოს აღიარების გამო, მათ ერთგვარი სილა გააწნა. პუტინი მანამდეც აფრთხილებდა დასავლეთს აღნიშნულთან დაკავშირებით. მან დაანახა მსოფლიოს, რომ ის არის ძალა, რომელიც არ დათმობს. ერთდროულად სამი კურდღელი დაიჭირა.

ერთი, რაც დაკარგა რუსეთმა არის ის, რომ სამუდამოდ გადაიმტერა საქართველო. აფხაზეთის და ,,სამხრეთ ოსეთის" აღიარების შემდეგ, აღარ დარჩა ხელში კოზირი საქართველოზე ზეწოლის განსახორციელებლად. პუტინი კი ფიქრობს, რომ ქართველებს დიდხანს არ შეუძლიათ ერთ პოზიციაზე დარჩენა და ისევ მიუბრუნდებიან, ,,ქართველები ისევ გვიცეკვებენ'', -აღნიშნა მან.

2012 წლიდან ჩვენ ისევ მივებით რუსეთს ეკონომიკურად. ის გახდა მთავარი პარტნიორი და ინვესტორი, ქვეყანა, რომელთანაც დიპოლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი გვაქვს. ეს კი უპრეცედენტო შემთხვევაა მსოფლიო დიპლომატიის ისტორიაში.

3. რა მთავარ ხელშემშლელ ფაქტორებს დაასახელებდით საქართველოს ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ მიმავალ გზაზე?

- ფაქტორები ბევრია. ევროკავშირი საერთოდ ძალიან შორეული პერსპექტივაა იმ თვალსაზრისით, რომ არავის არ უნდა აიკიდოს ღარიბი ქვეყანა. ყველაზე ღარიბი ქვეყანა ევროკავშირში არის ბულგარეთი, და ჩვენ რომ ბულგარეთს დავეწიოთ, იმ ტემპებით, რაც ახლა გვაქვს, გვჭირდება 70 წელი. ასეთი ქვეყანა რატომ ენდომებათ, თანაც გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნები დამოკიდებულნი არიან რუსეთზე. მხოლოდ გერმანიაში 4000-მდე ფირმაა, რომელიც რუსულ ნავთობზე და გაზზეა დამოკიდებული. ნატო-ს პრობლემა კი წმინდა პოლიტიკური და სამხდეროა - რუსეთის შიში. აქ სხვა პრობლემა არ არის, იმიტომ, რომ როცა ალბანეთს და მაკედონიას მიიღებ, იქ საქართველოს წაუყენო პრეტენზია, რომ მზად არ არის, არასწორია. საქართველოს, რომც არ ჰქონდეს სეპარატისტული რეგიონების პრობლემა,

მაინც გაუჭირდებოდა ევროკავშირში შესვლა, ეკონომიკური მდგომარეობის გამო.

4. **სად უნდა გავავლოთ ოქროს ხაზი, რომ ავიცილოთ კიდევ ერთი აგრესია ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან და ამასთანავე, ვიყოთ დასავლური, პოლიარქიული სახელმწიფო?**

- როცა მეზობელი რუსეთია, რომლისთვისაც კავკასია არის სასიცოცხლო გეოპოლიტიკური ინტერესი, ეგ ძალიან ძნელი მისაღწევია. ნეიტრალიტეტზეც ლაპარაკი ანაქრონიზმი და აბსურდია. ერთადერთი გზა არის დასავლეთი. ამიტომ, ძალიან მოთმინებით, ნელა, არა-გამაღიზიანებელი რიტორიკით, არამკვეთრი ნაბიჯებით, მაგრამ მუდმივად უნდა ვიაროთ იქით. ქართული ხასიათით და ემოციებით არ უნდა გავბრაზდეთ და ჩავიქნიოთ ხელი, ბევრჯერ შეიძლება, გადაგვაგდონ, გვიღალატონ, მაგრამ მიზანი არ შეიძლება, შევცვალოთ, რადგან სხვა მიზანი არ გვაქვს. არის რუსეთი და ნეიტრალიტეტი, რომელიც არ არსებობს. ჩვენ ყოველთვის ვიდექით დილემის წინაშე და ჩვენი წინაპრები ყოველთვის ირჩევდნენ იმ გზას, რომელიც იყო პროგრესული, თუმცა ამის გამო სანაცვლოდ იღებდნენ უამრავ მსხვერპლს.

დანართი 3

ინტერვიუ 3

ირაკლი ჩხაიძე - კულტურის კვლევათა დოქტორი.

1. **თქვენი აზრით, რა როლს თამაშობს დღესდღეობით სეპარატისტულ რეგიონებში (რეჟიმებში) არსებული მინინაციონალიზმი საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში?**

- მნიშვნელოვნად განაპირობებს დეზინტეგრაციულ პროცესებს, რადგან მინინაციონალიზმები მკაფიოდ ანტიქართულია. საგარეო პოლიტიკაში, ხელს უშლის ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას.

2. **ხედავთ თუ არა რუსეთის როლს, აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში" სეპარატისტული ნაციონალიზმის გამოვლენაში და როგორ ფიქრობთ, დასაჯა თუ არა 2008 წელს რუსეთმა საქართველო თავისი პროდასავლური ორიენტაციის გამო?**

- დიახ, ვხედავ, სეპარატისტული ნაციონალიზმები სწორედ რუსეთის მიერაა ინსპირირებული. 2008 წლის ომი იყო რუსეთის რეაქცია საქართველოს დასავლურ კურსზე,

3. **რა მთავარ ხელშემშლელ ფაქტორებს დაასახელებდით საქართველოს ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ მიმავალ გზაზე?**

- პოლიტიკურ გახლეჩილობას, სახელისუფლებო კურსის ნაკლებ მკაფიოობას, რუსეთის ნეგატიურ როლს, ტერიტორიულ კონფლიქტებს.

4. **სად უნდა გავავლოთ ოქროს ხაზი, რომ ავიცილოთ კიდევ ერთი აგრესია ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან და ამასთანავე, ვიყოთ დასავლური, პოლიარქიული სახელმწიფო?**

- რუსეთის აგრესიის ერთადერთ პრევენციად დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზით - საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა მიმაჩნია.

დანართი 4

ინტერვიუ 4

ალექსანდრე რუსეცკი - დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კავკასიის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

1. **თქვენი აზრით, რა როლს თამაშობს დღესდღეობით სეპარატისტულ რეგიონებში (რეჟიმებში) არსებული მინინაციონალიზმი საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში?**

- ტერმინი - „სეპარატისტული რეგიონების“ - გამოყენება კატეგორიულად დაუშვებელია, იმიტომ, რომ ისინი, ვინც ამ ტერმინს გამოიყენებენ თვლიან, რომ რეგიონების სრული მოსახლეობა სეპარატისულად არის განწყობილი, რაც არ შეესაბამება რეალობას. მინინაციონალიზმის სურათი საქართველოსთან მიმართებაში უნდა გულისხმობდეს დიდი ნაციონალიზმის არსებობას. თუ ეს დიდი ნაციონალიზმი - ქართული ნაციონალიზმია, ისიც შეიცავს შიდა მინინაციონალიზმებს ანუ ნებისმიერი ტიპის ეთნიკური ხასიათის ნაციონალიზმი პოლიეთნიკურ საზოგადოებაში წარმოადგენს სისტემისთვის საფრთხეს. როგორც ქართული, ისე არაქართული.

2. **ხედავთ თუ არა რუსეთის როლს, აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ სეპარატისტული ნაციონალიზმის გამოვლენაში და როგორ ფიქრობთ, დასაჯა თუ არა 2008 წელს რუსეთმა საქართველო თავისი პროდასავლური ორიენტაციის გამო?**

- „საქართველოს პროდასავლურობა“ - ეს ტერმინიც საკმაოდ სუსტი ტერმინია. საქართველოში არსებობენ როგორც პროდასავლური, ასევე პროჩრდილოური და სხვა ძალებიც. ცენტრალურ ხელისუფლებას თუ გულისხმობთ, მე არ მგონია, რომ დეკლარირებული პროდასავლურობა - რეალური პროდასავლურობაა. არსებობს ექსპერტთა დიდი ჯგუფის აზრი იმის თაობაზე, რომ აგვისტოს ომი იყო პროვოცირებული იმისთვის, რომ

რუსეთს გაემაგრებინა საქართველოში პოზიციები. რუსეთმა გააკეთა ის, რაც მას სჭირდებოდა, იმიტომ, რომ გეოპოლიტიკურ დონეზე ეს არის მისი ბრძოლა ნატო-სთან კავკასიაში.

3. რა მთავარ ხელშემშლელ ფაქტორებს დაასახელებდით საქართველოს ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ მიმავალ გზაზე?

- მე მიმაჩნია, რომ ამ იდეების დეკლარირება წარმოადგენს ყველაზე დიდ საფრთხეს საქართველოსთვის. ეს არის პოპულისტური პოლიტიკა, რომელიც საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, დაანგრევს.

4. სად უნდა გავავლოთ ოქროს ხაზი, რომ ავიცილოთ კიდევ ერთი აგრესია ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან და ამასთანავე, ვიყოთ დასავლური, პოლიარქიული სახელმწიფო?

- ჩრდილოეთში მეგობრები უნდა ვეძებოთ, აგრესორად არ უნდა წარმოვიდგინოთ მხოლოდ. მეცნიერებს შორის უნდა მოხდეს თანამშრომლობა. მეცნიერი თუ არ იქნება დამოუკიდებელი, ვერც საქართველო იქნება დამოუკიდებელი, იმიტომ, რომ მეცნიერი - ეროვნული ელიტის მთავარი ბურჯია.